საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№10 (197)
20 - 26 მარტი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**მართლ-მადიდებელმა ქვეყნებმა ალიანსი უნდა შევქმნათ** 14

# რიგითი «ძაღლიშვილის» გადასარჩენად

მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი, „რუზველტის შკალის“ მიხედვით, აშკარად „ამერიკის ძაღლიშვილია“. ასეთებს კი დასავლეთში ძალიან, ძალიან უფრთხილდებიან!.. 2



## შენელებული მოქმედების დუშმანი 7





## ქართული ოცნება და 23 ევროპელი კომისარი 4

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

## აფხაზეთი ცხოვრების დონით უფრო მალე შეიძლება გახდეს ევროპის ნაწილი, ვიდრე საქართველო 8

კახა კალაძე:



## სააკაშვილი საქართველოს ანტიპიარს, ქართველი ხალხის დისკრედიტაციას ეწევა 14

## უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პროცესი მალე კატასტროფულ ხასიათს მიიღებს 26

## როგორ გაება საქართველო ჩერქეზულ-ამერიკულ მახეში 10

## «უნდა დააპატიმრონ ყველა, ვისაც შეუძლია კონტრრევოლუციაში მონაწილეობა» 15

## «სქესობრივი კონტაქტის იძულება ჩვეულებრივი რამ იყო ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში» 17



3

## რას წერს ივანიშვილზე ამერიკული დაზვერვა?

## ირაკლი, ბაჩანა და არტილერია

6





## სიმართლე ბელადზე



22

გავა დრო და ახალი თაობები მზერას მიაპყრობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებს. წლიდან წლამდე მოვლენ ახალი თაობები. ისინი კვლავ აღმართავენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ღირსეულად შეგვაფასებენ. თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე ააშენებენ...

ი.ბ. სტალინი

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატივცემული „ძაღლიშვილების" კიდევ უფრო პატივცემულო მეპატრონეებო, ის კაცია თქვენი არჩევანი, რომელმაც „ბი-ბი-სი"-ს ეთერში ჰალსტუხი შეჭამა, გააბახა სასამართლო, შექმნა პოლიტიკური პოლიცია, გააყალბა უკლებლივ ყველა არჩევნები, წააგო ომი, დაკარგა ტერიტორიები და სულ ბოლოს ცოცხზე შესვა ქართველობა?! სულ ეგა ხართ? საქართველოსთვის მხოლოდ ეგეთი „ძაღლიშვილი" გემეტებათ?**

# რიგითი «ძაღლიშვილის» გადასარჩენად...

**პატივცემულო მკითხველო, წინამდებარე წერილის ერთი შეხედვით უცნაური სათაური არის ერთგვარი კომპილაცია ორი აბსოლუტურად განსხვავებული ფაქტისა და სუბსტანციისა, რომელთა უხეში, მაგრამ გამიზნული ნაზავი გვაძლევს წინადადებას, რომელიც აბსოლუტური სისავსით აღნიშნავს მთელ იმ orომტრიალსა და „ძიძგი, ძიძგი მამალოს", საქართველოს ახალ ხელისუფლებასა და მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მამიდებს, ბიცოლებსა თუ ბიძიებს შორის რომ ჩამოყალიბდა!..**



ლათინური ამერიკის ქვეყნების, კერძოდ ნიკარაგუის, ისტორია იცნობს პრეზიდენტებს, მამა-შვილ ანასტასიო სომოსა გარსიასა და მის ვაჟს — ანასტასიო სომოსა დებაილეს, ანუ იმავე „ტაჩიტოს", რომელმაც კაცობრიობას თავი იმით დაამახსოვრა, რომ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ტომარაში ჩასვამდა, მოუკრავდა თავს და მერე ამ ტომრებს ვერტმფრენიდან ყრიდა, რითაც ძალიან ხალისობდა.

**„ტაჩიტოს" ასევე ძალიან უყვარდა ხელფეხშეკრული და ცემით დასისხლიანებული ოპოზიციის ლიდერების ოკეანეში გაყვანა და იქ, სადაც უზარმაზარი ზვიგენები ირევიან, მათი გემბანიდან გადაყრა... მოგეხსენებათ, ზვიგენი სისხლის სუნსა და განწირული ადამიანის ყვირილით გამოწვეულ ხმაურს ძალიან შორი მანძილიდანაც კი შესანიშნავად გრძნობს და...**

ასე თქვლეფდნენ, სხეულის სხვადასხვა ნაწილს აგლეჯდნენ, მუცელს უფატრავდნენ, თავს აჭამდნენ დამშეული ზვიგენები ხელფეხშეკრულ ნიკარაგუელ ოპოზიციონერებს და ეს მაშინ, როცა იქვე, სამხედრო კატარღაზე ან კეთილმოწყობილ იახტაზე მოკალათებული პრეზიდენტი სომოსა ამ ყველაფერს გაუნელებელი ხითხითით გამოწვეული მუცლის ხტუნვითა და ისეთი ქირქილით უყურებდა, ჩვენმა ვადაგასულმა სააკაშვილმა რომ იცის ხოლმე ჩაქირქილება!..

სომოსა ტკბებოდა და ნეტარებდა, ხოლო ზვიგენები საშინელი და გაუმაძღარი ყბებით ადამიანებს ფლეთდნენ და ანაწევრებდნენ!..

„ტაჩიტოს" მამა — უფროსი ანასტასიო სომოსა გარსიაც მანიაკი და მკვლელი იყო და შესაძლოა, თავის შვილზე უფრო შეუბრალებელი და სასტიკი, მაგრამ „პოპულარული" იგი უფრო იმ ფრაზის წყალობით გახდა, რომელიც მის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე უფრო დიდმა და წარმატებულმა პრეზიდენტმა, ფრანკლინ დელანო რუზველტმა, 1939 წელს თქვა: **„სომოსა, შესაძლოა, ძაღლიშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილია!.."**

მართლაც, ამერიკის „ძაღლიშვილი" სომოსა, რომელიც წარმატებით ებრძოდა და ხვრეტდა ნიკარაგუელ კომუნისტებს, თეთრი სახლის მესვეურთა აღფრთოვანებას დიახაც რომ იწვევდა...

ახლა კი ერთი ძალიან ნაღვლიან, მაგრამ რეალურ ისტორიაზე შექმნილი ფილმის შესახებ, რომელიც ჰოლივუდის დიდოსტატმა, ებრაული წარმოშობის ამერიკელმა რეჟისორმა, სტივენ სპილბერგმა, 1998 წელს გადაიღო. ეს ძალიან ცნობილი და ოსკაროსანი ფილმია, რომელსაც ასე ჰქვია **„რიგითი რაიანის გადასარჩენად"**. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ და წინამდებარე წერილის სათაური ბოლომდე გაგიშიფროთ, ძალიან მოკლედ მოგითხრობთ ფილმის სიუჟეტს: მეორე მსოფლიო ომში ოთხი ამერიკელი ძმა — რაიანი იბრძვის. აქედან სამი თითქმის ერთსა და იმავე დროს იღუპება ბრძოლის ველზე, ცოცხალი და უვნებელია ერთი — რიგითი ჯეიმს რაიანი, რომლის გადასარჩენადაც ამერიკის სარდლობა რვა გამოცდილ მებრძოლთან ერთად აგზავნის კაპიტან ჯონ მილერს, რომელიც მტრის ზურგში უნდა გადავიდეს, ჯარისკაცი რაიანი ცოცხალი და საღსალამათი უნდა გამოიყვანოს ბრძოლიდან, რათა სამხედრო ხელმძღვანელობამ შემდეგ მოახდინოს მისი დემობილიზაცია და სამშობლოში, გაუბედურებულ დედასთან მისი დაბრუნება!..

**რიგითი რაიანის გადასარჩენად კაპიტანი ჯონ მილერი და მისი თანამებრძოლები სასწაულებს ჩადიან და ბოლოს მიზანს აღწევენ!..**

**ახლა კი — პრეზიდენტ ანასტასიო სომოსა გარსიას ისტორია, ზემოხსენებული ფილმის სიუჟეტი და კიდევ ის ამბავი, რომ ეს ჩვენი მუცელზე მფორთხავი „პრეზიდენტი" თავისი მანიაკალური ახირებებით ძალიან ჰგავს „ტაჩიტოს" თუ „ტაჩიტოს" მამას, უხეშად ავურიოთ ერთმანეთში და წერილის სათაურიც „გამომცხვარია" — „რიგითი ძაღლიშვილის გადასარჩენად!.."**

მართლაც, მიხეილ სააკაშვილი აშკარად აკმაყოფილებს „ძაღლიშვილობის" იმ კრიტერიუმებს, რომლითაც პრეზიდენტმა რუზველტმა სოციოპათ სომოსას ეს სახელი უკურთხა. ანუ **მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი, „რუზველტის შკალის" მიხედვით, აშკარად „ამერიკის ძაღლიშვილია" (!!!). ასეთებს კი დასავლეთში ძალიან, ძალიან უფრთხილდებიან!.. თუნდაც იგივე სომოსა ამერიკელებს 1956 წლამდე ჰყავდათ „დამწნილებული", ვიდრე ფეხები არ გაჭიმა. აღარაფერს ვამბობ ამერიკის ისეთ აღიარებულ და სამთელქვეყნოდ ცნობილ „ძაღლიშვილზე", როგორიც გახლდათ სისხლიანი ავგუსტო პინოჩეტი — ჩილეს ცნობილი დიქტატორი, რომელმაც, სულ მცირე, 5 ათასი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, და რომელსაც თეთრი სახლის ადმინისტრაცია მთელი ოცდაცამეტი წლის განმავლობაში შუშა კიტრივით ინახავდა და სულს უბერავდა, ვიდრე ბოლოს ინვალიდის ეტლში არ განუტევა სული!..**

**მართალია, ბრძოლაში გაქცეულ და სამარცხვინოდ წაქცეულ მიხეილ სააკაშვილს სპილბერგისეული ჯეიმს რაიანისგან ძალიან ბევრი რამ განასხვავებს, მაგრამ მიშა და რიგითი რაიანი იმით კი აშკარად ჰგვანან ერთმანეთს, რომ როგორი თავგამოდებითაც კაპიტანი ჯონ მილერი და მისი რაზმი იბრძვიან ძმებჩახოცილი ჯარისკაცის საშველად, ისე „ევროპის სახალხო პარტიის" უმაღლესი ბლაღოჩინები, „ექსპერტები", ლობისტები, „შემფასებლები", პოლიტმეძავები, ფულისტები, „ჯიბისტები", ირჟენ ბუზეკები, ბუზები, ბოზები, „მესაჯდომეები", „მრჩევლები", „პროგნოზისტები", კონგრესმენები, სენატორები თუ ჯოჯოხეთიდან ამორწყეული მაჯლაჯუნები იბრძვიან სიცოცხლეშივე მიცვალებული მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად!..**

ისე გადარჩა ჩვენი მტერი და დამაწყევარი, მიხეილ სააკაშვილი რომ გადარჩება, მაგრამ ესენი ხომ მაინც თავისას ცდილობენ და მიერეკებიან, ესენი ხომ გვაგიჟებენ და ტვინში სისხლს გვიქცევენ!

ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი — ვიტაუტას ლანდსბერგისი ერთ-ერთია, რომელიც სააკაშვილის გადასარჩენად ძალღონეს არ იშურებს...

ჩემდა უნებურად მახსენდება 1991 წელი და ევროპისა და ამერიკის მიერ ლიტვის აღიარების შემდეგ ხმაჩაკმენდილი და საეჭვოდ გატრუნული ცბიერი ვიტაუტასი, რომელმაც, თავისი რომ გაინაღდა, ზვიად გამსახურდიას თავისუფალი საქართველოს აღიარება ფეხებზე დაიკიდა. არადა, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელსაც ცალკერძ მაშინდელი და საერთოდ მარადიული „ძაღლიშვილის" — შევარდნაძის მსტოვრები და თავისუფალ ქვისმთლელთა დასავლელი ქურუმები უტევდნენ, ხოლო ცალკერძ — თავისი გამოზრდილი ლეკვები, როგორ სჭირდებოდა, ეიმედებოდა და ენატრებოდა პრეზიდენტ ლანდსბერგისის „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი"!.. არა და არა, არ დაადგა მაშინ საშველი არც ლანდსბერგისის ხმის ამოღებას და არც ლიტვის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

**დასავლეთი მაშინაც გატრუნული იყო, როცა შევარდნაძის „ოპრიჩნიკები" საქართველოში მშვიდობიან მიტინგებს ხვრეტდნენ და სამეგრელოს აწიოკებდნენ... ჩვენ სააკაშვილის ჯალათების მიერ პატიმრებისთვის უკანალში ცოცხების გარჭობის ამბავმა ახლა მოგვჭრა თვალი და ყური, თორემ იდეაში მთელ საქართველოს, მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას, დემოკრატიასა და თომას ჯეფერსონის თავისუფლების დეკლარაციას — ყველაფერს ერთად მაშინ მოუღერეს ცოცხი, როცა 1992 წლის 26 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი აუარება ხალხის თვალწინ ცნობილმა „კანონიერმა ქურდმა" და „მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა საქართველოში სისხლიანი ხუნტის „გასაპრავებლად" სტუმრად ჩამოსულ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და „შევარდნაძის მეგობარს", ჯეიმს ბეიკერს, მკერდზე „მხედრიონელთა" ორდენი მოაბნია წარწერით „ჯ" და იგი „საპატიო მხედრიონელადაც" აკურთხა!..**

მახსენდება გერმანიის ელჩის, ბატონი დალჰოფის განცხადება 1993 წელს, როცა შევარდნაძეს ძალიან გაუჭირდა, — თუ საქართველოს ხელისუფლების სათავეში არ იქნება ბატონი შევარდნაძე, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, საქართველოს დახმარებაზე უარი ვთქვათ!..(!!!)

**ანუ „ძაღლიშვილის" გადასარჩენად მაშინ მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი გაერთიანდა...**

**ანალოგიური სიტუაციაა დღესაც, მაგრამ ერთია განსხვავება მხოლოდ: ახლა სხვა დროსა და ეპოქაში მეორდება ის ყველაფერი და, თუ მაშინ თავიანთი „ძაღლიშვილის" გადასარჩენად მავანი საქართველოს ტანკებით მოთარეშებას არ მოერიდა, ახლა მთელი ეს ბინძური „შემოქმედება" იმ მარაზმამდე დავიდა, რომ 2012 წლის 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკის შენობის წინ ცხვირგასიებული ჩიორა თაქთაქიშვილი სააკაშვილის პოლიტიკურმა თუ ბიზნესპარტნიორებმა, — „ევროპის სახალხო პარტიის წევრებმა" მოგვიანებით ლოგინში მოინახულეს!.. (!!!)**

დიდი ჰიუგო, როცა საწოლში მწოლიარე კოზეტის მშვენიერებას აღწერს, შენიშნავს: ახლა კი კოზეტის საწოლს ფარდა უნდა ჩამოვაფარო, რათა ვილაცის ავმა თვალმა უნებურად ქალიშვილის საწოლში არ შეიჭვრიტოსო!..

მე არ ვიცი, არის თუ არა ქალბატონი ჩიორა ქალწული და საერთოდ რა მსგავსებაა მისი და კოზეტის სილამაზეს შორის, მაგრამ **მე იმ სამარცხვინო ხალხისა გამკვირვებია, რომლებიც ევროპიდან ოდენ ჩიორას ცხვირის სანახავად ჩამოქანდნენ!..**

**არც სანდრო გირგვლიანის, არც ბუტა რობაქიძის, არც ზურაბ ვაზაგაშვილის, არც რონი შავაძის, არც აფრასიძეების, არც გურამ შარაძისა და არც 26 მაისს დახოცილი ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ოჯახის წევრები, რომელთა გვამებიც ოლეგ ჟვანიას მაღაზიის სახურავზე შემოაწყვეს, არ გახსენებიათ არ მოუკითხავთ და არ მოუნახულებიათ არც „ევროპის სახალხო პარტიის" წევრებს, არც დასავლეთისა და ამერიკის ელჩიონებს და არც არავის იმათგან, ვინც თავისი „ძაღლიშვილის" — მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად დღეს ხელებდაკაპიწებული და დაოთხილი დარბის!..**

როლანდ გურგენიძეს 7 ნოემბერს რეზინის ტყვია ტერფში მოარტყეს და ტერფი დაკარგა, მაგრამ მის მოსანახულებლად არც ევროპიდან ჩამოსულა ვინმე და არც ეჩმიაძინიდან!.. რატომ? იმიტომ, რომ ეს პატიოსანი ქართველი ვილაცის „ძაღლიშვილი" არ არის?

პატივცემული „ძაღლიშვილების" კიდევ უფრო პატივცემულო მეპატრონეებო, თქვენ თუ მართლა „დემოკრატიისა" და „საქართველოს ევროპული მომავლის" ბედი გაღელვებთ, როგორ და რა მანქანებითაც აიტანეთ საქართველოს „პრეზიდენტად" კაცი, რომელმაც დაარბია და დახურა ტელევიზიები, პატრული შეიყვანა უნივერსიტეტში და პროფესურა ტუალეტში გამოკეტა, რომელსაც პაპანაქება ზაფხულში წყალს არ აძლევდნენ, ქუჩაში დახოცა უამრავი ახალგაზრდა, გააბახა სასამართლო, შექმნა პოლიტიკური პოლიცია, რომელიც მიტინგების დარბევის დროს „მიშა, მიშას!" გაჰკოდა, გააყალბა უკლებლივ ყველა არჩევნები, წააგო ომი, დაკარგა ტერიტორიები, დაატერორა ბიზნესი და სულ ბოლოს ცოცხზე შესვა ქართველობა?

**სხვას რომ ყველაფერს თავი გავანებოთ, ჩამობრძანდით და შეისწავლეთ, თუ რა ქონების მფლობელია ქალბატონი გიული ალასანია — თქვენი „ძაღლიშვილის" პროფესორი დედა, რომელსაც, ჩემი ინფორმაციით, ერთხანობა ისე უჭირდა, რომ თავის კოლეგა ქალბატონებს ძველ ტანსაცმელს სთხოვდა. დღეს ეს ქალბატონი მხოლოდ თბილისში ფლობს ჩალის ფასად შეძენილ რამდენიმე ისეთ ისტორიულ შენობას, რომელთა ფასი რამდენიმე ათეულს კი არა ასეულ მილიონ დოლარს აჭარბებს!..**

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილის ძმებზე, ცოლეულებზე, ბიძაზე, უახლოეს გარემოცვასა და მეგობრებზე, რომლებმაც ქვეყნის სიმდიდრე და ქონება შეთქვლიფეს!..

ის კაცია თქვენი არჩევანი, რომელმაც „ბი-ბი-სი"-ს ეთერში ჰალსტუხი შეჭამა?!

სულ ეგა ხართ? საქართველოსთვის მხოლოდ ეგეთი „ძაღლიშვილი" გემეტებათ?

მინდა გითხრათ, რომ ისეთ „ძაღლიშვილს", როგორიც სააკაშვილია, კრემლი საქართველოს არ აკადრებდა!..

**საერთოდ კი უკლებლივ ყველა „ძაღლიშვილს" — დახვეწილსა თუ ჰალსტუხისჭამიას, მაღალსა თუ დაბალს, განათლებულსა თუ უმეცარს, მამაცსა თუ მიწაზე მფორთხავს, ყველას ძაღლი მიაკვდა სულში, პატივცემულო მკითხველო და „ძაღლიშვილების" პატრონებო!..**

**ლუკა აბუსერიძე**



**მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი, «რუზველტის შკალის» მიხედვით, აშკარად «ამერიკის ძაღლიშვილია» (!!!). ასეთებს კი დასავლეთში ძალიან, ძალიან უფრთხილდებიან!..**

დღეს გრიგოლ ვაშაძეს, სააკაშვილის ხელისუფლების სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებთან ერთად, აქვს სრული შესაძლებლობა, ჩაიხედოს სარკეში და ნახოს, რა ემართება ადამიანებს, რომლებსაც არ აინტერესებთ, რას ამბობს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის შეფი (ექსპერტებზე, ლიფტიორებსა და ქართველ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ).



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რას წერს ბიძინა ივანიშვილზე ამერიკული დაზვერვა?

**გასულ კვირას აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა სენატის დაზვერვის საკითხების კომიტეტს წარუდგინა ტრადიციული მოხსენება, რომელშიც მიმოხილული და შეფასებული იყო მსოფლიოში არსებული საფრთხეები; ამ დოკუმენტში, სხვა ქვეყნებთან ერთად, მოხსენიებულია საქართველოც, თანაც საკმაოდ საინტერესო კონტექსტში.**

პირველად ჯეიმს კლაპერმა და მისმა ყოველწლიურმა მოხსენებამ ქართული საზოგადოების ყურადღება 2011 წლის დასაწყისში მიიპყრო. მაშინ სააკაშვილის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის კრიტიკისთვის ოპოზიციამ გამოიყენა მონაკვეთი ამ მოხსენებიდან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **დაძაბულობას რეგიონში ხელს უწყობს არა მხოლოდ „მოსკოვის სამხედრო ყოფნა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები მათთან და, ამასთან ერთად, საქართველოს უკმაყოფილება სტატუს კვოთი“,** არამედ საქართველოს საჯარო მცდელობებიც **„კავშირები დაამყაროს რუსეთის ჩრდილო კავკასიაში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან“,** რაც, მოხსენების თანახმად, **„ასევე უწყობს ხელს ამ დაძაბულობას“.**

სააკაშვილის ხელისუფლება მაშინ ფრიად გაღიზიანდა ამ წინადადების და ოპოზიციის კრიტიკის გამო და საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: **„აბსოლუტურად არ მაინტერესებს, რას ამბობს კლაპერი“.** ამავე ინტერვიუში ვაშაძემ აგდებით მოიხსენია „ამერიკული პროგრესის ცენტრის“ ექსპერტები სამუელ ჩარაპი და კორი ველტი („ენჯეოშნიკების“ აზრი არ მაინტერესებს... მყავს ლიფტიორი, რომელიც არის „ენჯეოშნიკი“... და ა. შ.), რომლებიც მაშინ ასევე მიუთითებდნენ საფრთხეებზე, რომლებიც სააკაშვილის „ახალი კავკასიური პოლიტიკიდან“ გამომდინარეობდა. ვაშაძეს ეს ინტერვიუ წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იმისა, რომ **სააკაშვილის რეჟიმი გამაფრთხილებელ სიგნალებს გარე სამყაროდან ადეკვატურად ვერ აღიქვამდა და ელემენტარული ზრდილობის მწვავე დეფიციტს განიცდიდა.** დღეს გრიგოლ ვაშაძეს, სააკაშვილის ხელისუფლების სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებთან ერთად, აქვს სრული შესაძლებლობა, ჩაიხედოს სარკეში და ნახოს, რა ემართება ადამიანებს, რომლებსაც არ აინტერესებთ, რას ამბობს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის შეფი (ექსპერტებზე, ლიფტიორებსა და ქართველ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ).

მიუხედავად იმისა, თუ როგორ აფასებს თითოეული ჩვენგანი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, ალბათ, ვერ უარვყოფთ, რომ **ეროვნული დაზვერვის დირექტორის ყოველწლიური მოხსენება ანალიზისთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს.** ის არ სცდება ადმინისტრაციის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის კალაპოტს, მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია გარე სამყაროზე და დატვირთულია სიგნალებით, რომელთა გაშიფრვა ძალზე საინტერესო და სასარგებლოა, როგორც აშშ-ის მოკავშირეებისთვის, ისე მოწინააღმდეგეებისთვის. საინტერესო მაგალითი, ორი, თითქმის იდენტური აბზაცი 2011 და 2012 წლების მოხსენებებიდან:

**„საქართველოს ახალი კონსტიტუცია აძლიერებს პრემიერ-მინისტრს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. პრეზიდენტ სააკაშვილს არ მიუთითებია მის სამომავლო გეგმებზე, მაგრამ მისთვის ხელმისაწვდომია შესაძლებლობა, ახალი კონსტიტუციის პირობებში პრემიერ-მინისტრად იმუშაოს“** (ეს 2011 წლის მოხსენებაა). **„საქართველოს ახალი კონსტიტუცია აძლიერებს პრემიერ-მინისტრს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რის გამოც ზოგი მოელის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეიძლება სცადოს ხელისუფლებაში დარჩენა, როგორც პრემიერ-მინისტრმა, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს დაძაბულობის შემცირების პერსპექტივაზე“** (ეს 2012 წლის ციტატაა; „დაძაბულობა“ ნახსენებია მის წინა აბზაცში აღწერილი რუსეთ-საქართველოს რთული ურთიერთობების კონტექსტში).

ერთი შეხედვით, პირველი ციტატა თითქმის უწყინარია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საგაზეთო სტატია კი არა, საფრთხეების ჩამონათვალია და ამა თუ იმ ფაქტის (ამ შემთხვევაში, სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერების) მოხვედრა მასში დაფიქრებისთვის და, ზოგჯერ, ტაქტიკის კორექტირებისთვის საკმარის საბაბს წარმოადგენს. მაგრამ **სააკაშვილმა არ შეისმინა გზავნილები ვაშინგტონიდან, რომელთაც, ცხადია, არა მხოლოდ ეს დოკუმენტი, არამედ არაერთი სხვა ანგარიშგასაწევი პუბლიკაცია შეიცავდა, მოქმედებდა ისე, როგორც მოეხასიათებოდა და შედეგად მიიღო ის, რომ მომდევნო, 2012 წლის მოხსენებაში ის და მისი სამომავლო გეგმები უკვე ღიად წარმოჩენილი იყო, როგორც პრობლემური ფაქტორი, ხოლო თეთრი სახლი სხვადასხვა ფორმით მიუთითებდა, რომ დარჩენა ხელისუფლებაში კარგს არაფერს მოუტანს. რეჟიმი მაინც „თავისას უზერავდა“ და, რომ იტყვიან, მიიღო ის, რაც მიიღო.**

წლევანდელ მოხსენებაში, რომელიც აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა სენატის პროფილურ კომიტეტს წარუდგინა, ჩვენს ქვეყანაზე შემდეგი რამ წერია: **„ბოლოდროინდელი მოვლენები საქართველოში, საპარლამენტო არჩევნებში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ორმხრივი დაძაბულობის შერბილების ახალ იმედს გვთავაზობს. პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა გამოხატა დაინტერესება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით და ცდილობს, მოსკოვთან დიალოგის ტონი გააუმჯობესოს. მაგრამ, პრეზიდენტ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ, საქართველო გარდამავალი პოლიტიკური პერიოდის გამოწვევებისა და შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის გაზრდილი რისკის წინაშე დგას“.**

სააკაშვილის ლობისტებს არ აქვთ შესაძლებლობა, ამერიკული დაზვერვის დოკუმენტები ჩაასწორონ და, ალბათ, ამიტომ **მოხსენებაში არაფერია ნათქვამი საქართველოს ახალი მმართველის წარმოსახვით „ავტორიტარიზმზე“ ან „პრორუსულობაზე“.** საჭიროების შემთხვევაში, მსგავს შეფასებებს არ ერიდებიან, მაგალითად, ვიქტორ იანუკოვიჩზე ამ მოხსენებაში წერია, რომ ის ავტორიტარიზმისკენ მიდის, ხოლო ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს საერთოდ მიწასთან ასწორებენ. მაგრამ ერთია ფაქტების ინტერპრეტაცია მაშინ, როდესაც დასკვნის გამოტანისთვის თუნდაც მინიმალური საფუძველი არსებობს და სულ სხვაა აღვიარხსნილი ტყუილი, რომელიც ფაქტებით არ დასტურდება. დაზვერვამ, იდეაში, შეიძლება მოახდინოს ფაქტების ინტერპრეტაცია, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე (ეს ძლიერ არასასურველია, მაგრამ ხდება ხოლმე; შეგვიძლია გავიხსენოთ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული ეპოპეა), თუმცა მას არ შეუძლია პირდაპირ, ცინიკურად მოატყუოს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება. **კლაპერი ვერ წარმოაჩენს ივანიშვილის მთავრობას ფაქტორად, რომელიც რეგიონში საფრთხეებს ამრავლებს და აშშ-ის პოზიციებს ძირს უთხრის, როდესაც ის მსგავსს არაფერს აკეთებს და, პირიქით, ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას, რაც მოხსენებაში აღნიშნულია კიდეც.**



**კლაპერი ვერ წარმოაჩენს ივანიშვილის მთავრობას ფაქტორად, რომელიც რეგიონში საფრთხეებს ამრავლებს და აშშ-ის პოზიციებს ძირს უთხრის, როდესაც ის მსგავსს არაფერს აკეთებს და, პირიქით, ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას**

2008 წლის ომის შემდეგ, ეროვნული დაზვერვის დირექტორის ყველა მოხსენებაში რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციული ურთიერთობა აღიწერებოდა საკმაოდ დრამატულად, როგორც დიდი საფრთხის შემცველი რამ, წელს კი ის მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, ისიც ივანიშვილის სამშვიდობო ძალისხმევის კონტექსტში; ეს არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე რეალურად არ შემცირდებოდა.

საქართველოს ახალი ომი რუსეთთან, ძალიან დიდი ალბათობით, მკვეთრად დაასუსტებს აშშ-ის პოზიციებს რეგიონში, მითუმეტეს, რომ რუსეთის არმიამ რეფორმის შემდეგ, ამავე მოხსენების თანახმად, „მიიღო შესაძლებლობა, უფრო სწრაფად დაამარცხოს მისი პატარა მეზობლები და პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტურ სამხედრო ძალად დარჩეს“. **იმის არდაშვება, რომ მოვლენები 2008 წლის სცენარით განვითარდეს (და, სავარაუდოდ, უარესი შედეგით დასრულდეს) ობამას ადმინისტრაციისთვის რეგიონში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭებას, ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს.**

რაც შეეხება გარდამავალი პერიოდის გამოწვევებს, ეს ობიექტური რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. ავტორიტარული რეჟიმის სრული დემონტაჟი რთული, დროში გაწელილი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. **„შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის გაზრდილი რისკი“,** ალბათ, უფრო საყურადღებო ფორმულირებაა; საფრთხე მონიშნულია, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზები იდენტიფიცირებული არ არის.

დროებით გვერდზე გადავდოთ კლაპერის მოხსენება და შევეცადოთ, საინტერესო კითხვას ვუპასუხოთ: **რა აღელვებს დასავლელ პარტნიორებს უფრო მეტად — დანაშაული, რომელიც სააკაშვილის ჩინოვნიკებმა წარსულში ჩაიდინეს, თუ დესტაბილიზაცია, რომელიც მათმა ამბიციებმა შეიძლება მომავალში გამოიწვიონ?** ქართველების უმრავლესობისთვის დღეს მთავარია „დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა“ და სამართლიანობის აღდგენა, ანუ ის, რაც უახლოეს წარსულს უკავშირდება. არაერთი ადამიანი თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ გასაგებად აუხსნის დასავლეთს, რას სჩადიოდა სააკაშვილის ჯგუფი, ამერიკა და ევროპა შეშფოთდება, აღშფოთდება და მართლმსაჯულების აღსრულებას გაგებით მოეკიდება. რა თქმა უნდა, წარსულის კოშმარული ფაქტების გამომზეურება არაერთი დასავლელი უფლებადამცველის, ჟურნალისტისა და, უბრალოდ, პატიოსანი ადამიანის ემოციებსა და დამოკიდებულებაზე სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს, მაგრამ, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ პრაგმატულ და გარკვეულწილად ცინიკურ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც აწმყოსა და მომავალს გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე წარსულს.

**პოლიტიკასთან დაკავშირებულ პირებს დასავლეთში დიდად არ სიამოვნებთ, როდესაც ქართველები სააკაშვილის ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ესაუბრებიან, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში მისი პარტნიორები იყვნენ და, საერთოდ, ეს პრობლემატიკა მათთვის ნაკლებად აქტუალურია.** სამართლიანობის აღდგენა საქართველოში მათთვის არანაირ ხელშესახებ ამონაგებს არ უკავშირდება, პირიქით, შეიძლება გარკვეული საიმიჯო დანაკარგები მოუტანოს. მაგრამ **იმ შემთხვევაში, თუ მთავარი აქცენტი გაკეთდება სააკაშვილის ჯგუფის დამაჯერებელ წარმოჩენაზე ისეთ ფაქტორად, რომელმაც შეიძლება მომავალში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რაც დასავლელი პარტნიორების პოზიციებს საქართველოში დიდ პრობლემებს შეუქმნის, ისინი ამ საფრთხის ნეიტრალიზაციას, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერენ და ხელსაც შეუწყობენ.** ამ კონტექსტში, დასჯა წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის ახალი პრობლემების პრევენციის საშუალებად გადაიქცევა (ხმამაღლა ამას არავინ იტყვის, თუმცა რეალურად საქმე სწორედ ამასთან გვექნება). წარსულის მომავალზე მიბმის სტრატეგია შეიძლება საკმაოდ ეფექტური გამოდგეს, უბრალოდ, მას კარგი რეალიზაცია სჭირდება.

თეორიულად, თუნდაც ირიბი მინიშნება იმაზე, რომ სააკაშვილის ჯგუფი ძალადობრივ აქციებს გეგმავს, ალბათ, გაცილებით უკეთ „იმუშავებს“ დასავლეთში, ვიდრე ათასობით დოკუმენტი 2004-12 წლებში ჩადენილი დანაშაულის აღწერით. ცხადია, ტყუილი „ნაცების“ სამომავლო გეგმებზე დაუშვებელია, თუმცა, ალბათ, არსებობს არაერთი ფაქტი, რომელიც მსგავსი ინტერპრეტაციისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის შესაძლებობას იძლევა.

**ისე, საინტერესო კია, რას დაწერს ამერიკული დაზვერვა საქართველოზე 2014-ში...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის სახალხო პარტიისთვის საკმაოდ წამგებიანია სააკაშვილის ოპონენტების მოსაზრებების გაზიარება, იმის აღიარება, რომ შეცდა, კარი სადისტ დიქტატორს გაუღო, და „ნაცმოძრაობისთვის“ სტატუსის ჩამორთმევის პროცედურის დაწყება. მისთვის გაცილებით უმტკივნეულოა, „დემოკრატი სააკაშვილის“ მითის დროებით ერთგული დარჩეს, მისი ვადის ამოწურვას დაელოდოს და უხერხულ პარტნიორს ზედმეტი ხმაურის გარეშე დაემშვიდობოს.**

გრძელდება პოლემიკა საქართველოს ახალ ხელისუფლებასა და ევროპის სახალხო პარტიას შორის; ერთ წერილს მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე და დასასრული ამ ეპისტოლარულ რომანს არ უჩანს. რა მიზნებს ისახავენ მასში ჩართული მხარეები და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან საქართველოს?

# ქართული ოცნება და 23 ევროპელი კომისარი



## შარო, საიდან მოდიხარო?

**ევროპის სახალხო პარტია 1976 წელს ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიებმა შექმნეს, შემდეგ მათ კონსერვატიული პარტიებიც შეუერთდნენ და, საბოლოოდ, მან მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიების მსხვილი პანევროპული გაერთიანების სახე მიიღო.** ევროპის სახალხო პარტიაში 73 კოლექტიური წევრი შედის, მას ჰყავს ყველაზე დიდი ფრაქცია ევროპარლამენტში და შთამბეჭდავი წარმომადგენლობა ევროკავშირის ყველა საკვანძო სტრუქტურაში. სრულუფლებიანი წევრების გარდა, **ევროპის სახალხო პარტიის** ღონისძიებებში მონაწილეობენ ასოცირებული და დამკვირვებელი წევრები; დამკვირვებელთა რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად, თურქეთის **სამართლიანობისა და განვითარების პარტია** (ლიდერი — პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი), სომხეთის **რესპუბლიკური პარტია** (ლიდერი — პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი). **„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დამკვირვებლის სტატუსი 2007 წლის სექტემბერში მიიღო და მიხეილ სააკაშვილს მიეცა შესაძლებლობა ევროპის სახალხო პარტიის სამიტებზე საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, რასაც ბოლო დროს ფრიად აქტიურად აკეთებს.** შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ევროპის სახალხო პარტია „ნაციონალებისთვის“ გადაიქცა მთავარ „ფანჯარად ევროპაში“, ადგილად, სადაც მათ ჯერ კიდევ ყურადღებით უსმენენ და მათთვის სასურველ განცხადებებს აკეთებენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარტიის მოქმედი პრეზიდენტი, ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვილფრედ მარტენსი და ზოგიერთი მისი თანაპარტიელი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან ღია პოლემიკაში ჩაება, რომელიც, იმისდა მიუხედავად, რომ მის ფარგლებში რბილი და დიპლომატიური ფორმულირებები გამოიყენება, შეიძლება შეფასდეს, როგორც საკმაოდ მწვავე და ქართულ-ევროპული ურთიერთობების მომავლისთვის უარყოფითი ეფექტის მომტანი.

**ვილფრედ მარტენსი სააკაშვილის აქტიური ადვოკატის როლში ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მოგვევლინა და მისი კრიტიკული განცხადებები ივანიშვილის ხელისუფლების მიმართ საზოგადოების განსჯის საგანი რამდენიმეჯერ გახდა.** ბოლო კვირებში დეტონატორის როლი 23 (19 მათგანი ევროპის სახალხო პარტიის წევრია) ევროპარლამენტარის წერილმა შეასრულა, რომლითაც მათ, ფაქტების ჩამოთვლის გარეშე, იმ უაპელაციო სტილში, რომელსაც თავის დეკრეტებში 26 ბაქოელი კომისარი იყენებდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ასე მიმართეს: **„თუ თქვენი ძალისხმევა დემოკრატიისგან აშკარა უკუსვლას გამოიწვევს, საქართველო უკან დაიხევს, როგორც დემოკრატიული ქვეყანა და მას წაერთმევა ევროპული პერსპექტივა. ასეთ შემთხვევაში თქვენ გახდებით ადამიანი, რომელიც საქართველოს ევროპის კარს დაუხურავს... ნათელია, რომ ზეწოლა პარლამენტის წევრებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებზე, გამოცხადებული და მუდმივი ზეწოლა სასამართლოსა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე, აგრეთვე, აგრესიული რიტორიკა და ბრბოს გამოყენება პოლიტიკურ ოპონენტებთან დასაპირისპირებლად, ასევე უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის ხშირი გამოყენება, საქართველოს ევროპულ ოცნებას აშორებს“.**

მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა ევროპარლამენტარების მცირე ჯგუფს (19 დეპუტატი 736-დან), ამ წერილმა საქართველოში ძალზე ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. საქმე ის როდია, რომ ჩვენი დემოკრატია უპრობლემოა ან კრიტიკა ზოგადად მიუღებელი; ასე ნამდვილად არ არის. **საზოგადოების დიდი ნაწილი უკიდურესად გააღიზიანა იმან, რომ ამ წერილში ადრინდელი მდგომარეობა, ფაქტობრივად, წარმოჩენილი იყო, როგორც „უკეთესი დემოკრატია“, ხოლო ბრალდებები დასაბუთებული არ იყო.**

პარლამენტის თავმჯდომარემ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა ამ წერილს ვრცელი პასუხი გასცეს. ისინი შეეცადნენ, არგუმენტირებულად აეხსნათ, თუ რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი, დაემტკიცებინათ, რომ გამოთქმული ბრალდებები უსაფუძვლოა და საქართველო მიიწევს დემოკრატიისკენ და არა საპირისპირო მიმართულებით. საინტერესოა, რამდენად სწორი იყო ამის გაკეთება? უნდა გასცენ თუ არა ასეთი ფორმატის პასუხი სუვერენული ქვეყნის ხელისუფლების პირველმა პირებმა ევროპარლამენტარების ჯგუფს, რომელიმე ფრაქციას ან პარტიას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ბრალდებები დასაბუთებული არ არის?

**როგორ მოიქცეოდა ასეთ სიტუაციაში ჩვეულებრივი დიქტატორი, რომელიც ძია სემის მხარდაჭერით სარგებლობს? ის, სავარაუდოდ, აღმოაჩენდა** (ან დამაჯერებლად გააყალბებდა; სახელმწიფოს რესურსი ამის შესაძლებლობას იძლევა) **დოკუმენტურ მტკიცებულებებს იმისა, რომ ევროპის სახალხო პარტიის თავკაცები ქვეყნის ყოფილი მმართველებისგან დიდძალ, საეჭვო წარმომავლობის თანხებს იღებდნენ, ან მართლა მიუშვებდა გამწარებულ ხალხს** (პოლიცია 20 წუთით დააგვიანებდა; ტელეფონი გაუფუჭდებოდა) **და რამდენიმე ყოფილ ზონდერფიურერს ლინჩის წესით გაასამართლებინებდა, ან კიდევ მოახდენდა იმის დემონსტრირებას, რომ „ჩრდილოეთით წავა“** (განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამის გაკეთება მრავალათასიან მიტინგზე), **გამოიყენებდა სხვა, მათ შორის, გაცილებით ეფექტურ საშუალებებს და საბოლოოდ მიიყვანდა სიტუაციას იმ სტადიამდე, როდესაც ძია სემი იძულებული გახდებოდა, კონფლიქტის დარეგულირებაში ჩარეულიყო** (სხვა რა უნდა ქნას, მაშინ როდესაც „რეჟიმის შეცვლისთვის“ ობიექტური წინაპირობები არ არსებობს და ამ გზით წასვლა უარეს დესტაბილიზაციას მოიტანს?). სავარაუდოდ, დაარეგულირებდა კიდეც; ეს მას ნამდვილად ეხერხება. **ეს იქნებოდა კლასიკური ტრიუკი „ჩვენი ძაღლიშვილების“ სტილში, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ გზით არ წავიდა, რადგან ეს დიქტატორის არჩევანი, სიცრუისა და შანტაჟის პოლიტიკა იქნებოდა და პატიოსანი თამაშის წარმოება არჩია.**

როგორც ჩანს, მარტენსმა და მისმა კოლეგებმა ევროპის სახალხო პარტიის ხელმძღვანელობიდან ჩათვალეს, რომ ივანიშვილმა თავის მართლება დაიწყო და შეტევის გაძლიერება გადაწყვიტეს. 13 მარტს პარტიის საბჭომ მიიღო დოკუმენტი, რომელიც არაერთმა ქართველმა კომენტატორმა შეაფასა, როგორც თავხედური დიქტატის ნიმუში; მიხეილ სააკაშვილი უკეთესს ვერ ინატრებდა. **მასში ნათქვამი იყო, რომ არჩევნების შემდეგ დემოკრატიის კუთხით უკან გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა და აქედან გამომდინარე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიკაცია საფრთხის ქვეშ დგება.** ასევე ეწერა (მაგალითად), რომ **ევროპის სახალხო პარტია „მოელის საქართველოს მთავრობისგან იმის უზრუნველყოფას, რომ არ იარსებებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აქტივობების არანაირი შეზღუდვა“, მოუწოდებს მას, რომ „არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს ან აღქმულ იქნას, როგორც გამოხატვის თავისუფლების სფეროში ჩარევა“ და ასე შემდეგ,** 23 ევროპარლამენტარის 6 მარტის წერილის სტილში, თითქოსდა ქვეყნის ხელისუფლება რეციდივისტების ჯგუფს წარმოადგენდეს, რომელიც აპრიორი ეჭვმიტანილია დანაშაულში და თავი უნდა იმართლოს.

## მალე ულტიმატუმსაც დაწერენ

**საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში ვიფრედ მარტენსმა „ევროპის სახალხო პარტიის“ მიერ მიღებულ დოკუმენტს „საგზაო რუკა“ უწოდა, ანუ ღონისძიებების გეგმა, რომელიც არსებულიდან სასურველ მდგომარეობამდე წინსვლას გულისხმობს.** ეს უპრეცედენტო შემთხვევაა და, ალბათ, სწორედ ეს ჩათვალეს კომენტატორებმა უდიდეს თავხედობად; სად გაგონილა რომელიმე პარტია საკუთარი ინიციატივით რომელიმე უცხო სახელმწიფოს „საგზაო რუკებს“ უწერდეს და მათ შესრულებას მოითხოვდეს.

**უცხოელებს ასეთ სტილში შეეძლოთ საუბარი სააკაშვილის ხელისუფლებასთან, რომელიც 2008 წლის არჩევნების გაყალბების შემდეგ ლეგიტიმურობის დეფიციტს განიცდიდა, აქედან გამომდინარე, უცხოელების დადებითი შეფასებები მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ისინი დროდადრო ზღვარს სცდებოდნენ. სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდიდან მოდის უცხოელების კომენტარებისთვის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება და შესაძლო შედეგების კატასტროფიზაცია.**

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა (მიუხედავად იმისა, როგორ იქცეოდა სააკაშვილი წარსულში). ის მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-თან, თანდათან ალაგებს ურთიერთობებს რუსეთთან და ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებთან კარგი, პრაქტიკულად, უპრობლემო ურთიერთობები აქვს. **არ არსებობს მიზეზი, რომლის გამო ქვეყნის ხელისუფლებამ თუნდაც ცალი ყურით უნდა მოუსმინოს ტენდენციურ კრიტიკას რომელიმე უცხოური პარტიისგან. ივანიშვილს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, ძალიან უხეშად, ცენზურის დაცვის გარეშე, მიეთითებინა ვილფრედ მარტენსისთვის, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს ის თავის პარტიასთან ერთად; ამას ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ძალიან დიდი ალბათობით ოვაციებით შეხვდებოდა. მაგრამ ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, მთავრობამ ევროპის სახალხო პარტიას ახალი წერილი გაუგზავნა, რომელშიც საკმაოდ დიპლომატიურად შეეცადა, აეხსნა ოპონენტებისთვის, რაში ცდებიან ისინი. „მჯერა, ერთად შევძლებთ ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნას, რომელიც მაღალ ევროპულ სტანდარტებს დაეფუძნება“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა თანმდევ განცხადებაში. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რა საჭიროა ეს რევერანსები?**

ზოგადად, სუსტმა სახელმწიფომ (პრინციპში, ძლიერმაც) მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ახალი მტრები არ გაიჩინოს, მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენენ ისინი და რამდენად ხშირად ცრუობენ. პოლიტიკისა და დიპლომატიის მწვერვალი მტრის მტრად გამოცხადება კი არა, მისი მოყვარედ თუ არა, ნეიტრალად გადაქცევა მანიცაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ივანიშვილ- ▶



**სააკაშვილმა იმ პირობებში, როდესაც დასავლელი მოკავშირეები ერთი მეორის მიყოლებით ივიწყებენ მას, არ უნდა იგრძნოს, რომ «მარტოდმარტო დარჩა», რადგან მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიძლება უკონტროლო გახდეს და დასავლელ პარტნიორებზე მაკომპრომენტირებელი «ცრუ მოგონებების» (ან სულაც, ნამდვილის) გავრცელება დაიწყოს. მარტენსის პარტია ამ კონტექსტში ერთგვარი «უსაფრთხოების ბალიშის» როლს ასრულებს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილი თანამდებობას დატოვებს, ინტერესი მის მიმართ ევროპის სახალხო პარტიაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შემცირდება და სასურველია, ამ მომენტისთვის ივანიშვილის ხელისუფლება და ეს პარტია ერთმანეთს მოსისხლე მტრებად არ აღიქვამდნენ, ეს ახალ (სააკაშვილის გარეშე) რეალობაში თანამშრომლობას ხელს შეუშლის.**



**რატომ იკავებენ დღეს მარტენსი და მისი თანაპარტიელები პოზიციას, რომელიც არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ, ერთი შეხედვით, საღ აზრსაც ეწინააღმდეგება?**

მა არ გასცა მარტენსს ის პასუხი, რომელსაც, კომენტატორების დიდი ნაწილის აზრით, ის ამ „საგზაო რუკის" გამოქვეყნების შემდეგ იმსახურებდა. ალბათ, ამ კონტექსტში საჭიროა სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებაც — **მას შემდეგ, რაც სააკაშვილი თანამდებობას დატოვებს, ინტერესი მის მიმართ ევროპის სახალხო პარტიაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შემცირდება და სასურველია, ამ მომენტისთვის ივანიშვილის ხელისუფლება და ეს პარტია ერთმანეთს მოსისხლე მტრებად არ აღიქვამდნენ, ეს ახალ (სააკაშვილის გარეშე) რეალობაში თანამშრომლობას ხელს შეუშლის.**

მთელი ამ ისტორიის ფონზე შეიძლება დაიბადოს კითხვა: **რატომ იქცევა ევროპის სახალხო პარტია სწორედ ასე — ებღაუჭება სააკაშვილს** (ანუ წარსულს) **და, ფაქტობრივად, მისი რუპორის როლს ასრულებს? რატომ არ სურს, დაკავდეს სიტუაციის რეალური მონიტორინგით** (თუნდაც მუდმივმოქმედი მისია დააწესოს) **და პოლემიკაში დაუსაბუთებელ ბრალდებებს იყენებს?** და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც საზოგადოებაში ყველაზე ხშირად ისმის: **სად იყვნენ აქამდე, სად იყვნენ მაშინ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ხოცავდა და აწამებდა ადამიანებს და მიწასთან ასწორებდა დემოკრატიულ პრინციპებს, დამოუკიდებელ სასამართლოსა და მასმედიას?**

**რატომ იქცევა ევროპის სახალხო პარტია სწორედ ასე — ებღაუჭება სააკაშვილს (ანუ წარსულს) და, ფაქტობრივად, მისი რუპორის როლს ასრულებს? რატომ არ სურს, დაკავდეს სიტუაციის რეალური მონიტორინგით (თუნდაც მუდმივმოქმედი მისია დააწესოს) და პოლემიკაში დაუსაბუთებელ ბრალდებებს იყენებს? და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც საზოგადოებაში ყველაზე ხშირად ისმის: სად იყვნენ აქამდე, სად იყვნენ მაშინ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ხოცავდა და აწამებდა ადამიანებს და მიწასთან ასწორებდა დემოკრატიულ პრინციპებს, დამოუკიდებელ სასამართლოსა და მასმედიას?**

## რიგითი სააკაშვილის გადასარჩენად

გულუბრყვილობაა იმის წარმოდგენა, რომ ევროპის სახალხო პარტიის წევრები ობიექტური ინფორმაციის დეფიციტს განიცდიან და იძულებულნი არიან, სააკაშვილის მონაყოლსა და ინტერპრეტაციებს დაეყრდნონ. ჩვენ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, როდესაც ინფორმაცია არ იკარგება, ხოლო მისი დამალვა პრაქტიკულად შეუძლებელია. **რატომ იკავებენ დღეს მარტენსი და მისი თანაპარტიელები** (იგულისხმება მათი მცირე ნაწილი და არა უზარმაზარი, სხვადახვა ქვეყნების პარტიებისგან შემდგარი ერთობა) **პოზიციას, რომელიც არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ, ერთი შეხედვით, საღ აზრსაც ეწინააღმდეგება?**

ძნელი სათქმელია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჩათვალეს ევროპის სახალხო პარტიაში, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მემარჯვენეცენტრისტული ორიენტაციისაა და მიხეილ სააკაშვილი შეიძლება სერიოზული ევროპელი პოლიტიკოსების გვერდით დასვან. ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს 2007 წელს მოხდა, როდესაც „ვარდოსანი ხელისუფლებისათვის" ავანსების გაცემის პერიოდი დასრულებული არ იყო, ხოლო განსაკუთრებით მძიმე ეპიზოდები მას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

**მისთვის გაცილებით უმტკივნეულოა, დროებით „დემოკრატი ევროპის სახალხო პარტიისთვის საკმაოდ წამგებიანია სააკაშვილის ოპონენტების მოსაზრებების გაზიარება, იმის აღიარება, რომ შეცდა, კარი სადისტ დიქტატორს გაუღო, და „ნაცმოძრაობისთვის" სტატუსის ჩამორთმევის პროცედურის დაწყება.**

სააკაშვილის" მითის ერთგული დარჩეს, მისი ვადის ამოწურვას დაელოდოს და უხერხულ პარტნიორს ზედმეტი ხმაურის გარეშე დაემშვიდობოს.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ნუთუ ვერ დაინახეს, ვისთან ჰქონდათ საქმე? სამწუხაროდ, ევროპის ისტორია სავსეა მაგალითებით, როდესაც ამა თუ იმ დიქტატორის მმართველობის პირველ პერიოდში მას აღტაცებით უყურებდნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყანაში; ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ მხრივ ბენიტო მუსოლინია. ეს ფენომენი ნამდვილად არსებობს და ძნელი სათქმელია, რა უნდა ვუწოდოთ მას — **„ევროსიბრმავე"** თუ **„ევროიდიოტიზმი".** ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდში მან ძნელად შესამჩნევი, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო როლი შეასრულა.

არის კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი — ვიღაც დასავლეთში „სააკაშვილის მითის" დამცველად უნდა დარჩეს და, როგორც ჩანს, ეს მისია ევროპის სახალხო პარტიამ იტვირთა, მაშინ, როდესაც მთავრობები და წამყვანი მედიასაშუალებები სავსებით პრაგმატულად გათავისუფლდნენ მისგან. დასავლეთში სააკაშვილის გულშემატკივრების რიგები დრამატული სისწრაფით შემცირდა და ის, ფაქტობრივად, მარტენსის, „მეორე ეშელონის" რამდენიმე პოლიტიკოსის, ექსპერტისა და გამოცემის ამარა დარჩა. რეჟიმის ადვოკატების როლს ისინი, სავარაუდოდ, მომავალშიც შეასრულებენ და ქართული გამოძიების მიერ გამოქვეყნებულ მტკიცებულებებსაც გარკვეული დროის განმავლობაში ეჭვქვეშ დააყენებენ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ვარდოსანთა იმიჯის" ანიჰილაცია ელვისებურად მოხდება და კატასტროფის ნიშნებს შეიძენს, ხოლო უხერხული კითხვა „ვის ვუჭერდით მხარს?" მთელი სიმწვავით დადგება.

ამასთანავე, **სააკაშვილმა იმ პირობებში, როდესაც დასავლელი მოკავშირეები ერთი მეორის მიყოლებით ივიწყებენ მას, არ უნდა იგრძნოს, რომ „მარტოდმარტო დარჩა", რადგან მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიძლება უკონტროლო გახდეს და დასავლელ პარტნიორებზე მაკომპრომენტირებელი „ცრუ მოგონებების"** (ან სულაც, ნამდვილის) **გავრცელება დაიწყოს.**

მარტენსის პარტია ამ კონტექსტში ერთგვარი „უსაფრთხოების ბალიშის" როლს ასრულებს.

შესაძლოა, „მარტენსმა და კომპანიამ" კიდევ ერთი მისია უნდა შეასრულონ — მოაწყონ ერთგვარი ტესტი ივანიშვილისთვის (და მისი ხელისუფლებისთვის), როგორ რეაგირებს ის სხვადასხვა სახის გამოწვევაზე, როგორია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, სააკაშვილივით მარიონეტის პოზაში ჩადგება თუ მოუხერხებელი პარტნიორი იქნება და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ეს ინფორმაცია საკმაოდ ღირებულია დასავლური ისტებლიშმენტისთვის (თუმცა აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ვინ გადაწყვიტა ამ ტესტირების ჩატარება?). ალბათ, არის სხვა, შედარებით უმნიშვნელო მოტივებიც, თუმცა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მთავარი კი, სავარუდოდ, ისაა, რომ არ აღვიქვათ ეს პოლემიკა, როგორც კოსმოსური მნიშვნელობის მქონე და გლობალური შედეგების მომტანი. ეს უფრო ჰგავს თამაშს, რომელშიც უკანასკნელად თამაშდება გაჭრილი, უსარგებლო კარტი, იმის იმედით, რომ ის თუნდაც მინიმალურ სარგებელს მოიტანს. სხვა მიზნებისთვის სააკაშვილის გამოყენება, კაცმა რომ თქვას, უკვე შეუძლებელია.

**ცხადია, ყოველივე თქმული, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დაივიწყონ, თუ როგორც სცადა 23-მა ევროპელმა პარლამენტარმა დალაპარაკება მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან 26 ბაქოელი კომისრის სტილში და შესაბამისი დასკვნების გამოტანაზე უარი თქვან.**

**დიმიტრი მონიავა**



**არ არსებობს მიზეზი, რომლის გამო ქვეყნის ხელისუფლებამ თუნდაც ცალი ყურით უნდა მოუსმინოს ტენდენციურ კრიტიკას რომელიმე უცხოური პარტიისგან. ივანიშვილს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, ძალიან უხეშად, ცენზურის დაცვის გარეშე, მიეთითებინა ვილფრიდ მარტენსისთვის, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს ის თავის პარტიასთან ერთად**

## «ყველა ნაცისტი დამნაშავე — ვირის აბანოში!»

**ყოფილი პარლამენტარი, პეტრე მამრაძე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაგეგმილ აქციაზე საუბრობს. მისი თქმით, 19 აპრილს დაგეგმილი აქცია არის ნაძირლების წინასწარ გამოცხადებული მარში და რას მოიმოქმედებს სააკაშვილი, წინასწარ არავინ იცის.**

„საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სძულს სააკაშვილი და მისი ბანდა! სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ისევ რაღაც პროვოკაცია რომ მოაწყონ და ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანონ, მათ ვერანაირი პოლიცია ველარ დაიცავს!", — აცხადებს მამრაძე „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში.

მისივე თქმით, მისთვის სამართლიანობის აღდგენა დანაშაულებრივი რეჟიმის პასუხისგებაში მიცემას ნიშნავს.

„სააკაშვილს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, კეზერაშვილსა და მათ დამქაშებს ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულების მცირე ნაწილი რომ დაუმტკიცდეთ, სამუდამო პატიმრობა არ ასცდებათ! თუ ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება გვინდა, უნდა ვიხელმძღვანელოთ დევიზით: „ყველა ნაცისტი დამნაშავე – ვირის აბანოში!" — განაცხადა მამრაძემ.



## «ის, რაც მოვისმინე, რადიკალურად შეცვლის გირგვლიანის საქმის ვითარებას»

**პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი, ელენე თევდორაძე, სანდრო გირგვლიანის საქმეზე დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრას იხსენებს:**

„არასდროს დამავიწყდება შეხვედრა გირგვლიანის საქმეზე დაპატიმრებულ პირებთან. ავჭალის კოლონიაში ვიყავი, წამოსვლას ვაპირებდი, როცა კართან დამხვდნენ. ჩემთან საუბარი უნდოდათ. არ მაქვს უფლება, გითხრათ ის, რაც მათგან მოვისმინე, მაგრამ, შესაძლოა, დადგეს დრო, როცა ისინი იტყვიან იმას, რაც მე მითხრეს. ეს კი რადიკალურად შეცვლის საქმის ვითარებას. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რაც მათ ვუთხარი, რომ, თუ თავის თავზე აიღეს ეს დანაშაული, ნუ ელოდებიან, რომ შეწყალების კომისია მათ დადებით რეკომენდაციას მისცემთ. იქიდან წამოსულმა ბაჩო ახალაიას დავურეკე: ბევრი რამ მოვისმინე მათგან და თქვენს სინდისზეა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში არიანმეთქი პატიმრები. მათ მიმართ ძალიან აგრესიულნი იყვნენ. შიშობდნენ, არ ვიცით, ცოცხალი გავალთ აქედან თუ არაო".

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩეპლიკა**

**გუშინდელი ოპოზიციური ტელეარხები ისევ იმ „ნაციონალებსა“ და მათ კარის ექსპერტებს გვაყურებინებენ, დღევანდელ ოპოზიციას ეფერებიან, თავზე ხელს უსვამენ და საკუთარი „დაბალანსებულობით“ ტკბებიან! იმასაც აღარ კადრულობენ, არქივიდან საკუთარი ცინიკური განცხადებები ამოუღონ და პასუხი დღეს მაინც მოსთხოვონ! კვესიტაძე და პაიჭაძე კი ისევ საზმაუს ეთერიდან გვწამლავენ და ტყუილს სიმართლედ ნათლავენ.**

# ირაკლი, ბაჩანა და არტილერია, ანუ უპიარობის 4 თვე

**ირაკლი ღარიბაშვილი 18 მარტს საპარლამენტო უმცირესობას შეხვდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრი არასოდეს შეხვედრია ოპოზიციას და მით უფრო მის შეკითხვებზე არ გაუცია პასუხი. დემოკრატიის დამკვიდრება იმ პირებთან, რომლებმაც წარმატებით დაასაფლავეს დემოკრატია, სულ ცოტა, მიამიტობაა, მაგრამ იქნებ პიარის თვალსაზრისით არის ეს მომგებიანი?**





შეხვედრაზე უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილიც შევიდა, რომელსაც მინისტრი ეხუმრა: **„უმცირესობაში გადმოხვედი ზაქარია? შენ არავის დაუპატიჟებიხარ, მე მგონი“.** ღარიბაშვილმა ქუცნაშვილს სთხოვა, დაეტოვებინა დარბაზი, დაამშვიდა, ვერ დამჩაგრავენო და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს გაუმეორა: **„რომც სცადოთ, მაინც ვერ დამჩაგრავთ“.**

„ვერ დამჩაგრავთ“, პიარის თვალსაზრისით, ერთობ წამგებიანია; წესით, შინაგან საქმეთა მინისტრი ამას აზრადაც არ უნდა უშვებდეს, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. **შეხვედრის დაწყებამდე „მე-9 არხის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა განაცხადა, რომ ღარიბაშვილი უმცირესობამ დაიბარა. „დაბარებულზე“ სიარული რომ ასევე წამგებიანია, პიარში სრულიად გაუთვითცნობიერებელმა ქუჩის ბიჭმაც იცის. ეს რომ ჟურნალისტს წამოსცდენოდა პირდაპირი ჩართვისას, პატარა შეცდომად ჩავთვლიდით, მაგრამ, როცა წამყვანი წინასწარ დაწერილი ტექსტით აცხადებს „დაიბარესო“, თანაც თავად პრემიერ-მინისტრის მეუღლის კუთვნილი ტელეკომპანიის ეთერში, ეს, სულ ცოტა, გაოცებას იწვევს.**

**ასეთივე, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობა იყო, როცა „მე-9 არხმა“ ირაკლი ალასანიას ბრიუსელის ფორუმში მონაწილეობას ციხიდან ბაჩო ახალაიას მიერ ქართველი არტილერისტებისთვის მათი დღის მილოცვა მოაყოლა. თუ ვინმე ვერ ხვდება, ბრალდებული ახალაიას მილოცვა რომ ნამდვილად არ არის დღის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, თანაც ალასანიასთან დაპარალელებული, ის ვერ ხვდება, რომ მისი პრობლემა ჩვენი, ყველას პრობლემად იქცევა.**

„ქართული ოცნების“ პიარზე, უფრო სწორად, სრულ უპიარობაზე, უკვე ოთხი თვეა, მსჯელობენ. ინტერნეტ-ფორუმებში ყველაზე მეტად მიღებული არგუმენტი ასეთია: **„ქართველებს გველირსა ლიდერი, რომელიც არ იტყუება, რომელსაც არ სჭირდება ტყუილი... ქართველებს არ გვჭირდება ადოლფ ჰიტლერი, ქართველებს გვჭირდება ჩუმი, საქმის მკეთებელი კონრად ადენაუერი, რომელმაც ფერფლიდან აღადგინა გერმანია. ჩვენ გვჭირდება ლიდერი, რომელიც სიმართლეს ეტყვის ერს, ტყუილში არ აცხოვრებს ხალხს“.**

**ის, რომ სიმართლის ხალხამდე მიტანა უნდა შეძლო, ანბანური ჭეშმარიტებაა. სწორედ ეს არის პიარი და არა ის ვირტუალური სამყარო, რომელშიც სააკაშვილი ამყოფებდა ტელემაყურებელს. ამბობენ, რომ „ოცნებამ“ უკვე დაიქირავა ლობისტური კომპანია, რომელიც უცხოეთში საქართველოს ინტერესებისთვის იმუშავებს, მაგრამ „ოცნებას“ შიგნით, საქართველოშიც უჭირს ამ თვალსაზრისით.**

როგორ მოქმედებს მოწინააღმდეგე მხარე? **იგი საკუთარი სიცრუის სიმართლედ შემოსაღებას ახერხებს,** როცა ახალ მთავრობას სიმართლის დამტკიცებაც უჭირს. სულ ახლახან აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ ატეხილი ხმაური ამის თვალსაჩინო ნიმუშია. ვიკიპედიის გვერდზე, რომელიც აგრარულ უნივერსიტეტს ეძღვნება, ინფორმაცია ერთობ მწირია. ფაქტობრივად, იგი 2003 წლის ინფორმაციით სრულდება, რომელშიც ნათქვამია: „2003 წლიდან მას დაერქვა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო და ქვემო ქართლის რეგიონული მრავალპროფილიანი (ქ. მარნეული) ინსტიტუტები, აგრეთვე, თელავის, ახალციხის, მარნეულის, ლანჩხუთის ფილიალები. უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა განლაგებულია თბილისში — დიღომსა (დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ) და კრწანისში (სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა „კრწანისი“).

სამაგიეროდ, სქოლიოში ოპერატიულად არის ჩამატებული ბმული სათაურით: „როცა მე-6 ადგილზე მყოფ უნივერსიტეტს ავტორიზაცია უჩერდება, კითხვები ჩნდება“. ბმულზე კი ფილიპ დიმიტროვის კომენტარია. ინტერნეტის გამოყენება საკუთარი მიზნებით და, რაც მთავარია, საკუთარი ტყუილების „გასაპრავებლად“ იმ გუნდის მოგონილია, რომელიც 9 წელი აბოლებდა ქვეყანასაც და უცხოეთსაც. ბენდუქიძის თემა თითქოს ამოწურულია, მაგრამ სინამდვილეში მის მაქინაციებს არაერთი პუბლიკაცია და ტომეული შეიძლება დაეთმოს. იგი ისე ახერხებს სახელმწიფო ქონების მითვისებას და მთელი სტრუქტურების განადგურებას, რომ თვითონ არსად ჩანს.

ასე მაგალითად, „გურია ნიუსის“ მიერ მომზადებულ მასალაში **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანასეულში მდებარე ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში კადრების შემცირების შესახებ ინსტიტუტის დირექტორი თემურ რევიშვილი** ასეთ ინტერვიუს აძლევს: „მოხდა 14 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შეერთება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან, ანუ მიმდინარეობს რეფორმის, ოპტიმიზაციის პროცესი. ბუნებრივია, ამან გამოიწვია კადრების შემცირება.

— რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს კახა ბენდუქიძესთან? ამბობენ, რომ ეს ინსტიტუტი სწორედ მან შეისყიდა.

— არა, თქვენ ვიღაც თითიდან გამოწოვილ ინფორმაციას გაწვდით. რა შუაშია კახა ბენდუქიძე? აგრარულმა უნივერსიტეტმა ყველა ინსტიტუტში ჩაატარა ოპტიმიზაციის პროცესი, დანარჩენი არის ჭორი და სხვა არაფერი.

— **გასაგებია, ანუ კახა ბენდუქიძე არაფერ შუაშია ინსტიტუტთან?**

— შეიძლება არის კიდეც შუაში, მაგრამ ეს დოკუმენტში არსად წერია.“

აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტწამყვანად მომუშავე ნაციონალი დავით პაიჭაძე სამაგალითოდ აბურთავა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც სკანდალი აიწია და გაპიარდა. არადა, განათლების სამინისტროს წინსწრებით შეეძლო იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ გახდა ცნობილი.

კერძოდ, ირკვევა, რომ 2011 წლის მარტში „აგრარული განათლებისა და მეცნიერების“ ფონდმა აგრარული უნივერსიტეტის ხელში ჩაგდება განიზრახა. 30 მარტს სახელმწიფო მთლიანად გამოვიდა უნივერსიტეტის დამფუძნებლობიდან. ამ ფონდის დამფუძნებელი, თავის მხრივ, კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდია“. კერძო ფონდის ხელში უნივერსიტეტის გადასვლისთანავე, აპრილში სახელმწიფომ შექმნა შპს „აგრომეტი“, რომლის კაპიტალი თავდაპირველად 400 ლარი იყო. თუმცა საწარმოთა მართვის სააგენტომ „აგრომეტის“ კაპიტალში ცვლილება 18-ჯერ შეიტანა და, საბოლოოდ, ის უზარმაზარი ქონების პატრონი აღმოჩნდა. მას გადაეცა ათასობით ჰექტარი მიწა და შენობა-ნაგებობა. მის კაპიტალში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც ფლობდა ყოფილი სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი და მისი კვლევითი ინსტიტუტები — ქარსაცავი ზოლებით დაწყებული, მარნებითა თუ ლაბორატორიებით დამთავრებული.

ეს პროცესი 7-8 თვეს გაგრძელდა. პრივატიზაციის დეპარტამენტმა „აგრომეტის“ პრივატიზების საწყისი ფასი 100 მილიონ ლარად განსაზღვრა. 2011 წლის დეკემბერში აგრარულმა უნივერსიტეტმა, რომლის დამფუძნებელიც უკვე ბენდუქიძე იყო, მიმართა ეკონომიკის სამინისტროს, პირდაპირი წესით 5 მილიონ დოლარად მიეყიდა შპს „აგრომეტის“ 100%-იანი წილი. 2012 წლის 15 თებერვლის პრეზიდენტის განკარგულებით, „აგრომეტის“ ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით 4 მილიონ 150 ათას დოლარად გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს.

ბენდუქიძემ, რომელიც ახლა აგრარულ უნივერსიტეტში განხორციელებული ინვესტიციების ზღაპრებით გვიმასპინძლდება, დადგენილ ვადაში საპრივატიზაციო თანხა ვერ გადაიხადა. სააკაშვილი „გაგებით მოეკიდა“ მის გასაჭირს და 2012 წლის 24 ოქტომბრის (არჩევნებიდან თითქმის ერთ თვეში) განკარგულებით, მყიდველს 24 თვით გაუგრძელა აღებული ვალდებულების შესრულება.

ასე და ამგვარად, **ბენდუქიძემ 100 მილიონად შეფასებული ქონება 4 მილიონად შეიტყაპუნა და დღეს პოლიტიკური მოტივით ავტორიზაციის შეჩერებაზე გველაპარაკება.** რას აკეთებს ამ დროს ახალი მთავრობა? იმის მაგივრად სახელმწიფო ქონების მითვისებასა და განიავებაზე ედავოს სააკაშვილსა და ბენდუქიძეს, აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციაზე ალაყბებს „თავისუფალ უნივერსიტეტში“ ბენდუს ხელში გამოჭყლეტილ ბაკალავრებს!

**თუმცა 9-წლიანი დანაშაულებრივი მმართველობის შემდეგ ციხეში მხოლოდ ბაჩო ახალაია ზის და ისიც თავდაცვის მინისტრ ალასანიას პარალელურად „მეცხრე არხისავე“ ეთერით არტილერისტის დღეს ულოცავს იქიდან სამხედროებს. შაშკინიც ჩამოვიდა და გუნავაც გუბერნატორია. გუშინდელი ოპოზიციური ტელეარხები ისევ იმ „ნაციონალებსა“ და მათი კარის ექსპერტებს გვაყურებინებენ, დღევანდელ ოპოზიციას ეფერებიან, თავზე ხელს უსვამენ და საკუთარი „დაბალანსებულობით“ ტკბებიან! იმასაც აღარ კადრულობენ, არქივიდან საკუთარი ცინიკური განცხადებები ამოუღონ და პასუხი დღეს მაინც მოსთხოვონ! კვესიტაძე და პაიჭაძე კი ისევ საზმაუს ეთერიდან გვწამლავენ და ტყუილს სიმართლედ ნათლავენ.**

ამასობაში ყოფილი მმართველი პარტია შეთანხმებულ სლოგანებს ისვრის და ისედაც დაზაფრულ მოსახლეობას საკუთარი უტიფრობით კიდევ უფრო ამწარებს. „ოცნება“ დანაპირებს არ ასრულებს! შეძახილით ხე გახმაო, ნათქვამია. ჯანდაცვის სამინისტრომ, როგორც ჩანს, შეისმინა, რომ მოსახლეობას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და 18 მარტს ყოველკვირეული გაზეთებთან ერთად „საყოველთაო ჯანმრელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ დაარიგა. მასში ნათქვამია, რომ პროგრამა 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდება. თქვე კაი ოჯახისშვილებო, 18 მარტს ის მაინც დაწერეთ, რომ პროგრამა უკვე ამოქმედებულია!

**ვწერ ახლა ამას და ვფიქრობ: — რა მრჯის, უფასო პიარ-რჩევებს რომ ვიძლევი, ახალი მთავრობა ხომ მიიჩნევს, რომ მისი მთავარი იარაღი სიმართლეა! თუმცა იარაღი მაშინ წაგადგება, როცა მისი მოხმარება იცი, თორემ ქარქაშში ჩაგებული ხმლით ომი ჯერ არავის მოუგია, თუ არადა, ჰკითხეთ გუბაზ სანიკიძეს, მამამისმა „უქარქაშო ხმლები“ დაწერა და ისიც იცოდა, რომ ოდენ სიმართლე ომებს არ იგებს!**

ოდესღაც, რევოლუციამდე, ხალხი რომ ბნელი იყო, იმ ეპოქაში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემა გადიოდა სახელწოდებით „რა ხდება“? მისი წამყვანი კოკა ყანდიაშვილი ხანგრძლივი ემიგრაციიდან დაბრუნდა და სულ ახლახან პრემიერ-მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ჩაუდგა სათავეში. აგერ გწერთ, კოკა ბატონო, რაც ხდება და მიხედეთ, თორემ გაივსო ლოგინი ფეხებით!

**თამარ დავითულიანი**

**P.S. ანეგდოტი იყო ასეთი: ქმარმა გაილვიძა და საკუთარ ლოგინში დამატებით სხვისი ტერფები დაინახა. ცოლი ერთი აშარი ქალი ჰყავდა, რომელიც სიტყვას არ ათქმევინებდა. ჩაიჩურჩულა იმ საწყალმა კაცმა: — იტყვი რამეს და ინტრიგანი ხარო, არადა, გაივსო ლოგინი ფეხებით! ახლა თავად განსაჯეთ, ჩვენს სინამდვილეში ვინ არის ქმარი, ვინ — აშარი ცოლი და კიდევ ვისი ფეხებია ლოგინში!**



**დღეს ერთადერთი ველი, რომელზეც ჩვენს დუშმანს ნაღმის დადების შესაძლებლობა არ აქვს, რუსეთთან ურთიერთობის ველია, რომელიც ბოლო წლებში საცალფეხო ბილიკამდე დავიწროვდა. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მის ბრიგადირებს ამ ველზე არ შეესვლებათ. ამას გრძნობს დუშმანი და ამიტომაც ატეხა სრული ისტერია „ერისიონის“ მოსკოვში გასტროლების გამო, თორემ ასეთი გასტროლები მანამდეც ყოფილა და ხმაც არ ამოუღია არავის!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შენელებული მოქმედების დუშმანი

**ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში 30 წლის წინაც იბრძოდნენ. თუ ახლა დემოკრატია შეაქვთ ამერიკელებთან ერთად, მაშინ ინტერნაციონალურ ვალს იხდიდნენ.
ვალი ვალია, გინდ ინტერნაციონალური დაარქვი, გინდ — კოალიციური. ვალმოხდილი ბიჭები ბრუნდებოდნენ და ყვებოდნენ მოჯაჰედებზე, რომლებსაც დუშმანებად მოიხსენიებდნენ. ბიჭები იმასაც ყვებოდნენ, რომ დუშმანები „რასტიაჟკებს“ დგამდნენ: დაჭიმული მავთული ოდნავ შეხებისას ნაღმის დეტონაციას იწვევდა და გაუფრთხილებელი მებრძოლი ფეთქდებოდა.**

**დუშმანს ქართველები მტერს ეძახიან. დღეს, განსაკუთრებით 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოს ერთი დუშმანი ჰყავს.** როგორც იტყვიან, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარსა და სახელს არ დავასახელებ, მით უფრო, რომ **მასთან ერთად მთელმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უამრავი „რასტიაჟკა“ დატოვა და ახალ მთავრობას მართლაც დანაღმულ ველზე უწევს გზის გაკვლევა.**

ევროპარლამენტართა ყბადაღებულ ეპისტოლარულ ურთიერთობას საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთობ საინტერესო დეტალების გახმაურება მოჰყვა. კერძოდ, როგორც ირკვევა, 750-კაციან ევროპარლამენტში ამ 23 დეპუტატს სწორედ ის აერთიანებს, რომ ისინი ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მრჩევლები, ლობისტები ან პირადი მეგობრები არიან. ერთი მათგანი, **ესტონელი ინდრეკ ტარანდი, 2007 წლიდან მისი მრჩეველი იყო და დღესაც მისი ლობისტია.**

მეორე — **ავსტრიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ერნსტ შტრასერი ორიოდე თვის წინ სასამართლომ კორუფციაში დამნაშავედ სცნო, ხოლო ათი წლის წინ ზუსტად ისე მოქცეულა, როგორც ვანო მერაბიშვილი — გირგვლიანის საქმეში.** შტრასერმა ყველაფერი იღონა, რომ ხელი დაეფარებინა თავისი ხელქვეითებისთვის, რომლებმაც ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. **უნგრელი იორგ შოფლინი ამერიკელებმა და ევროპელებმა არადემოკრატიულობაში ამხილეს, რადგან მან, სტახანოვურად, მოკლე ვადაში, 200 კანონის მიღებით საკუთარ პარტიას უპირატესი მდგომარეობა შეუქმნა.**

ერთი სიტყვით, ევროპარლამენტის ერთობ საეჭვო რეპუტაციის წევრებმა ცალსახად დაუჭირეს მხარი საქართველოს ძველ ხელისუფლებას და პირდაპირ ჩაერივნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში. ამ სახის ნაღმები ჩვენმა დუშმანმა არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩადო. **9 წლის განმავლობაში იგი მეთოდურად იმყარებდა პოზიციებს უცხოეთში, რომელთაც საფუძველი ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩაუყარა მოქალაქეთა კავშირის „რეფორმატორულმა ფრთამ“.**

**ყველაზე მეტი ნაღმი, რა თქმა უნდა, მაინც აქ, საქართველოშია, ჩადებული. პოლიტიკური დავალებების შემსრულებელი პროკურორები და მათი ნების მორჩილად აღმსრულებელი მოსამართლეები, ალბათ, ყველაზე სერიოზული ნაღმია. ამომრჩეველი, რომელიც სულმოუთქმელად ელის სამართლიანობის აღდგენას, ყოველდღიურად ხდება იმის მოწმე, თუ დაკავებულ ბოზბოლა „ნაციონალებს“ როგორ უშვებს გარეთ ერთბაშად „გაჰუმანურებული“ მოსამართლეთა კორპუსი.**

კიდევ ერთი ნაღმი დედაქალაქშია ჩადებული „ნაციონალური“ მერიისა და მისი ურიცხვი სამსახურების სახით. **ნაცვლად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავგანწირული მომხრეები დაასაქმოს, ყოფილი მმართველი პარტია ბიუჯეტიდან ინახავს თავის ყოფილ დეპუტატებს, მეხოტბეებსა და კოორდინატორებს.** საკმარისია, მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი რომელიმე სამსახურში კადრების განახლება მოინდომონ, მაშინვე იწყება ისტერიული განცხადებები „პოლიტიკური ნიშნით დევნაზე“.

**პოლიტიკური ნიშნით ადამიანების ციხეებში ჩაყრით განთქმული „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ მთავრობას გამოლმა ედავება. გამოდის, რომ „კმარას“ აქტივისტები, რომლებმაც უნივერსიტეტებში პროფესორების ადგილები დაიკავეს, ისევ იქ უნდა დარჩნენ, ხოლო პოლიტიკური ნიშნით უნივერსიტეტებიდან გამოყრილი პროფესორ-მასწავლებლები კვლავაც გარეთ უნდა დარჩნენ.**

საზოგადოდ, უნივერსიტეტებში მხოლოდ ეს პრობლემა როდია; „რევოლუციის“ შემდეგ მალევე „ნაციონალებმა“ ყველა უმაღლესი პარტიულ კონტროლს დაუქვემდებარეს და 9 წლის განმავლობაში ახალი კომკავშირელებისა და კომისრების მთელი არმია გამოზარდეს. პრაქტიკულად, **უმაღლესი სკოლა „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ სამჭედლოებად აქციეს და მათ დათმობას არც ახლა აპირებენ.** აგრარული უნივერსიტეტის გარშემო ატეხილი აურზაური სწორედ ამის დემონსტრირებაა და, **ვიდრე „ნაციონალთა“ ეს ბუდეები არ მოიშლება, ესეც ერთ მსხვილ ნაღმად დარჩება ახალი ხელისუფლების გზაზე.**

„რასტიაჟკებია“ დადგმული „ნაციონალური“ ტელემაუწყებლების სახითაც. მათზე ძველი ხელისუფლების კონტროლი შენარჩუნებულია. ამას მოწმობს საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი ვითარებაც. ამ ფონზე გუშინდელი ოპოზიციური ტელეკომპანიები ვერც მაუწყებლობის მასშტაბით, ვერც აქტიურობით მათ კონკურენციას ვერ უწევენ. მთელი საქართველოს მასშტაბით კვლავ „ნაციონალური“ სახეები მეტყველებენ და ხალხს ყოველდღიურად ახალი ხელისუფლების შეცდომებსა თუ დანაშაულზე მოუთხრობენ.



ყურადღებას იქცევს, რომ ყველა ჩამოთვლილ სფეროში მუდამ ერთი და იგივე სახეები ფიგურირებენ. მედია-ჰოლდინგის მფლობელი ბენდუქიძე და ჩერგოლეიშვილი აგრარულ უნივერსიტეტში მოკალათდნენ. ამავე უნივერსიტეტის უფლებებს საპროტესტო აქციებზე „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის, „თავისუფალი უნივერსიტეტისა“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები იცავენ. ეკა კვესიტაძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე ებრძვის „ქართულ ოცნებას“, მისი ქმარი შოთა უტიაშვილი კი აგრარულ უნივერსიტეტს არის შეფარებული „ნაციონალური“ ხელისუფლების შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროების სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად და ზემოთ ნახსენებ „თავისუფალ“ ახალგაზრდებს უმშვენებს მხარს საპროტესტო აქციებზე.

**ერთი და იგივე სახეები არიან ყველგან, „ნაციონალური“ სახეები. თავისუფლება მხოლოდ მათია. 11 მარტს ისინი „ერისიონისთვის“ აეროპორტში „სირცხვილის დერეფნის“ ორგანიზებას აპირებდნენ, მაგრამ გადაიფიქრეს, რადგან იმავე დღეს აგრარული უნივერსიტეტი გაუხდათ „გადასარჩენი“. სოციალურ ქსელებში მათ დასცინეს კიდეც: „ისე ცოტა დარჩით, რომ ორ ადგილას ერთდროულად ვერ იკრიბებით“?**

**ისინი ცოტანი არიან, მაგრამ ძალიან დიდ ხმაურს იწვევენ. მათ გულწრფელად მიაჩნიათ, რომ ყველა ამქვეყნიური სიკეთე მხოლოდ მათ ეკუთვნით — არა აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლებაში არიან თუ ოპოზიციაში! მათ აინუნშიც არ მოსდით, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის გარდა ამქვეყნად სხვა ადამიანებიც არიან და მათაც რაღაც ეკუთვნით.**

ერთი ჩემი მეგობარი იუსტიციის სამინისტროში მივიდა წართმეული ბიზნესის გამო საჩივრის შესატანად. კარგად დახვდნენ, მოუსმინეს, მაგრამ ისიც უთხრეს, რომ მისი განცხადება 11 ათას მეორასე იქნებოდა! ესეც ნაღმია, რომლის ძალას აორმაგებს საეჭვო მინიშნებები „კეთილსინდისიერ მყიდველებზე“, რომელთათვისაც ქონების ჩამორთმევა „ისეთივე დანაშაული იქნება, როგორსაც „ნაციონალები“ სჩადიოდნენ“!

**ნაღმებია ჩადებული დუშმანის მორჩილი პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებსა თუ რეზოლუციებშიც. მათ შორის გამორჩეული „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარებაა. ამ აღიარებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამაგიეროს გადახდის თუ ვინმეს სჯერა, ის უთუოდ თავს ისულელებს. სამომავლოდ კი ამ ნაღმმა საქართველოს შეიძლება არანაკლები პრობლემები მოუტანოს.** ჩერქეზთა ერთობ სადავო გენოციდის საკითხმა, შესაძლოა, სომეხთა გენოციდის საკითხის აღძვრაც გამოიწვიოს, რომლის აღიარებას უთუოდ მოჰყვება თურქეთთან ურთიერთობების დაძაბვა, ხოლო მასზე უარის თქმა ჯავახეთის ავტონომიის მოსათხოვნად საკმარისი საბაბი შეიძლება აღმოჩნდეს. რა გვრჯიდა, როცა რუსეთს ჩერქეზების ნაცვლად ვედავებოდით მათ გენოციდს, ჩვენი პრობლემები არ გვყოფნიდა?

ნაღმებია ადგილობრივ გამგეობებში, სამხარეო სტრუქტურებში, ტენდერებში, კონკურსებში, შესყიდვებში... 9-წლიანმა მონოპოლიამ იმდენად მახინჯი ფორმა მიიღო, რომ ახალ მთავრობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე „რასტიაჟკა“ ხვდება და მანევრის საშუალებას თითქმის აღარ უტოვებს. **„ნაციონალების“ ევროპელი ლობისტებისთვის ჯერ პარლამენტის თავმჯდომარის, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრის მკვახე შეძახილმა ერთგვარი იმედი გააჩინა, რომ ნაღმების გაუვნებელყოფა შესაძლებელია.** თუმცა დასავლური ველი, რომელზეც „ქართული ოცნება“ ძველი ხელისუფლების კვალშია ჩამდგარი, სულაც არ არის უსაფრთხო. დაცული მაშინ ხარ, როცა მეგობრის კვალში დგახარ. როცა დუშმანს მიჰყვები, უნდა ივარაუდო, რომ იგი ნაღმებს თვითონ დაგიდებს.

**დღეს ერთადერთი ველი, რომელზეც ჩვენს დუშმანს ნაღმის დადების შესაძლებლობა არ აქვს, რუსეთთან ურთიერთობის ველია, რომელიც ბოლო წლებში საცალფეხო ბილიკამდე დავიწროვდა. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მის ბრიგადირებს ამ ველზე არ შეესვლებათ. ამას გრძნობს დუშმანი და ამიტომაც ატეხა სრული ისტერია „ერისიონის“ მოსკოვში გასტროლების გამო, თორემ ასეთი გასტროლები მანამდეც ყოფილა და ხმაც არ ამოუღია არავის!**

საქართველომ ბოლო წლებში ბევრი გაკვეთილი მიიღო, მწარე გამოცდილება შეიძინა, რაც მანამდეც არ დაჰკლებია, მაგრამ უპირობო მეგობრობასა და უპირობო მტრობაზე ისე იოლად წამსვლელი აღარ არის, როგორც თუნდაც 2003 წელს. დემოკრატიის სახელით ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის შენება ჩვენი დუშმანის მოგონილი არ არის, მაგრამ მისმა დასავლელმა მეგობრებმა თავისი ორმაგი სტანდარტებით ნამდვილად თავი მოაბეზრეს ქართველებს.

საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება წარმატება. და ეს წარმატება სოციალურზე მეტად სხვა საკითხშია საჭირო. **რუსეთთან მხოლოდ კულტურული და სავაჭრო ურთიერთობებით შემოფარგვლა არაფრის მომტანია. ყველა იმ პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად, რომლებიც დაგროვდა, პირუთვნელი ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებამდე მისვლის რთული გზა არის გასავლელი.** ეს გზა ნაღმებისგან სრულიად თავისუფალი არ არის, მაგრამ დუშმანი ახალი ნაღმების დამატებას ვეღარ მოახერხებს და ესეც შეღავათია.

**„ნაციონალებთან“ კონკურენცია ევროპისა და ნატოსკენ სწრაფვის საკითხში, გარდა იმისა, რომ მეტად რთულია, არც არაფრის მომტანი არ არის.** რეზოლუცია, რომელიც „ნაციონალთა“ ფრაქციის მოთხოვნით მიიღო საქართველოს პარლამენტმა, უფრო დეკლარაციაა და თანაც — ყოფილი მმართველი პარტიის უნაყოფო გზის გაგრძელება. მათ, რა თქმა უნდა, ხელს აძლევთ, რომ ახალმა მთავრობამ მათი რიტორიკა განაგრძოს, რასაც საქართველოს გამთლიანებისთვის არც მათი მმართველობისას მოუტანია რაიმე შედეგი და არც მომავალში მოიტანს, მაგრამ ეს საქართველოს არ აძლევს ხელს....

**„ნაციონალების“ საყვარელი ტესტი ასეთია: „აბა, თქვი: არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი“?**

ყოველთვის, როცა ახალი მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი მათ ამას უდასტურებს, უნდა იცოდეს, რომ მათი კურსის გახანგრძლივებას უწყობს ხელს და უსაშველოდ შორდება საქართველოს გამთლიანებას. 1993 წელს პარლამენტში დეპუტატთა ერთი ჯგუფი დაჟინებით მოითხოვდა დადგენილების მიღებას იმის თაობაზე, რომ რუსეთის ჯარმა, როგორც ოკუპანტმა, უნდა დატოვოს საქართველოს ტერიტორია. თითქოს ქაღალდზე ამის დაწერის შემდეგ ისინი თავქუდმოგლეჯილები გაიქცეოდნენ! მაშინ ჯაბა იოსელიანმა ასეთი რამ თქვა: „ჩემთან, კაბინეტში კაცი რომ შემოვა, ორჯერ რომ ვეტყვი, გადი-თქო და არ გავა, მესამეჯერ აღარ ვამბობ, იმიტომ, რომ მე თვითონ გამოვდივარ ბითურიო“!

**ცნობისათვის: სტამბოლის სამიტის შეთანხმების შედეგად საქართველოს ტერიტორიიდან 2006 წლისთვის სრულად გაყვანილი რუსეთის ჯარი ჩვენმა დუშმანმა სწორედ ამგვარი უგუნური პოლიტიკის შედეგად უკან შემოაბრუნა!**

**ნანა დევდარიანი**

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხშირად მესმის, რომ აფხაზეთი უჩვენოდ ვერ გაძლებს, დაიღუპებაო. მე კი მგონია, რომ პირიქითაა: ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან აფხაზეთს შეუძლია ყველაზე კარგად იცხოვროს, თუ იქ სათანადოდ განვითარდება საკურორტო ინდუსტრია. უკვე ფაქტია, რომ იქ ყველაფერი ამ მიმართულებით ვითარდება... რაც დრო გადის, აფხაზეთს უფრო და უფრო ვცილდებით. და, სხვათა შორის, აფხაზეთი ცხოვრების დონით უფრო მალე შეიძლება გახდეს ევროპის ნაწილი, ვიდრე საქართველო.“

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

# აფხაზეთი ცხოვრების დონით უფრო მალე შეიძლება გახდეს ევროპის ნაწილი, ვიდრე საქართველო

საუბრის თემა ბატონმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ თავად შემომთავაზა:
— დღევანდელი სოხუმის ფოტოებმა და რეპლიკამ „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“, რომლებიც „საქართველო და მსოფლიოს“ მერვე ნომერში გამოქვეყნდა, გამახსენა ჩემი აფხაზეთი. ჩემსას ვუწოდებ იმიტომ, რომ ჩემი საქმიანობის საუკეთესო 16 წელიწადი აფხაზეთში გავატარე. მაშინ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად ვმუშაობდი.
მე დღესაც მაქვს ურთიერთობა მეგობარ აფხაზებთან, რომლებიც ხშირად გადმოდიან აქეთ და ჩემს ოჯახსაც სტუმრობენ. მათგან ვიცი, რომ **სოხუმს დღესაც ატყვია ომის ნაჭრილობევი — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობა, უპატრონოდ მიტოვებული კერძო სახლები, მაგრამ საერთო სურათი, კერძო ბიზნესის წყალობით, უკეთესობისკენ შეიცვალა — გალამაზდა და კეთილმოეწყო ქალაქი.**





**— კერძო ბიზნესში, თქვენ რომ თქვით, ქართული ბიზნესიც იგულისხმება?**

— ჩვენგან რა ინვესტიცია უნდა შევიდეს, როცა მთელი ჩვენი ეკონომიკა უცხოურ ინვესტიციაზე დგას. საქართველოს ბიუჯეტში ადგილობრივი წარმოების შენატანი დაახლოებით 12-15 პროცენტია.

**ხშირად მესმის, რომ აფხაზეთი უჩვენოდ ვერ გაძლებსო, დაიღუპებაო. მე კი მგონია, რომ პირიქითაა: ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან აფხაზეთს შეუძლია ყველაზე კარგად იცხოვროს, თუ იქ სათანადოდ განვითარდება საკურორტო ინდუსტრია. უკვე ფაქტია, რომ იქ ყველაფერი ამ მიმართულებით ვითარდება.**

მე მითხრეს, რომ გაგრა მიმზიდველი ქალაქი-კურორტი გახდა, სწორედ უცხოური ინვესტორების აქტიურობის შედეგად, რომლებმაც ააშენეს ახალი სასტუმროები, კაფე-ბარები, მიხედეს ქალაქის ინფრასტრუქტურას. თქვენს მკითხველებს მოეხსენება, რომ გაგრა ისეთი კურორტია, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს. ზამთარშიც კი, როცა ზღვის კურორტზე მკვდარი სეზონია, აქაური კლიმატი მისწრებაა ფილტვებით დაავადებული ადამიანებისთვის. შემთხვევითი არ იყო, როცა ინგლისის პრინცმა თავის ავადმყოფ შვილს სწორედ აქ აუშენა ფეშენებელური სასახლე.

**— უცხოურ ინვესტიციებზე რომ ლაპარაკობთ, რუსეთს გულისხმობთ?**

— რასაკვირველია, — რუსეთს, მაგრამ — არა მარტო. **გაგრაში გაიხსნა, მაგალითად, უკრაინული რესტორანი, ინვესტიციები აქვს ჩადებული პოლონეთსაც, გერმანიასაც, ბიზნესს იმ ქვეყნებისა, რომელთაც არ აქვს გასასვლელი „თბილ ზღვებზე“.**

დღეს აფხაზეთისა და აფხაზების ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი კეთდება, არადა, აუცილებლად უნდა გადაიდგას თუნდაც მოსასინჯი ნაბიჯები.

იცით, რით იყო ყველაზე მეტად უკმაყოფილო აფხაზეთის ქართველობა საქართველოს ხელმძღვანელობის მათდამი დამოკიდებულების საკითხში? — თბილისი ნაკლებად ენდობოდა არა მარტო აფხაზებს, არამედ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსაც, რაც ორივე მხარეს ერთნაირად აღიზიანებდა.

მაგალითებსაც დაგისახელებთ: **საჭირო არ იყო პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად გივი კვანტალიანის თბილისიდან წამოყვანა, კაცისა, რომელიც აფხაზეთს საერთოდ არ იცნობდა, რუსულშიც, ბოდიშს ვიხდი, ცოტა მოიკოჭლებდა. ვერც იგი მოერგო გაგრას, ვერც გაგრელებმა შეითვისეს იგი — აფხაზებმაც და ქართველებმაც.** ან, ძალიან დადებითი პიროვნების, გალაქტიონ ნაჭყებიას, რომელიც გულრიფშის რაიონის კარგი პირველი მდივანი იყო, გაგრის პირველ კაცად გადმოყვანა რით იყო გამართლებული?!

ისიც ვერ მოერგო გაგრას და გულრიფშში დააბრუნეს.

არადა, ადგილობრივ კადრებს შორის იყვნენ ღირსეული ადამიანები, რომლებიც გაცილებით უკეთეს კვალს დაამჩნევდნენ აფხაზეთს.

მაგალითების ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.

ეს ერთი.

ახლა მეორე შეცდომა თუ მცდარი დამოკიდებულება, რომელიც თანამედროვე სიტუაციაში ზემოთ თქმული პოლიტიკის რუდიმენტულ გაგრძელებად მესახება: **აფხაზეთზე დღეს ლაპარაკობს ყველა, გარდა იქ ნაცხოვრები ადამიანებისა. აქტიურობენ ისეთები, რომლებიც აფხაზეთში ჩამოსულიც არ მინახავს.**

დაბეჯითებით ვამბობ: **ჯერ კიდევ დარჩა ის ადამიანები, ვისაც აფხაზეთთან დაკავშირებით რაიმე კონსტრუქციულის თქმა შეუძლია. სამწუხაროა, რომ ისინი დროზე ადრე დაივიწყეს.**

## «დეოკუპაციის» განცხადების იქით ჩვენი პოლიტიკოსების თვალსაწიერი არ წვდება»



**— ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის, ცხინვალის მეორე პლანზე „გადაჩოჩება“ იმის მიზეზით ხომ არ ხდება, რომ კონფლიქტური რეგიონების პრობლემების მოგვარება მეორე პლანის ჩინოვნიკებს ებარათ?**

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც შეიძლება იყოს. ამიტომ მე დავუჭერდი მხარს იმ წინადადებას, რომლის მიხედვით: პირველი და მთავარი — **ამ საკითხებზე მუშაობა უმაღლესი რანგის მოღვაწეს უნდა ებაროს, მის მოვალეობათა ნუსხაში უნდა იყოს ჩაწერილი. იდეალურად მესახება, თუ ეს მოღვაწე აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთში ნაცხოვრები პიროვნება იქნება. ენერგიული, სათანადო გამოცდილებით აღჭურვილი, განათლების ფართო ჰორიზონტის მქონე, ადამიანი. ამასთან დაკავშირებით მე მხარს დავუჭერდი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ არაერთხელ დაფიქსირდა.**

**— ბატონო ნაპოლეონ, რჩევა-დარიგებისთვის, კონსულტაციისთვის თქვენთვის არ მოუმართავთ?**

— წინა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არაფერს მკითხავდა, რადგან სააკაშვილის გუნდისთვის მე პერსონა ნონგრატა ვიყავი.

თქვენთან გამოქვეყნებულ ფოტოებს რომ ვუყურებ, გული მწყდება. იქ ჩვენსა და აფხაზებს შორის ისეთი ურთიერთობა სუფევდა, რომ ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა. აგერ სასტუმრო „აფხაზეთთან“ ყავაზე ვინმე უცნობი ისე დაგპატიჟებდა, არც იკითხავდა, ვინ ხარ. **სტუმრის სესხების წესი ჰქონდათ. ხშირი ყოფილა, როცა ჩემი ბინის აივანზე ვისხედით მე და ჩემი სტუმრები, დაურეკია აფხაზ მეზობელს და უთხოვია: — ბატონო ნაპოლეონ, თბილისიდან სტუმრები გყოლია და იქნებ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მასესხოთ და მასტუმროთ ჩემთან ოჯახშიო.** ბევრი ქართველი მიმიყვანია აფხაზის ოჯახში, მათ შორის — თქვენც, თუ გახსოვთ...

**— მახსოვს, როგორ არ მახსოვს... მტრებად მივაჩნივართ დღეს აფხაზებს?**

**— იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს და ჩემს მომდევნო თაობას იცნობდნენ, ცხადია, მტრებად არ მივაჩნივართ. მაგრამ მესამე თაობა უკვე აღარა სცნობს ქართველებს. ქართველი მათთვის უკვე მტერია.**

**— დრო ჩვენზე მუშაობს?**

— არა. ამ თვალსაწიერიდან ძალიან გაგვიჭირდება ურთიერთობის დამყარება. **რაც დრო გადის, აფხაზეთს უფრო და უფრო ვცილდებით. და, სხვათა შორის, აფხაზეთი ცხო-** ▶

**„ამ საკითხებზე მუშაობა უმაღლესი რანგის მოღვაწეს უნდა ებაროს, მის მოვალეობათა ნუსხაში უნდა იყოს ჩაწერილი. იდეალურად მესახება, თუ ეს მოღვაწე აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთში ნაცხოვრები პიროვნება იქნება, ახალგაზრდა, ენერგიული, მაგრამ სათანადო გამოცდილებით აღჭურვილი, განათლების ფართო ჰორიზონტის მქონე ადამიანი. ამასთან დაკავშირებით მე მხარს დავუჭერდი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ არაერთხელ დაფიქსირდა.“**

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ვრების დონით უფრო მალე შეიძლება გახდეს ევროპის ნაწილი, ვიდრე საქართველო.**

ჩვენ რით უნდა მოვხიბლოთ აფხაზი: იმით, რომ ქართველი ქართველს მტრობს?! იმით, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ ციხეები პოლიტპატიმრებით აავსო?!

**— მაშასადამე, პერსპექტივა ჩიხია?**

— **ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება ამის გამო ჩამქოლონ: აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ გაგვაჩნია.**

**— აბა, ომით?**

**— არავითარ შემთხვევაში! რატომ წავაგეთ ომი აფხაზეთში? ამ შეკითხვას ხშირად უბრუნდებიან და უმეტესად, რომელიმე ხელმძღვანელზე ხელის შეწმენდით უპასუხებენ, მაგრამ თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველების სუსტი მოტივაცია იყო — ტერიტორიული მთლიანობა, როგორც მიზანი, არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც აფხაზების რწმენა, რომ იბრძოდნენ საკუთარი სამშობლოს დასაცავად.**

არსებობს ერთადერთი გზა — შენ უნდა იყო მასზე ეკონომიკურად ბევრად უკეთესი. მაგრამ ახლა, როცა იქ პენსია 350 დოლარის ეკვივალენტურია, შენი პენსია კი 72 დოლარის ეკვივალენტური, რომელ უკეთესობაზე შეიძლება ლაპარაკი?!

**უნდა წავიდეთ მოლაპარაკებაზე, რათა შეიქმნას კონფედერაციული სახელმწიფო. მაგრამ ვეჭვობ, ამაზე დაგვთანხმდნენ.**

ფაქტია, აფხაზეთის მიმართულებით უკან წავედით. მაგრამ ეს უკუსვლა არ უნდა გავაძლიეროთ, მაგალითად, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზით მიმოსვლის აღუდგენლობით. ვინმემ იანგარიშა, რა ზარალი მოაქვს ამ გზის უმოქმედობას საქართველოსთვის?

**— არ ვიცი.**

— ამ რკინიგზის აღდგენით გაიხსნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის სატრანზიტო ფუნქციის მქონე საკვანძო ქვეყნის, რაც ნიშნავს ქვეყნის ბიუჯეტში ფინანსური შემოდინების კოლოსალურ გაზრდას!

„დეოკუპაციის“ განცხადების იქით ჩვენი „შორსმჭვრეტელი“ პოლიტიკოსების თვალსაწიერი არ ვრცელდებოდა. არადა, ეს გზა სწორედ დეოკუპაციამდე მიგვიყვანს.

**თუ გვაქვს პრეტენზია ცივილიზებულ სამყარში ცხოვრების, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზა უნდა გავხსნათ და არ ავყვეთ ზოგიერთებს, რომლებიც „ჯიუტობენ, ვითა ჯორი“. რკინიგზა აქამდეც უნდა გახსნილიყო.**

**— სამეცნიერო კავშირებზე მინდა გკითხოთ, ბატონო ნაპოლეონ. სააკაშვილის ზეობის პერიოდში რა მიმართულებით ვითარდებოდა თქვენი აკადემიის კონტაქტები მონათესავე მეცნიერებათა აკადემიებთან? ჰიბრიდული სიმინდის გარდა მეცნიერული ღირებულების რა გამოცდილება გაგიზიარეს ამერიკელმა კოლეგებმა?**



**რკინიგზის აღდგენით გაიხსნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის სატრანზიტო ფუნქციის მქონე საკვანძო ქვეყნის, რაც ნიშნავს ქვეყნის ბიუჯეტში ფინანსური შემოდინების კოლოსალურ გაზრდას!**



— ჯერ ერთი, ჰიბრიდული სიმინდის შემოტანა ჩვენ არავინ გვკითხა. ყველამ იცის, ვისი მითითებითაც გაკეთდა ეს დამღუპველი საქმე.

**— იმასავით ხომ არ იყო, აიოვას შტატის სიმინდის მოსავლით მოხიბლულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკელი ფერმერების გამოცდილების გადმოღება და საბჭოთა კავშირში დანერგვა რომ მოინდომა?**

— იმას ჰგავდა. მეორე, რაც მთავარია, ჩვენ არავითარი ურთიერთობა არ გვქონდა, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოში გამორჩეული სამეცნიერო ცენტრებით განთქმულ რუსეთის სოფლის მეურნეობის აკადემიასთან, არც რომელიმე სხვა აკადემიასთან. სააკაშვილის ხელისუფლების დროს მეცნიერება საერთოდ და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერება სრულად იყო იგნორირებული.

**— ბატონო ნაპოლეონ, თქვენ ეკონომიკის დარგში მომუშავე ცნობილი მეცნიერი ხართ. ამიტომ მინდა გკითხოთ, შეძლებს კი ჩვენი ეკონომიკა წელში გამართვას რუსეთის ბაზრის გარეშე?**

— ჩემი კვლევების ძირითადი მიმართულებაა მსოფლიო სოფლის მეურნეობა. თანამედროვე მსოფლიოს განვითარება ქვეყნებს შორის ვაჭრობის ეფექტიანად მოქმედი სისტემის არსებობის გარეშე შეუძლებელია. რაღაც შემოგაქვს, რაღაც გაგაქვს, ეძებ და პოულობ შენთვის ხელსაყრელ გასაღების ბაზრებს. ეკონომიკის კორექტირებაც ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად ხდება და ა.შ. ეს მუდმივი პროცესია, რომელზეც ზემოქმედება დადებითი ან უარყოფითი კუთხით შეუძლია ხელისუფლებასაც და ბიზნესმენებსაც.

**— უნდა ვივაჭროთ თუ არა რუსეთთან? პირდაპირ გეკითხებით.**

— მეც პირდაპირ გიპასუხებთ: აუცილებლად უნდა ვივაჭროთ!

ერთ მაგალითს დაგისახელებთ: 2007 წლის მონაცემებით, მხოლოდ რუსეთის ბაზარზე საქართველოს გაჰქონდა 60 მილიონამდე ბოთლი ღვინო, 2011 წელს კი, ჩვენი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის წყალობით, ამ პერიოდში განვითარებული ნეგატიური პროცესების გამო, ღვინის მთლიანი ექსპორტი 11 მილიონ ბოთლამდე დაეცა. აქედან ნახევარზე მეტი არალეგალურად გაგვქონდა.

**როცა გყავს ისეთი დიდი მეზობელი, როგორიც რუსეთის სახელმწიფოა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ჩვენი ქვეყნისას ათასჯერ აღემატება, გსურს თუ არა, მაინც მის ორბიტაზე ტრიალებ, მისი თანამგზავრი ხარ.**

როცა ხელისუფლება თავის მოღვაწეობაში ეკონომიკის ელემენტარულ კანონებს არ ითვალისწინებს და ქმნის ხელოვნურ ბარიერებს, ქვეყნის ეკონომიკის რაღაც ნაწილი ემსგავსება „მოხეტიალე სხეულებს“, რომლებიც ეძებენ „პატრონს“. **სააკაშვილის ხელისუფლებამ ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო, რაც ქვეყნისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა.**

**— ამჟამად რა ტენდენციები პრევალირებს?**

— ბატონი პრემიერ-მინისტრი ბიზნესიდან მოსული ადამიანია, სწორი, რეალისტური გათვლები აქვს, სწორ პოლიტიკას განახორციელებს, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხშიც. მაგრამ პრაქტიკულ შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის ეკონომიკურ გუნდზე, იმაზე, თუ რამდენად სწორად მოახერხებს იგი ამ მიმართულებით დასახული გეგმების რეალიზებას.

ამჟამად ხელისუფლება სამუშაო რეჟიმში იმყოფება და მთავარი ყურადღება, ჩემი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისკენ უნდა მიმართოს, მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობისა და საბოტაჟისა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**ახალგაზრდობა კი, რომელმაც აფხაზეთის ისტორია, რბილად რომ ვთქვა, სუბიექტური, მიკერძოებით დაწერილი შრომებით შეისწავლა, შეითვისა, მიიჩნევს, რომ ის კუთხე მისი ქვეყანაა, რომ ქართველები ჩასულები ვართ**

## მატყუარა პრეზიდენტი

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ზაქარია ქუცნაშვილი, პრეზიდენტის სატელევიზო გამოსვლას ეხმაურება და მიხეილ სააკაშვილს მატყუარა და დე ფაქტო პრეზიდენტად მოიხსენიებს.**

„მინდა, შევახსენო დე ფაქტო პრეზიდენტს, რომ სწორედ მისი პოლიტიკური გუნდი იყო პირველი ინიციატორი ევროპის პარლამენტარების ჩართვისა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, როდესაც მან გააგზავნა ცრუ ფაქტების შემცველი წერილი იმის თაობაზე, თითქოსდა საქართველოში მიმდინარეობს ძალადობა ჟურნალისტებზე, რომ პარლამენტმა მიიღო კანონი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესახებ, მიმდინარეობს დეპუტატების დევნა და ა.შ.“, — აცხადებს დეპუტატი.

## «ჩემი ცოლის ნათესავი ჩემი ნათესავი არ არის»

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა დღეს პარლამენტში გამოცხადებულ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კითხვა მის ნათესავებთან დაკავშირებით დაუსვა, რომლებიც, მისი მონაცემებით, არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ თანამდებობებზე დაინიშნენ.**

შს მინისტრმა ნადირაშვილს კითხვის დასმა არ დაასრულებინა. „თქვენ არ გაგიგიათ ცოლის ნათესავი, რომ ნათესავი არ არის?! ჩემს ნათესავებზე გადადით!“ — მიმართა ოპოზიციონერ დეპუტატს ღარიბაშვილმა.



## თეა წულუკიანი მზად არის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გადაცემა „ღია ეთერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტი იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრების დათხოვნას გეგმავს. ამის საპასუხოდ **იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მე რაც არ უნდა გულუბრყვილო ვჩანდე, მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილს გაცილებით ბევრი და სერიოზული საქმე აქვს, ვიდრე ჩემი გადაყენება, მაგრამ, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, მე კონსტიტუციამორჩილი მოქალაქე ვარ და მე მის ამ გადაწყვეტილებას დავემორჩილები“.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩერქეზები ორმაგ თამაშს ეწევიან: მათ არანაირად არ აძლევს ხელს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, რადგან მხოლოდ რუსეთს აქვს უფლება, შეცვალოს კანონმდებლობა ჩერქეზთა მიმართ. ამავე დროს ისინი ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა აიძულონ რუსეთი, შეიცვალოს აზრი და აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა. აქეზებენ რუსეთთან არამეგობრულ ურთიერთობაში მყოფ რეჟიმებს, აღიარონ გენოციდი. ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველო წამოეგო ამ ანკესს. და რა მივიღეთ შედეგად? საქართველო ტრამპლინად გამოიყენეს: ჩვენი აღიარების წყალობით გაეროსაც მიაწვდინეს ხმა, ჩვენი კი უხერხულ მდგომარეობაში, ასე ვთქვათ, ხაფანგში აღვმოჩნდით.“

# როგორ გაება საქართველო ჩერქეზულ-ამერიკულ მახეში

## ილიაუნში ჩერქეზთა გენოციდის თაობაზე რეზოლუციის მიღებიდან ერთ კვირაში კავკასიური ორგანიზაციების ფედერაციების ჩერქეზმა წარმომადგენლებმა თურქეთისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს

**2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა 95 ხმით საზეიმოდ მიიღო რეზოლუცია ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების თაობაზე. დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიოლოგმა მერაბ ჩუხუამ ერთი წლის განმავლობაში მოამზადა. მისი თქმით, საქართველოსთვის გენოციდის აღიარება პრესტიჟული და სამართლიანობის აღდგენის საქმე იქნებოდა.**



**ელიზბარ ჯაველიძე:**

**ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ეთნოსია და მათდამი მხოლოდ პატივისცემა გვმართებს, მაგრამ ეს, რაც გაკეთდა, გენოციდის აღიარებას ვგულისხმობ, ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. რა შეიძლება ამას მოჰყვეს მომავალში, კაცმა არ იცის**

მაშინდელი საპარლამენტო ნაცელიტა ხოტბას ასხამდა ამ გადაწყვეტილებას, რომლის მიღმა ისინი ფერად მომავალს ხედავდნენ. **„როგორც არასდროს, ისე ვარ დარწმუნებული, რომ მეშვიდე მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელსაც ახლა ვქმნით, არის განმსაზღვრელი იმისა, რომ მიხარია და ვამაყობ, რომ ვარ ქართველი“**, — თქვა მაშინ **დიმიტრი ლორთქიფანიძემ. რუსუდან კერვალიშვილი** კი უფრო შორს წავიდა: **„ვგრძნობ, რომ მე ვარ ქართველი და, ამავე დროს, ვარ ჩერქეზი, რადგან თქვენ დღეს იცავთ კავკასიის ხალხთა ინტერესებს“.**

ოპოზიციამაც დაუკრა კვერი და „იამაყა“ იმით, რომ საქართველოს პარლამენტი იქნება პირველი, რომელიც ჩერქეზთა „გენოციდს“ აღიარებს. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ცოტათი რეალურად მოაზროვნეები „ნაციონალების“ პარტიაში მაინც მოიძებნნენ. **ხათუნა ოჩიაურმა** განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება, **„გარკვეულ რისკებსაც შეიცავს, მაგრამ მაინც იქნება სამართლიანი და ღირსეული“.** ასევე მმართველი პარტიიდან მისმა კოლეგამ, **რატი სამყურაშვილმა**, ხაზი გაუსვა იმას, რომ **ეს გადაწყვეტილება მათი პოლიტიკური გუნდის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი იყო.**

ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, **ჯონდი ბაღათურია** იყო: **„მორალურად მხარს ვუჭერ ჩერქეზი ხალხის მიმართ სოლიდარობის გამოხატვას, თუმცა ჩვენ უნდა გვქონდეს პრაგმატული პოზიციაც, თუ რა მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას, და ამიტომ მიჭირს ამის მოწონება“.** მან ასევე განაცხადა, რომ რეზოლუციის მიღებით, შესაძლოა, სომხებისთვის გვეწყენინებინა, რომლებსაც არასდროს ჰქონდათ მხარდაჭერა საქართველოსგან სომეხთა გენოციდის საკითხში.

ჩერქეზულმა დიასპორამ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით საქართველოს პარლამენტს ოფიციალურად 2010 წელს მიმართა, მაგრამ ეს საკითხი ერთი წლის შემდეგ გადაწყდა. ამ პერიოდში კი პროფესორმა ჩუხუამ შესაბამისი მასალის მოგროვებაც მოახერხა და საქმეც „დროულად“ მოგვარდა.

მსოფლიო მასშტაბით, ჩერქეზთა „გენოციდის“ საკითხი აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს და ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორების წარმომადგენლებს აშშ-მა და ევროკავშირმა გრანტებიც გამოუყვეს. პროცესში დაუფარავად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები, გამოიცა ტენდენციური მასალები ე. წ. ჩერქეზების გენოციდთან დაკავშირებით.

იმავე წლის ნოემბრის ბოლოს, ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: **„მიჩქმალული ერები – ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები — წარსულსა და მომავალს შორის“.** სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიმართ.

რეზოლუციის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ კი კავკასიური ორგანიზაციების ფედერაციის სამმართველოს წევრმა **ხამდან ჩემიროზიმ** განაცხადა: **„ჩვენ მოვითხოვთ თურქეთისგან, სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომლებსაც მთელი მსოფლიო საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, გასულ კვირას საქართველომ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა, რაც რუსეთის მიმართ აშკარად არამეგობრული ჟესტია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო შეძლებს ჩერქეზთა სათემოს გულის მოგებას. ჩერქეზთა ხოცვა-ჟლეტის დროს ქართველები რუსეთის მეფის ჯარის მხარეზე იყვნენ; გენოციდში ბრალი მათაც მიუძღვით და ამიტომ მათ, უპირველეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოეხადათ. ამის გარდა, 1992 წლის ომის დროს ქართველებმა აფხაზეთში კვლავ გაიმეორეს თავისი სასტიკი საქციელი: ჩერქეზთა მონათესავე ენა აკრძალეს, ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩახოცეს. არა მგონია, რუსეთმა აღიაროს გენოციდი, მაგრამ ის ახლა სოჭის ოლიმპიადის მშვიდობიან ჩატარებაზე ფიქრობს“.**

**ამრიგად, ჩერქეზები ორმაგ თამაშს ეწევიან: მათ არანაირად არ აძლევს ხელს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, რადგან მხოლოდ რუსეთს აქვს უფლება, შეცვალოს კანონმდებლობა ჩერქეზთა მიმართ.**

**ამავე დროს ისინი ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა აიძულონ რუსეთი, შეიცვალოს აზრი. აქეზებენ რუსეთთან არამეგობრულ ურთიერთობაში მყოფ რეჟიმებს, აღიარონ გენოციდი. ჯერჯერობით მხოლოდ საქართველო წამოეგო ამ ანკესს. და რა მივიღეთ შედეგად? საქართველო ტრამპლინად გამოიყენეს: ჩვენი აღიარების წყალობით გაეროსაც მიაწვდინეს ხმა, ჩვენ კი უხერხულ მდგომარეობაში, ასე ვთქვათ, ხაფანგში აღმოვჩნდით.**

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე.წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ემსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. ამასთან, რა თქმა უნდა, როგორც ეს უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, აშშ თვითონ არ აპირებს, წინა პლანზე გამოჩნდეს და რაიმე „გენოციდი“ აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი, „სახალხო კრების“ წარმომადგენელი:**

— ამერიკას ხელს აძლევს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაფუჭება, თორემ თვითონ არასდროს ყოფილა დაჩაგრული ერების დამცველი.

ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ტომია და მათდამი ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. ბევრი რამ გვაკავშირებს კულტურულადაც და ტრადიციებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ წინა ხელისუფლებას ეს სულ არ აინტერესებდა. სააკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე. ამ კაცს საკუთარი ხალხის გენოციდი ჰქონდა გამიზნული. რამდენი რამის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომელი ერთი გავიხსენოთ. **ამათი გეგმა იყო ქართველი ერის მოსპობა და ასრულებდნენ კიდეც პირნათლად, რამეთუ ეს ამერიკის მასონური ძალების მიერაა დაგეგმილი.** რაც შეეხება აღიარებას, გასაგებია, რა განზრახვით წავიდნენ ამაზე, **თავიანთი მოკლე ჭკუით, ვითომ რუსეთს უკბინეს.** სინამდვილეში, ფინია რომ სპილოს უყეფს, ისეა ამათი საქმე... კიდევ ვიმეორებ: **ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ეთნოსია და მათდამი მხოლოდ პატივისცემა გვმართებს,** მაგრამ ეს, რაც გაკეთდა, **გენოციდის აღიარებას** ვგულისხმობ, **ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება.** რა შეიძლება ამას მოჰყვეს მომავალში, კაცმა არ იცის.

**— რას გულისხმობთ? არის საუბარი იმაზეც, რომ გენოციდის აღიარება, შესაძლოა, სომხებმაც მოითხოვონ.**

— სავსებით რეალურია და შესაძლოა, სწორედ ამ მიზნით გადადგა წინა ხელისუფლებამ ასეთი ნაბიჯი. მათ უნდოდათ, საერთოდ დაეშალათ საქართველო. პარლამენტის გადატანაც ქუთაისში ამას ემსახურებოდა, ეს სააკაშვილის უმთავრესი ამოცანა იყო. არსებობს საქართველოს შვიდ ჯუჯა სახელმწიფოდ დაშლის გეგმა და მე პირადად ის ნანახი მაქვს.

**— რადგან სომხები ვახსენე, როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება ჩვენი მხრიდან მათი გენოციდის აღიარებას?**

— სომხების გენოციდის აღიარება ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს სამუდამოდ მტრად მოვიკიდებთ, თურქეთზე არაფერს ვამბობ. ეს, როგორც ორჯერ ორი, ოთხი, ისეა, ხოლო, თუ რის ფასად შეიძლება დაუჯდეს ჩვენს სახელმწიფოს დაპირისპირება აზერბაიჯანთან, კარგად იცით — გაზი იქნება თუ საწვავი, მოგეხსენებათ, იქიდან შემოდის. გარდა ამისა, მათ ჩვენდამი აქვთ განსაკუთრებით თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. ეს ურთიერთობა თუ გაფუჭდება, ჩათვალეთ, რომ საქართველო განწირულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იზოლაციაში აღმოვჩნდებით და მეორეც, კონფრონტაციას კიდევ ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ქვეყანა ვეღარ გაუძლებს.

**— ცალკე თურქ-მესხებზეცაა საუბარი. შესაძლოა, მათაც მოითხოვონ გენოციდის აღიარება.**

— ეს საფრთხეც სავსებით რეალურია. სააკაშვილმა ამ თავისი სულელური ნაბიჯით ერთდროულად რამდენიმე საშიშროების წინაშე დაგვაყენა. ესაა ბომბი, რომელიც, როდის აფეთქდება, კაცმა არ იცის. თურქ-მესხებს რაც შეეხებათ, საქმე ისაა, რომ თავის დროზე, როცა გასახლება მოხდა, იქ ძირითადად იყვნენ ქართველები, დღეს კი ისინი ქართველები აღარ არიან. მე მახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს ზვიადი და მერაბი ითხოვდნენ მათ ჩამოსახლებას და მერე, როცა შევიცანით მათი ჩანაფიქრი, რომ თურმე მეჩეთების აშენება და თურქული სკოლების გახსნა სურდათ, კატეგორიული წინააღმდეგი წავედით ყველა. ამათ უნდათ, ეს ძველი ისტორია გააცოცხლონ და საზღვარზე დაასახლონ უცხო ეთნოსი. ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ერის ღალატი. ასეთივე ღალატია ჩინელების ჩამოსახლებაც. თქვენ იცით, რა ჩანაფიქრი აქვთ თბილისის ზღვაზე. ჩინელების თვისება ისაა, რომ ოჯახში არის თორმეტი ბავშვი. გადაგვჭამენ და ესაა. პირდაპირ მიდის ქართველი ერის გაჩანაგება. ცოტა ხანში უმცირესობაში ვიქნებით. ამას უნდა 20-25 წელიწადი.

**— თქვენ თქვით, რომ ჩერქეზების გენოციდის აღიარება კრემლის გასაღიზიანებლად მოხდა. რეალურად ჰქონდა ამას რუსეთისთვის არსებითი მნიშვნელობა?**

— გარკვეული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ არა იმდენად დიდი, რომ, როგორც ამათ ეგონათ, კრემლში განგაში აეტეხათ. საერთოდ, ესენი პროვოკაციაზე აგებდნენ თავიანთ პოლიტიკას და ესეც ერთ-ერთი პროვოკაცია იყო. ასეთ პროვოკაციებს კიდევ ბევრს ვნახავდით, მაგრამ, საბედნიეროდ, არ დასცალდათ.

ახლა რუსებს რომ აბრალებენ, ომი დაიწყესო, ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, ეს ომი ვინ დაიწყო — მიხეილ სააკაშვილმა, ანუ რის თქმა მინდა: **ამ კაცს იმთავითვე ჰქონდა გართულება რუსეთზე და ყველა მისი ნაბიჯი მიმართული იყო ურთიერთობის გამწვავებისკენ. მერე ამერიკელებს მიეცემოდათ სალაპარაკო, აი, რა ბარბაროსები სხედან კრემლში, რა ველურები არიანო.** ჩვენ რა შეიძლებოდა, ►

**ათიათასობით „თურქი მესხის“ ექსპანსია, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, სომხურ-აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება, სომეხთა და შემდეგ აზერბაიჯანელთა გენოციდის ძეგლების დადგმა და კიდევ ვინ იცის, ხვალ რა ვალდებულებებს შეგვახსენებენ ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრები“. გვინდა კი ქართველებს, რომ ევროინტეგრაციის სანაცვლოდ, ანუ იმისთვის, რომ ამაყად განვაცხადოთ — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, ამ იაფფასიანი მატრაბაზობისთვის ასეთი ძვირი საფასური გადავიხადოთ?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოგვსვლოდა ამ დაპირისპირებაში, ვის აინტერესებდა. მოკლედ, ესენი იყვნენ ისეთი დესტრუქციული ძალა, რომ, ვინც უნდა მოსულიყო რუსეთის ხელისუფლებაში, დიალოგი იქნებოდა შეუძლებელი. აბა, რომელ დიალოგზეა საუბარი, როცა ეს გიჟი პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებდა რუს პოლიტიკოსებს, მათ შორის პირადად პრეზიდენტ პუტინსაც.

**— დღეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, საქართველო რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზას ადგას. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს დღევანდელ ვითარებაში?**

— სწორი პოლიტიკით, სწორი ნაბიჯებით ყველაფერი შესაძლებელია. მითუფრო, რომ ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, მაგრამ არის მეორე ფაქტორიც, — „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას არაფერი გამოუვიდეს. აგერ თუნდაც „ერისიონთან“ მიმართებაში რას აკეთებენ ეს აყეფებული ლეკვები, რომლებსაც არც ეროვნულობა, არანაირი სულიერება და მორალი არ გააჩნიათ. თურმე ჯემალ ჭკუასელი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, მაშინ, როცა მისმა ანსამბლმა ქართული კულტურა მთელ მსოფლიოს გააცნო. ესაა ამათი პოლიტიკა და სტრატეგია — ვის ებრძვიან და როგორ, ისიც არ იციან. სასაცილოა ეს ყველაფერი, ამაზე სერიოზულად არც უნდა ისაუბროთ. ეს ყურადღების მისაქცევად არ ღირს.

**— პროტესტი გამოიწვია იმან, რომ ქართულმა ანსამბლმა კონცერტი უშუალოდ კრემლში გამართა.**

— მერე რა მოხდა? მე მახსოვს, ამათმა ერთი პერიოდი რუსული სიმღერები აკრძალეს რესტორნებში და რუსულ ლიტერატურას ებრძოდნენ. ზოგიერთი „ნაციონალი“ სიამაყით ამბობდა, ტოლსტოი არ წამიკითხავსო. ტოლსტოისა და დოსტოევსკის მთელი მსოფლიო კითხულობს, ესაა ამათი უმეცრება და უგუნურება. ჰგონიათ, ასეთი სისულელეებით რუსეთს რამეს დააკლებენ. მე ვურჩევ მათ, ილია ჭავჭავაძე წაიკითხონ. ნახონ ერთი, როგორ აფასებდა ის რუსი ხალხის კულტურას.

**— პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას წინ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ მომზადებული დასკვნა უძღოდა. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ თქვენ ეს დოკუმენტი?**

— სიმართლე გითხრათ, არ მინახავს, მაგრამ დაახლოებით ვხვდები, რა კატეგორიის ადამიანების მიერ იქნება ის მომზადებული. სააკაშვილს ჰყავდა საკუთარი ჯიბის მეცნიერები და, ალბათ, მათ დააწერინებდა დასკვნას. აბა, მე ვინ დამიძახებდა ან სხვას. მათ ხომ განსხვავებული აზრი საერთოდ არ აინტერესებდათ?!

**— არის საუბარი იმაზეც, რომ გენოციდის აღიარება გარკვეული ამერიკული პოლიტიკური წრეების მითითებით მოხდა. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს?**

— არ არის გამორიცხული. ესენი ყველა ნაბიჯს, რასაც დგამდნენ, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, უთანხმებდნენ ამერიკას. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ეს ნაბიჯიც ვაშინგტონთან ყოფილიყო შეთანხმებული. სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერასოდეს აზროვნებდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებები კი არა, ადამიანებს რომ კლავდნენ, ესეც ამერიკის მითითებით ხდებოდა. იმავე გურამ შარაძის მკვლელობა ავიღოთ ან ზურაბ ჟვანიასი... ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ საზოგადოება დაემუნჯებინათ. ახლაც იმავეს შვრებიან — აშინებენ ხალხს, რომ ვითომ დაბრუნდებიან და ვიღაც ვიღაცებს გაანადგურებენ. აგერ, 19 აპრილს მიტინგიც დაგეგმეს...

**— რას ელოდებით ამ მიტინგიდან?**

— მოლოდინი მე ამათგან სასიკეთო არასდროს მქონია. ისიც ვიცი, რომ არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ, მაგრამ, თუ კი მაინც თავისას არ მოიშლიან, ხალხი ადეკვატურ პასუხს გასცემს. ღმერთმა ნუ ქნას, რამე დესტაბილიზაციაზე წავიდნენ და პროვოკაცია მოაწყონ, თორემ ეს დასრულდება ამათი პოლიტიკური ლინჩის წესით გასამართლებით. ხალხმა თუ გაიწია, ვერავინ შეაჩერებს და ჭკუით იყონ, გონს მოეგონ, მათთვისვე აჯობებს.

**— დასაწყისში თქვენ ზვიად გამსახურდია ახსენეთ. 31 მარტს მისი დაბადების დღეა. რა პოზიცია ეკავა პირველ პრეზიდენტს ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით და რა პოლიტიკა ჰქონდა მას არა მარტო მეზობელ, რეგიონის ახლომდებარე სახელმწიფოებთან მიმართებაში?**

— **ზვიადის დროს ეს საკითხი, ჩერქეზების გენოციდი მაქვს მხედველობაში, ოფიციალურ დონეზე არ დამდგარა, მაგრამ ის ძალიან დიდ პატივს სცემდა ჩერქეზ ხალხს. ზოგადად მისი პოლიტიკა იყო ასეთი: მას უნდოდა კავკასიური ცენტრის შექმნა, სადაც საქართველო იქნებოდა ტონის მიმცემი და წამყვანი.** ახლა რამდენად შეიძლებოდა ამის განხორციელება ან რას მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას, სხვა საკითხია, მაგრამ მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: **ზვიად გამსახურდია არასოდეს გადადგამდა ერისთვის საზიანო ნაბიჯებს, იმიტომ, რომ ის იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, როგორც საკუთარი ხალხის, ისე სახელმწიფოსი. სწორედ ამ პატრიოტიზმიდან მოდიოდა მისი ყველა გადაწყვეტილება და ამიტომ აღმოჩნდა ის მიუღებელი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით ამერიკისთვის.** სამწუხაროდ, შემდეგ და შემდეგ საქართველომ დაკარგა საკუთარი გზა, რომელსაც მივყავდით ეროვნული საწყისებისკენ და ამაში თავის დროზე გადამწყვეტი როლი შეასრულა შევარდნაძემ. სააკაშვილმა, უბრალოდ, გააგრძელა მისი საქმე და აღმოვჩნდით უფსკრულის პირას. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ახალ ხელისუფლებაზე. ამიტომ მე დიდი ყურადღებით ვაკვირდები, რას იზამენ ესენი. თუ ამათაც ისეთივე მოქმედებები დაიწყეს, მომდევნო ხელისუფლებას უკვე გამოსწორების შანსიც აღარ ექნება. ასე რომ, დღესდღეობით პასუხისმგებლობა როგორც ხალხის, ისე სახელმწიფოს წინაშე ერთი-ორად მეტია. მმართველი გუნდი ამას კარგად უნდა ხვდებოდეს...

ესაუბრნენ
**ასმათ ჯალღაიძე**
და **ჯაბა ჟვანია**

# ბილწთ არ შევეკვრი ზავითა!





**არა გაზრდილი პენსია-ხელფასების, განახევრებული დენის თუ გაზის ტარიფების და სხვა დაპირებული სოციალური სიკეთეების გამო, არამედ, პირველ რიგში, დაკარგული სამშობლოს დაბრუნების იდეის გარშემო გაერთიანდა ქართველი ერი და უპირობოდ მიენდო „ქართულ ოცნებას“; იქამდეც კი, რომ „ბიძინამ იცის, ალბათ, ასეა საჭიროო“ არგუმენტით ისეთ პარტიებსა და, მცირედი გამონაკლისების გარდა, ისეთ პერსონებს მივეცით ხმა, რომლებიც უკვე პოლიტიკურ მორგში ეყარნენ და მხოლოდ ბალზამირებაღა აკლდათ!**

მართლაც, 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ ის შედეგი დადო, რომელსაც ერთი წლის წინ ბიძინა ივანიშვილი დაგვპირდა — არჩევნების გზით შეიცვალა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი და გვეგონა, მყისიერად, მეორე დღესვე უპრობლემოდ დაიწყებოდა სამართლიანობის აღდგენა. და რაკი სამართლიანობის აღდგენას, ივანიშვილისვე მრავალგზისი ხაზგასმით, მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდებოდა, ხოლო ეკონომიკა-სამუშაო ადგილების აღდგენა-შექმნას დრო და ფინანსები, გვეგონა უცბად მოგვარდებოდა პირველი, მაგრამ ასე არ მოხდა!

რადგანაც...

**ივანიშვილის (დიახ, პირადად ივანიშვილის, რადგან მას მიეწერება პიროვნულად არჩევნების მოგება, ასევე ყველა შეცდომა თუ გადაცდომაზეც თვითონაა პასუხისმგებელი და არა „ქართული ოცნების“ ჭრელი შემადგენლობა) პირველი და ყველაზე დიდი შეცდომა, რომლის მტკივნეულ შედეგებსაც ახლა ვიმკით და მომავალში კიდევ მეტს მოვიმკით, ის იყო, რომ უკრიტიკოდ მიიღო ამერიკელების მიერ „შემოგდებული“ თეზა, გნებავთ პარადიგმა, რომ თურმე 1 ოქტომბრის არჩევნებზე ოპოზიციის გამარჯვება, „ნაცების მიერ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება-დათმობა“, სააკაშვილის ხელისუფლების „დემოკრატიულობის“ დამსახურებაა და არა ქართველი ხალხის „განწირული სულისკვეთებისა“.**

რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ ამ თავსმოხვეული „კოაბიტაციის“ გარდა, არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ თუ მისი წინამორბედი მოქალაქეთა კავშირის (რაც თვისობრივად ერთი და იგივეა) დროს ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმებია, რომელთაგან ზოგიერთს უსაფრთხოების რგოლი მოგლეჯილი აქვს და საშინელი აფეთქების მომასწავებლად წივიან!

**ერთ-ერთი ასეთი ნაღმი 1999 წელს ჩაიდო, როდესაც ევროსაბჭოში სასწრაფოდ გაწევრების სანაცვლოდ, მაშინ ჯერ კიდევ შევარდნაძის გვერდით მდგომ ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა მეცადინეობით, რომელსაც ზურაბ ჟვანია ედგა სათავეში, დაუფიქრებლად (იქნებ პირიქით?) იკისრეს ე.წ. თურქი მესხების მასიური ჩამოსახლების, ასევე ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის და ე. წ. ნაცუმცირესობათათვის, სადაც ისინი კომპაქტურად სახლობენ, მათი მშობლიური ენებისთვის (ძირითადად, სომხური და აზერბაიჯანული იგულისხმება) ე.წ. რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების ვალდებულებები!**

ხედავთ, რამდენჯერ მომიწია ე.წ.-ის გამოყენება და ახლა — ის, თუ რა ამუშავდა უკვე და რა შეიძლება ამუშავდეს იმ ვალდებულებებიდან, რომლებიც უკვე ბიძინა ივანიშვილის თავში საცემი გახდება!

ერთი ასეთი ნაღმი უკვე ამოქმედდა და საქართველოში სომხური დიასპორის თავკაცმა თბილისში თურქების მიერ სომხების გენოციდისადმი მიძღვნილი ძეგლის დადგმა მოითხოვა!

იმის მერე, რაც ამერიკელების მითითებითა და რუსეთის გასაღიზიანებლად ჩერქეზთა გენოციდს აღიარებ, რა ლოგიკით უნდა უთხრა უარი სომეხ თანამემამულეებს იმაზე, რაც ლამის მთელ ცივილიზირებულ მსოფლიოს, დიდი ხანია, აღიარებული აქვს?

**არადა, საქართველოს მიერ მსგავსი ძეგლის დადგმას, როგორც ჯაჭვური რეაქცია, მყისიერად მოჰყვება ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეების მხრიდან სომხების მიერ აზერბაიჯანელების გენოციდის აღიარების მოთხოვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს დანასისხლად გადაკიდებული ერები, არა მხოლოდ საქართველოში ვეღარ იცხოვრებენ მშვიდობიანად, ანუ ვეღარ იკოაბიტაციებენ, არამედ ამ ყველაფერმა შეიძლება სრულიად კავკასიაში გამოიწვიოს არეულობა ჩვენი დიდი მეზობლების, თურქეთ-რუსეთის, ჩართვით!..**

რაც შეეხება უფრო ახლო პერსპექტივას, ჯავახეთის ახალქალაქის საკრებულოს რესპუბლიკური პარტიის დეპუტაციამ, ვინმე მოვსესიანის მეთაურობით, საქართველოს პარლამენტში ოფიციალურად წარადგინა მოთხოვნა, **ჯავახეთში სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭების შესახებ კანონის განხილვაზე!**

ახლა ვინმეს სჯერა, რომ მსგავსი რამ ჯავახეთის თვითმმართველობის დეპუტატების თვითშემოქმედებაა და ცენტრთან, რესპუბლიკური პარტიის თბილისის ოფისთან არ არის შეთანხმებული? პარტიის, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა და რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მოასწრო და უკვე განაცხადა, რომ საქართველოს ადრე თუ გვიან მოუწევს აღებული ვალდებულებების რატიფიკაცია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ევროინტეგრაცია არ მოხდება.

ხომ წარმოგიდგენიათ, საით მიჰყავთ საქართველო? იმავეს მოითხოვენ ქვემო ქართლის აზერბეიჯანელებიც.

ამ ყველაფერს, მოკლედ, საქართველოს საბოლოოდ დაშლისთვის საფუძვლის მომზადება ჰქვია! უფრო ვრცლად კი...

უკვე იმასაც მოვესწარით, რომ ლტოლვილთა მინისტრი, დავით დარახველიძე, იმის გამო აცვეს ჯვარს, რომ გაბედა და ხმამაღლა განაცხადა, ქართველ კაცს, ქართველი ქალი მინდაო რძლად და, თუ რაჭველიც იქნა, ხომ უკეთესიო. სულ ქსენოფობი თუ სიძულვილის ენით მოლაპარაკე უძახეს ჩვენმა ლიბერასტმა „ენჯეოშნიკებმა“ — აღარაფერს ვიტყვი რობიკო სტურუაზე, რადგან საქართველოს რომ ქართველი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს, ამის სურვილიც კი ფაშისტობად ითვლება!

თითქმის იმავე მიზეზით არ დანიშნეს სახალხო დამცველად 7 ქართველის(!!!) მამა — დიმიტრი ლორთქიფანიძე, როგორც თუ გეი-პარადებისა და ერთსქესიანი ქორწინებების მომხრე არა ხარო!

ერთი სიტყვით, **ათიათასობით „თურქი მესხის“ ექსპანსია, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, სომხურ-აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება, სომეხთა და შემდეგ აზერბაიჯანელთა გენოციდის ძეგლების დადგმა და კიდევ ვინ იცის, ხვალ რა ვალდებულებებს შეგვახსენებენ ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრები“. გვინდა კი ქართველებს, რომ ევროინტეგრაციის სანაცვლოდ, ანუ იმისთვის, რომ ამაყად განვაცხადოთ — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, ამ იაფფასიანი მატრაბაზობისთვის ასეთი ძვირი საფასური გადავიხადოთ?**

ეს შეკითხვა შეგნებულად დავსვი — ამ ლიბერასტებმა ევროპასაც ისე მოაბეზრეს თავი ყოველგვარი გარყვნილების დაკანონება-პროპაგანდით, რომ, პირველად პაპიზმის ისტორიაში, არაევროპელი პაპი აირჩია წმინდა კონკლავმა; უფრო მეტიც, პაპი ფრანცისკი იეზუიტთა ორდენის წევრია. ორდენის, რომელიც გამოირჩევა სიმკაცრით ყოველგვარი გარყვნილების, პირველ რიგში, სოდომ-გომორის ცოდვათა, ანუ პედერასტობის მიმართ!

არადა, როდესაც ბენედიქტე XVI გადადგა, მაშინვე ალავლავდნენ მსოფლიო ლიბერტარიანული ძალები, რომ ახლა სულ სხვა, ლიბერალური მსოფლიოა და დროა, რომ პაპის ტახტზეც ლიბერალი კარდინალი დაჯდესო, ანუ, სხვა სიტყვებით, იმის იმედით ელოდნენ თეთრი კვამლის ამოსვლას, რომ ერთსქესიანი ქორწინებების პანდემიას, რომელიც მთელ მსოფლიოშია მოდებული, ბოლოს და ბოლოს ვატიკანიც მისცემდა კურთხევას და „შეყვარებულ წყვილებს“ კათოლიკურ ეკლესიებში დასწერდნენ ჯვარს!

**მაგრამ ეტყობა, კათოლიკურ კონსერვატულ წრეებშიც გააცნობიერეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგანაც ის, რაც დღეს ხდება მსოფლიოში ლიბერასტების ტოტალური შეტევის სახით ყოველივე ზნეობრივი ნორმების მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა დეგენერატთა სწრაფვა თვითგანადგურებისკენ!**

მოკლედ ვატიკანს თავის გზაზე გაუმარჯოს და ჩვენ კი ჩვენსას მივხედოთ. რამდენჯერაც მოგვთხოვენ კოაბიტაციას პირწავარდნილ რეჟიმთან თუ სხვა უკეთურობის ჩადენას „ევროპელობის“ სახელით, იმდენჯერ შევახსენოთ ჩვენს „ლიბერასტ“ ამაგდარებს, — ბილწთ არ შევეკვრი ზავითა!

**დავით მხეიძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვინაიდან საქართველოს საზოგადოებაში ნატოსადმი დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითია, გაცილებით უარყოფითი, ვიდრე ამას ჩვენი მედიასაშუალებები ავრცელებენ, ან „ნაციონალური მოძრაობა“ და თუნდაც ახალი ხელისუფლება, საჭიროა ახალი პლებისციტი. თანაც სხვა საკითხებზე კი არ უნდა იყოს მიბმული, არამედ მთელი სერიოზულობით ცალკე უნდა ჩატარდეს.“**

# შენელებული მოქმედების პლებისციტი

**აშკარა საბოტაჟის, დასავლეთში საკუთარი ქვეყნის ლანძღვისა და სხვა წვრილმან მავნებლობათა გარდა, სააკაშვილის რეჟიმი ახალ ხელისუფლებას იმ შენელებული მოქმედების ნაღმებითაც უშლის ხელს, რომელთა ჩადება 9-წლიანი მმართველობის მანძილზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამერიკელი პარტნიორების ხელშეწყობით უხვად და ბევრგან მოასწრო. ერთ-ერთი ასეთი ნაღმია მითი „ქართველი ერის ისტორიულ მისწრაფებაზე ნატოში ინტეგრაციისკენ“, რაც 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით „დასტურდება“; მეორე კი ე.წ. ჩერქეზების გენოციდის აღიარებაა. დღეს უკვე ცხადია, რომ 2008 წელს როგორც არჩევნები, ასევე შესაბამისად პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა. ცხადია, რომ ჩერქეზების მითიური გენოციდის აღიარება არა ქართველი ხალხის ნება, არამედ ამერიკელ მესვეურთა ბრძანება იყო. რა უნდა მოუხერხოს ახალმა ხელისუფლებამ ზემოხსენებულ შენელებული მოქმედების ნაღმებს, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ საზოგადოებისთვის ცნობილ პერსონებს ესაუბრა.**



## ვალერი ხაბურძანია:
## დადგენილი წესით უნდა მოხდეს ჩერქეზების გენოციდის «აღიარების» ნიველირება

**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:**

— არ ვეთანხმები და ეს ფალსიფიცირებული პლებისციტი ციფრებითაც კი დასტურდება. თუ ჩავთვლით, რომ არჩევნებში მონაწილეობა მოსახლეობის 60%-მა მიიღო, მისი 70% არანაირი მათემატიკით არ გამოდის მთელი მოსახლეობის 2/3.

შედეგები რეალურ სურათს რომ არ ასახავს, ამ მოსაზრებას ვეთანხმები. ეს შედეგი მასობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ხარჯზეა მიღებული და თანაც შესწორებული, **მისი გადასინჯვა კი მომავალ არჩევნებში მოხდება, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არაპროამერიკულ პარტიებს დაუჭერს მხარს.**

**— საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. ითქვა ისიც, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილების კულტივირებას. უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა?**

— არ არის ჩვენი საქმე ჩერქეზეთა, ინდიელთა და სხვა ხალხების ისტორიის და ისიც ცალმხრივად შეფასება, რა თქმა უნდა, დადგენილი წესით უნდა მოხდეს ჩერქეზების გენოციდის „აღიარების“ ნიველირება.



## ელისო კილაძე:
## საქართველოს ნატოში შესვლის თაობაზე 2008 წლის პლებისციტის შედეგების გადახედვა აუცილებელია

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**ელისო კილაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ლიდერი:**

— საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, ცხადია, მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ეს, პირველ რიგში, არის იმ ანტირუსული ისტერიისა და ნატოს პოპულარიზაციის პროპაგანდის შედეგი, რომელსაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ მერე აქტიურად ეწეოდა. არის თუ არა ეს მოსახლეობის ორი მესამედი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ბოლო ხანს საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ნამდვილად გაუჩნდა გარკვეული ნიჰილიზმი ამ პროცესებისადმი, რადგან ამ გზაზე რეალური ნაბიჯები არ ჩანს.

ნამდვილად ვფიქრობ, რომ **2008 წლის საქართველოს ნატოში შესვლის თაობაზე პლებისციტის შედეგების გადახედვა აუცილებელია, რადგან საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიც კი გაყალბებულია და რეალურად არჩევნები მიხეილ სააკაშვილმა წააგო.**

**— საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. გაჟღერდა აზრი, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილებების კულტივირებას. უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა?**

— იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ქვეყნის ინტერესებისა და უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა, **ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივად აღიარება ნამდვილად ემსახურებოდა რუსეთის გაღიზიანებას. ცხადია, ეს არის ასევე სეპარატისტული მოძრაობების გარკვეული წახალისება,** მაგრამ, მიუხედავად ყოფილი ხელისუფლების სურვილისა, საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურების საფრთხე თითქმის არ არსებობს.



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## ჩერქეზების გენოციდის აღიარება ამერიკელების მიერ იყო ინიცირებული

**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— 2008 წლის არჩევნები როდესაც ჩატარდა, ფაქტობრივად, ეს საკითხი, რასაც ჰქვია ნატოში შესვლა, უბრალოდ, მიება საპრეზიდენტო არჩევნებს. ეს არჩევნები კი, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით თბილისში, ტოტალურად გაყალბდა. მაშინ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის საზრუნავი იყო, როგორმე არ გამხდარიყო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ნატოში შევიდოდა თუ არა საქართველო, იმ დროისთვის არავის აინტერესებდა. „ნაციონალები“ ფიქრობდნენ მხოლოდ იმაზე, როგორმე სააკაშვილი პრეზიდენტი გაეხადათ. ასე რომ, არც „ნაციონალების“ და არც დანარჩენი საქართველოს ყურადღება არ გადატანილა ე. წ. პლებისციტზე, რომლის მიხედვით, თითქოს საქართველოს მოსახლეობის 77%-მა ხმა მისცა ნატოში შესვლას. ვისაც ეს საკითხი აინტერესებდა, პირველ რიგში, იყო ამერიკის შეერთებული შტატები და პატივცემული მეთიუ ბრაიზა (თქვენთვის კარგად ნაცნობი პიროვნება).

მას შემდეგ სერიოზული გამოკითხვები არ ჩატარებულა. მე IRI-ს და NDI-ს გამოკითხვებს არ ვენდობი, ვინაიდან, ცნობილია, ეს ორგანიზაციები როგორი სიყალბით ატარებენ ნებისმიერი სახის გამოკითხვას. **ვინაიდან საქართველოს საზოგადოებაში ნატოსადმი დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითია, გაცილებით უარყოფითი, ვიდრე ამას ჩვენი მედიასაშუალებები ავრცელებენ, ან „ნაციონალური მოძრაობა“ და თუნდაც ახალი ხელისუფლება, საჭიროა ახალი პლებისციტი. თანაც სხვა საკითხებზე კი არ უნდა იყოს მიბმული, არამედ მთელი სერიოზულობით ცალკე უნდა ჩატარდეს.**

**— საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. გაჟღერდა აზრი, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილებების კულტივირებას. უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა?**

— პარლამენტმა ხმა მისცა ამას და დღეს მისი გადასინჯვა ძალიან დიდი არასერიოზულობა იქნება, მაგრამ ესეც, როგორც წინა საკითხი, გაანალიზებას საჭიროებს. **ჩერქეზების გენოციდის აღიარების საკითხიც ამერიკელების მიერ იყო ინსპირირებული. მათ უნდოდათ და აიძულეს კიდეც საქართველო, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. „ნაციონალებსაც“ სურდათ რუსეთის გაღიზიანება და ეს სრულიად არარაციონალური გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა.** თქვენ იცით, რომ გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით გართულება ჰქონდა და აქვს სომხეთს. სომხები ამბობენ, თუკი თქვენმა პარლამენტმა ჩერქეზთა გენოციდი ცნო, რატომ არ შეიძლება მან სომეხთა გენოციდი ცნოს თურქეთის მხრიდან. ამ შემთხვევაში საქართველო ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთისა და თურქეთის მიმართ. საქართველოს არ უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ამერიკელებს დაუჯერეს. ამერიკის ჯეიმსთაუნის უნივერსიტეტმა სამი თუ ოთხი კონფერენცია გაამართინა ამ საკითხზე საქართველოს წინა ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ამერიკელები აღარ ჩანან, მაგრამ ვჩანვართ ჩვენ. დღეს ძნელია იმაზე საუბარი, რომ პარლამენტი დაუბრუნდეს ამ საკითხს და თავიდან განიხილოს და უარი თქვას წინა პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ეს, ელემენტარულად, უხერხული ნაბიჯი იქნება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

— საქართველოში ნატოსთან დაკავშირებული საკითხი პოლიტიზირებულია. ამ თემას ყველა პარტია სათავისოდ იყენებს. ვინც ნატოში შესვლას მხარს უჭერს, გაცნობიერებული არ აქვს, ნატო რა არის. ნატოში შესვლას მხარს ისინი უჭერენ, ვინც თავიანთი ქმედებებით ნატოს წინააღმდეგნი არიან. ამის მაგალითი იყო „ნაციონალური მოძრაობა“. **ვინც იცის, ნატო რა არის და შეგნებულად უჭერს მხარს, ასეთი ადამიანები საქართველოში 10-15%-ია. ნატოს პოლიტიზირებამ გამოიწვია ტერიტორიების დაკარგვა და ესაა ჩვენი ტრაგედია.**

**— ხომ არაა, თქვენი აზრით, გადასახედი საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, გარკვეული ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გაღიზიანებას და მომავალში მნიშვნელოვანი პრობლემები შეიძლება შექმნას?**

— ვინც რუსეთს აღიზიანებს, ლანძღავს, რუსულ საქმეს აკეთებს. ისინი აძლევენ რუსეთს თავისუფალი მოქმედების საშუალებას საქართველოში. არც რუსეთის მორჩილებაა კარგი და არც — ამერიკის. ან ორივესთან კარგად უნდა იყო, ან მათთან ნეიტრალური პოზიცია გეჭიროს. ერთთან კარგად იყო და მეორესთან ცუდად, მხოლოდ ქვეყნის საწინააღმდეგოა. საქართველოში ძალიან ცოტა პოლიტიკოსი ფიქრობს საქართველოს მომავალზე. ისინი, ძირითადად, არჩევნებზე ფიქრობენ.

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში გონებადაკარგული პოლიტიკოსები აკეთებენ ზუსტად იმას, რაც, მაგალითად, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით მოხდა და რაც ჩრდილოკავკასიელებთან დაკავშირებით ხდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარება, რუსეთის მტრობა კი არა, საქართველოს მტრობაა. ვისაც ჰგონია, რომ რუსეთისგან ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყოფა მხოლოდ რუსეთისთვის იქნება უარყოფითი მოვლენა და ეს საქართველოზე დადებითად იმოქმედებს, ძალიან ცდება.“**





## თემურ შაშიაშვილი:

# ჩერქეზების გენოციდის აღიარება, რუსეთის კი არა, საქართველოს მტრობაა

საქართველოში დაამშიეს და დათრგუნეს ხალხი და ახლა მათ მოსყიდვას ცდილობენ. **საქართველოში გონებადაკარგული პოლიტიკოსები აკეთებენ ზუსტად იმას, რაც, მაგალითად, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით მოხდა და რაც ჩრდილოკავკასიელებთან დაკავშირებით ხდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარება, რუსეთის მტრობა კი არა, საქართველოს მტრობაა. ვისაც ჰგონია, რომ რუსეთისგან ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყოფა მხოლოდ რუსეთისთვის იქნება უარყოფითი მოვლენა და ეს საქართველოზე დადებითად იმოქმედებს, ძალიან ცდება.**

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# თუკი სააკაშვილმა 2008 წლის არჩევნები გააყალბა, რატომ გვგონია, რომ ნატოს შესახებ პლებისციტი ჩატარდა პატიოსნად?



**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე:**

— ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია ეს მონაცემები. საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უჭერს მხარს ნატოში შესვლას, მაგრამ ამ რაოდენობით არა. აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია ნატოსთან მიმართებაში შეიცვალა იმ კუთხით, რომ რეალურად, სანამ აფხაზეთი და სამაჩაბლო საბოლოოდ არ დავკარგეთ, მანამდე ნატომ არ მიიღო ქმედითი ნაბიჯები. როგორიც იყო, მაგალითად, მაპის მინიჭება. ამ მაპით კიდევ, ფაქტობრივად, იმ რეალობის წინაშე ვართ, რომ ნატო ჩვენთვის გარკვეულწილად აუხდენელი ოცნებაა, ჩვენ იქ მაინც არავინ მიგვიღებს. **ვფიქრობ, საკითხი, შევიდეთ თუ არ შევიდეთ ნატოში, ქვეყნის გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე უნდა დაისვას. ჩვენთვის თუ მომგებიანი იქნება, მაგალითად, დსთ-ში შესვლით ტერიტორიულ მთლიანობას აღვიდგენთ, ეს უნდა გავაკეთოთ.** იმაზე უნდა ვიფიქროთ, ჩვენთვის რა იქნება მომგებიანი. ნატო აკვიატებულ აუხდენელ ოცნებას დაემსგავსა. ორი მესამედი რომ იქ შესვლას უჭერდეს მხარს, არა მგონია.

**თუკი სააკაშვილმა 2008 წლის არჩევნები გააყალბა, რატომ ეგონა ვინმეს, რომ მაიცდამაინც ეს პლებისციტი ჩატარდა პატიოსნად?! ამის შემდეგ მითუმეტეს უფრო შეიცვალა სიტუაცია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს რეალურ სურათს არ ასახავს.**

**— საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გალიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. გაჟღერდა აზრი, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილებების კულტივირებას. უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა?**

— ვფიქრობ, აღიარების გადახედვა მარტო ჩვენი მხრიდან არ უნდა მოხდეს. თუკი მოლაპარაკების სტადიაზე რუსეთი მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენი მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გადასინჯვა მოხდეს, და ისიც სანაცვლოდ რამეს შემოგვთავაზებს, ამ შემთხვევაში გადასახედი იქნება. პოლიტიკაში ცალმხრივი დათმობები არ ხდება. ჩვენც დავთმობთ რაღაცას და სანაცვლოდ რუსეთიც. ამ ეტაპზე ჩვენ თუ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თემას გადავხედავთ, არა მგონია მხოლოდ ამის გამო რუსეთმა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემას გადახედოს. წინაპირობა უნდა გვქონდეს ამ თემის გადასინჯვის, რაც ჯერჯერობით არ გვაქვს.



## ირაკლი ყიფიანი:

# 2008 წლის ომის შემდეგ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ნატოში ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს, აზრი შეეცვალათ

**— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს ნატოში გაწევრიანებას? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების გადახედვა, რადგან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ წლის არჩევნები და, შესაბამისად, პლებისციტიც ტოტალურად გაყალბდა და შედეგები რეალურ სურათს არ ასახავს?**

**ირაკლი ყიფიანი, დამოუკიდებელი აქტივისტი:**

— არ ვეთანხმები ამ აზრს. ჯერ ერთი, ის რეფერენდუმი, რომლითაც ასე სპეკულირებს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები იყო გაყალბებული, ამ რეფერენდუმის შედეგებიც ანალოგიურად იყო გაყალბებული. ასევე, გასათვალისწინებელია ის უზარმაზარი ფაქტორი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს მოჰყვა. **2008 ომის შემდეგ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ნატოში ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს, აზრი შეეცვალათ. ამის გამო, ყველა შემთხვევაში, აგვისტოს ომის გამო გამოკითხვა ახლიდანაა ჩასატარებელი.** ეს ორი ფაქტორიც საკმარისია, მგონი, იმისთვის, რომ ხელახალი რეფერენდუმი თუ გამოკითხვა ჩატარდეს.

**— საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება, რაც, ექსპერტების მოსაზრებით, ემსახურება მხოლოდ რუსეთის გალიზიანებას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. გაჟღერდა აზრი, რომ ეს აღიარება არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში სეპარატისტული განწყობილების კულტივირებას. უნდა მოხდეს თუ არა ამ აღიარების გადასინჯვა?**

— ვფიქრობ, ჩერქეზთა გენოციდის ცალმხრივი აღიარება იყო უფრო ნაწილი იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც სააკაშვილი რუსეთის მიმართ აწარმოებდა. უნდოდათ, რომ რუსეთი გაეღიზიანებინათ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ 2004 წლიდან აქტიურად აწარმოებდა. **ომიც სააკაშვილმა დაიწყო და არა საქართველომ.** ასე გადასინჯვა და გადახედვა, არა მგონია, მართებული იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რუსეთთან თუ მეგობრული ურთიერთობების აღდგენას დავიწყებთ, დავჯდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, ეს საკითხი თავისთავად თაროზე შემოიდება და აღარ იქნება მისი გადახედვის საჭიროება. **საქართველოს მოსახლეობის სრული უმრავლესობა ელის და ემხრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც, ვფიქრობ, გამორიცხულია რუსებთან მოლაპარაკების მაგიდაზე დაჯდომისა და კონსტრუქციული დიალოგის გარეშე.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

## ნანა კაკაბაძე:

# საქართველოში გამარჯვებულებს და არჩევნების გამყალბებლებს არ ასამართლებენ



**რატომ დაიწყო ერთი ადგილის ტკეპნა „სამართლიანობის აღდგენამ“, რატომ არ ხდება რეჟიმის დამნაშავე მესვეურთა დასჯა და რატომ არ სჯის ახალი ხელისუფლება არჩევნების გამყალბებლებს? ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ესაუბრება:**

— ეს არის საერთაშორისო იმიჯზე გათვლილი პოლიტიკა, როგორ შეგვხედავს დასავლეთი. მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება პირველ რიგში ქართველი ხალხის ხმას უნდა უსმენდეს. წინა ხელისუფლება ახერხებდა, რომ დასავლეთისთვის მიეწოდებინა სრული სიცრუე და ამაში აბსოლუტურად დაეჯერებინა ისინი. ახლანდელი ხელისუფლება კი ვერ ახერხებს, სიმართლეში დაარწმუნოს დასავლეთი! ჩვენ ვამბობთ, რომ წინა ხელისუფლება 9 წლის განმავლობაში ხოცავდა და აწამებდა საკუთარ მოსახლეობას, არღვევდა მათ უფლებებს, აპატიმრებდა და უკანონოდ ასამართლებდა მათ და ა.შ. დასავლეთი კი გვეუბნება, რომ ძველ, დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებთან უნდა ვიყოთ კოაბიტაციაში. დამნაშავესთან თანამშრომლობის მოთხოვნა დანაშაულია და ეს კარგად, მკაფიოდ უნდა ავუხსნათ ყველას.

დასავლეთსაც და ხელისუფლებასაც უნდა ესმოდეთ, რომ საზოგადოების მთავარი მოთხოვნა იყო და არის სამართლიანობის აღდგენა. ეს იყო მთავარი პირობა, რისთვისაც ხალხმა დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“ — სამართლიანობის აღდგენა კი საქართველოში დღეს არ ხდება ან ხდება ძალიან არასრულფასოვნად და დაბალი ხარისხით.

**— ვინ მფარველობს ზოგიერთ „დაჯავშნულ“ მაღალჩინოსანს, რომელიც არათუ მონანიების გზას არ დაადგა, ნიშნის მოგებითაც კი იქცევა?**

— მათი დამცველები სწორედ ის დასავლელი ლობისტები არიან, რომელთაც დღევანდელი ხელისუფლება ღიად და დაუფარავად მილიონობით თანხას ურიცხავს დღემდე. დღევანდელს იმიტომ ვამბობ, რომ ეს ადამიანები ჯერ ისევ ხელისუფლებაში არიან. ისინი მართავენ მერიას, არიან პარლამენტში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში. წინა ხელისუფლება ნიშნავს წარსულს და დამთავრებულს, ეს ადამიანები კი ისევ მთავრობაში არიან, არსად წასულან.

კიდევ ერთხელ ვამბობ, კრიმინალებთან არ შეიძლება სახელმწიფო იყოს დიალოგის რეჟიმში, მათთან სახელმწიფო უნდა იყოს სამართლებრივ რეჟიმში და პასუხს უნდა სთხოვდეს როგორც პოლიტიკურს, ასევე მორალურსა და იურიდიულს. სახელმწიფო მათ უნდა ასამართლებდეს იმ უკანონობების გამო, რომლებიც ამ ადამიანებმა ჩაიდინეს თანამდებობებზე ყოფნისას საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში ეს არ ხდება.

ის, რომ ესა თუ ის პირი არჩეულ თანამდებობაზეა, სულაც არ ნიშნავს, რომ კანონის წინაშე ხელშეუხებელია და საკუთარ დანაშაულზე პასუხი არ უნდა მოეთხოვოს, ამ ლოგიკით ჰიტლერიც არჩეული იყო. თბილისის მერ უგულავას ჩადენილი აქვს კონკრეტული მძიმე დანაშაულები და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ დააპატიმრეს, პირიქით, სასამართლომ მას 100-ლარიანი გირაოც კი არ შეუფარდა და უტიფრად აგრძელებს უკანონო გადაწყვეტილებების მიღებას.

**— უკანასკნელი 20 წლის მანძილზე რომელი არჩევნები მიგაჩნიათ ყველაზე მეტად გაუყალბებლად? სააკაშვილის პირველ არჩევნებს არ ვგულისხმობ.**

— სააკაშვილის პირველი არჩევნებიც არ იყო გაუყალბებელი. გაყალბება მარტო იმას არ გულისხმობს, რომ ურნაში რაც შეიძლება მეტი ბიულეტენი ჩაყარო. იგივე სააკაშვილის პირველი არჩევნები ავიღოთ, რომელიც მიმდინარეობდა რევოლუციის, ემოციის, ეიფორიის, აჟიტირებულ-ეგზალტირებული მასის ფონზე. თუ ადამიანებს გარკვეულწილად რაღაც ტრანსში ჩააგდებ და მერე ამ ფონზე მათ მონაწილებას მიაღებინებ არჩევნებში, მაშინ სწორედ ამ გზით ახდენ არჩევნების გაყალბებას და ეს ეხება 20 წლის მანძილზე თითქმის ყველა არჩევნებს.

**— ანუ გაუყალბებლად არც ერთ არჩევნებს არ მიიჩნევთ?**

— ყველაზე მეტად გაუყალბებელი მაინც 1 ოქტომბრის არჩევნები იყო, სადაც ხალხის აზრმა გაიმარჯვა, თუმცა „ნაციონალებმა“ არც ეს არჩევნები არ დატოვეს გაყალბების გარეშე. „ნაციონალები“ ყველაზე დიდი გამყალბელბელები არიან. ისინი ამ საქმეს ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირის“ დროიდან ეწევიან, გაყალბება სწორედ მათ შემოიტანეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

**— რამდენადაც მახსოვს, არც არავინ დასჯილა ამის გამო.**

— დამნაშავე გამყალბებლების დასჯას ითხოვდნენ, მაგრამ გამარჯვებულებს არ სჯიან. უფრო ზუსტები რომ ვიყოთ, საქართველოში გამარჯვებულებს და არჩევნების გამყალბებლებს არ სჯიან და ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ გამარჯვებულები ის ადამიანები არიან, ვისაც არჩევნების გაყალბებაზე მიუწვდეოდათ ხელი. ასე რომ, არც არის გასაკვირი, მაგრამ მათი დასჯა არც ამ ეტაპზე ხდება.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოსკოვის ქუჩებში ჩოხით დავდიოდი, მაგრამ ერთი პოლიციელიც არ მოსულა და არ უთქვამს, ხანჯალი ცივი იარაღია და ქუჩაში ასე სიარული არ შეიძლებაო, რადგან მათ იციან, რომ ეს ჩვენი ღირსების საქმეა. საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს კი, ხანჯლები მოახსნევინეს ქართველ მოცეკვავეებს, რადგან თურმე ბუშს ეშინოდა, და ამერიკელი თავის ქვეყანაში ჩოხის ჩაცმის უფლებასაც არ მომცემს. რუსს კი არაფერი უთქვამს, თავის ქალაქში კრემლის კარი გამიხსნა და ჩემი, ქართული დროშა მაფრიალებინა, ამიტომ მირჩევნია მე რუსი ამერიკელს.“**

# კახა კალაძე: სააკაშვილი საქართველოს ანტიპიარს, ქართველი ხალხის დისკრედიტაციას ეწევა

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე.**



**— ბატონო კახა, რამდენიმე დღის წინ პრემიერის მიერ ევროპის სახალხო პარტიისადმი გაგზავნილი წერილი საკმაოდ ვრცელია და მასში პუნქტობრივადაა ჩამოთვლილი ყველა პრობლემა, რომლებიც წინა ხელისუფლების არასწორი მმართველობის შედეგად შეიქმნა. როგორ ფიქრობთ, რატომ სჭირდებათ დღეს ევროპელებს ასე დეტალურად ახსნა, თუ რა ხდება საქართველოში? მით უფრო, რომ მათი დამკვირვებლები, ხელისუფლების მოწვევითვე, ადგილზე იმყოფებიან და თვითონ ეცნობიან, რა პროცესები მიმდინარეობს აქ.**

— მე ვფიქრობ, ეს წერილი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან მასში, როგორც თქვენ აღნიშნეთ, პუნქტებადაა დაწერილი, თუ რა ხდებოდა ცხრა წლის განმავლობაში, როგორ მოღვაწეობდა სააკაშვილის ხელისუფლება. სახალხო პარტიას რაც შეეხება, მათი განცხადებები არ უნდა აღვიქვათ მთლად დასავლეთის პოზიციად. არ უნდა ავყვეთ სააკაშვილის უაზრო ილუზიებს, რომ თითქოს დღეს ისე ახლოს ვართ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, როგორც არასდროს. ამ ყველაფრისთვის გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი. გასაძლიერებელია დემოკრატიული ინსტიტუტები, დასახვეწია სასამართლო სისტემა, ზოგადად მართლმსაჯულება და ა.შ.

**— ევროპის სახალხო პარტია, ფაქტობრივად, ოპოზიციაში გიდგათ. მოდი, დავაკონკრეტოთ, რითაა ეს განპირობებული?**

— ჩვენ კითხვები არ გვაშინებს, მაგრამ კრიტიკა იქნება ეს, მოწოდება თუ რჩევა, მთავარია, სამართლიანი იყოს. თქვენ გახსოვთ, **ცოტა ხნის წინ სახალხო პარტიის წევრი იყო ჩამოსული და ამ ე.წ. ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის საქინეზელში იმყოფებოდა. მე ვურჩევდი მათ, რომ, მარტო საქინეზლებში კი არა, ქუჩებშიც იარონ და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასაც შეხვდნენ. მხოლოდ ასე გაიგებენ, რა ხდებოდა აქ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში.** სააკაშვილი ჯერ კიდევ ახერხებს, ქვეყანას ავნოს, დადის საზღვარგარეთ და ეწევა საქართველოს ანტიპიარს. ასევე, ის ცდილობს, საერთაშორისო ასპარეზზე მოახდინოს ქართველი ხალხის, საზოგადოების დისკრედიტება, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ მისი ეს პროპაგანდა დასრულდება კრახით, ისევე, როგორც კრახით დასრულდა მთელი მისი მცდელობა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება.

**— რაც შეეხება საგარეოპოლიტიკურ მიმართულებას, ხელისუფლების პოზიცია და ის განცხადებები, რომლებიც დღემდე გაკეთდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. ერთის მხრივ, საუბარია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე, მეორე მხრივ კი, პრიორიტეტად რჩება ევროკავშირი და ნატო. ეს ორი რამ ერთმანეთს, ფაქტობრივად, გამორიცხავს... რა კურსს ირჩევს რეალურად „ქართული ოცნება“, რა არის ჩვენი საგარეოპოლიტიკური ვექტორი?**

— ჩვენი კურსი არის ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ქვეყნის ინტეგრაცია ნატოში, ევროკავშირში. რუსეთს რაც შეეხება, პირველ რიგში მნიშვნელოვანია, დარეგულირდეს ურთიერთობები და ამისთვის აუცილებელია, დაიწყოს გარკვეული მოლაპარაკებები. ამ ეტაპზე რაც უნდა გაკეთდეს, მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი პროდუქცია დაბრუნდეს მათ ბაზარზე. ეკონომიკის კუთხით ეს ძალიან წაადგება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. მე არ მინდა, სამომავლო თემებზე ვისაუბრო.

**— დაახლოებით ორი თვის წინ ჩვენთან ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს პროკურატურაში მისვლა (რა სტატუსით, სხვა საკითხია). დღეს, როცა მისი გუნდი ფაქტობრივად არ მიდის არანაირ დათმობაზე და არ ეთანხმება საკონსტიტუციო ცვლილებებს, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე საუბარი?**

— სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ, — ყველა დამნაშავე აუცილებლად აგებს პასუხს. სააკაშვილი არის მშიშარა. ამ მშიშარა ადამიანს, თავის გუნდთან ერთად, ჩადენილი აქვს არაერთი დანაშაული. დარწმუნებული ვარ, თითოეულ გადაცდომაზე, თითოეულ ფაქტზე გამოძიება თავის სიტყვას იტყვის...

**— ეს მშიშარა ადამიანი, როგორც თქვენ მოიხსენიეთ, 19 აპრილს მიიღებს კონსტიტუციურ უფლებას, დაითხოვოს პარლამენტი და მთავრობა. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ამას ვერ გაბედავს, მაგრამ ვთქვათ, გაბედა, რას აპირებთ? რა შეგიძლიათ დაუპირისპიროთ?**

— თუ სააკაშვილმა გადაწყვიტა, დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი, ეს იქნება მისი სრული პოლიტიკური კრახი, იმიტომ, რომ ახალი არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ გაქრება პოლიტიკური ასპარეზიდან. არა მგონია, სააკაშვილი ისეთი სულელი იყოს, რომ ამას ვერ აცნობიერებდეს. მერწმუნეთ, არიან მის გუნდში ადამიანები, რომლებსაც ეს ყველაფერი კარგად ესმით.

**— გასაგებია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ასეთ შემთხვევაში არჩევნები ჩატარდება სააკაშვილის მინისტრების პირობებში.** ▶

# მამა ელიზბარი (დიაკონიძე): მართლმადიდებელმა ქვეყნებმა ალიანსი უნდა შევქმნათ



**საქართველოს საგარეო ურთიერთობებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში ეკლესიის როლსა და მისიაზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა.**

**— ცოტა ხნის წინ რუსეთში ბრძანდებოდით. მოგვიყევით თქვენი ვიზიტის შესახებ.**

— დიახ. რუსეთში გახლდით და იქ აფხაზებსაც შევხვდი. არავითარი აგრესია არ მიგრძვნია მათგან.

მინდა გითხრათ, რომ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დამრჩა. **მოსკოვის ქუჩებში ჩოხით დავდიოდი, მაგრამ ერთი პოლიციელიც არ მოსულა და არ უთქვამს, ხანჯალი ცივი იარაღია და ქუჩაში ასე სიარული არ შეიძლებაო, რადგან მათ იციან, რომ ეს ჩვენი ღირსების საქმეა.** საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს კი, ხანჯლები მოახსნევინეს ქართველ მოცეკვავეებს, რადგან თურმე ბუშს ეშინოდა, და ამერიკელი თავის ქვეყანაში ჩოხის ჩაცმის უფლებასაც არ მომცემს. რუსს კი არაფერი უთქვამს, თავის ქალაქში კრემლის კარი გამიხსნა და ჩემი, ქართული დროშა მაფრიალებინა, ამიტომ მირჩევნია მე რუსი ამერიკელს.

ერთ-ერთ შეხვედრაზე მოსკოვში, ანაფორის ქვეშ ჩოხა მეცვა. იქ ვთქვი, **ჩვენ, ქართველები, პატარა ერი ვართ, ჩვენში სასულიერო პირი მეომარიც უნდა ყოფილიყო, მიწის მუშაც და მასწავლებელიც, ამიტომ ანაფორის ქვეშ იარაღსაც ატარებდნენ-მეთქი და გავიხსენი ანაფორა. დარბაზი ტაშით დაინგრა. ყველა ფეხზე წამოდგა. დიდი მადლობა გადამიხადეს და აღნიშნეს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, თურმე ქართული ღირსება არ დაკნინებულა.**

თუ მუსლიმანებთან შეგვიძლია საუბარი, ქრისტიანებს როგორ ვერ უნდა დაველაპარაკოთ? უამრავ ქვეყანასთან აქვს საქართველოს უვიზო მიმოსვლა, რუსთაველის პროსპექტზე ვერ გაივლი, იმდენი ირანელი და არაბი შეგხვდება. მობრძანდნენ, კი ბატონო, სტუმრად მოვიდნენ, მაგრამ ჩვენ ცხინვალში რომ ვერ ჩავსულვართ, ეს კარგია?!

კარგი იქნება, თუ მართლმადიდებელი ქვეყნები ერთ ალიანსს შევქმნით. ეს არ უნდა იყოს არც სამხედრო, არც პოლიტიკური გაერთიანება, მხოლოდ დავეხმარებით ერთმანეთს კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში. მაგალითად, მხოლოდ რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა და საქართველო რომ გაერთიანდეს, უკვე სერიოზული ძალა იქნება. სასურველია, ამ გაერთიანებას მართლმადიდებელი ქვეყნების თანამეგობრობა ან კავშირი ეწოდოს. ჩვენ შორის იქნება სჯულის კანონზე დაფუძნებული ურთიერთობა.

**— რუსეთის როლი როგორ გესახებათ კონფლიქტის მოგვარების საქმეში?**

**— კონფლიქტის მოგვარება რუსეთის გარეშე შეუძლებელია. ურთიერთობა უნდა დაიწყოს რუსეთთან და ამან ჯანსაღი ხასიათი უნდა მიიღოს. ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან. ამას სჭირდება ჯანსაღი პარლამენტი და ჯანსაღი აზროვნების მქონე ადამიანები ხელისუფლებაში, რომლებიც ჯერჯერობით ჩანან, მაგრამ რაღაც საკითხები უშლით ხელს და ცოტა მეტი სიმამაცე და თავგანწირვის უნარი სჭირდება ამ საქმეს.** „ნაციონალები“ რას იტყვიან და მსოფლიოს წინაშე დაგვაბეზღებენ, ეს ფრაზა ქვეყანაში საერთოდ აღარ უნდა ითქვას. „ნაციონალებმა“ 9 წლის მანძილზე რაც ილაპარაკეს და აკეთეს, გვეყო. საკმარისია!

ევროპიდან მირეკავენ ახლობლები და მეუბნებიან, რომ საშინლად იქცევიან იქაური საკონსულოების თანამშრომლები. მაგალითად, ირლანდიაში საკონსულოს თანამშრომელი ვიმნე კოპლატაძე ადგილობრივ ხელისუფლებას აწვდის ინფორმაციას, თითქოს საქართველოს ახალი ხელისუფლება დემოკრატიულ პროცესებსა და ადამიანის უფლებებს ლახავს. რომელ კოაბიტაციაზეა საუბარი? მინდა ვკითხო პატივცემულ კოაბიტატორებს, ღორთან კოაბიტაცია შეიძლება? სახარებისეულ ცნებას, მარგალიტებს ნუ დაუყრით ღორებსო, რით უპასუხებთ?

თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ხმამაღლა განვაცხადო. **რამდენიმე ხნის წინ ერთ პიროვნებას, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, დაურეკეს და უთხრეს, დაგვეხმარე „ნაციონალებს“, თორემ ჩვენ მალე დავბრუნდებით და, ხელახლა რომ მოვალთ ხელისუფლებაში, განახებთ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ წითელ ტრუსებში ჩაცმულებსო. ზუსტად ასე უთხრეს. გარკვეული მიზეზების გამო, ჯერ ვერ დავასახელებ მის ვინაობას, მაგრამ საკმაოდ წარჩინებული, ავტორიტეტული პიროვნებაა და მისგან ითხოვენ ახალი პარტიის შექმნას, რომელიც სინამდვილეში იქნება „ნაციონალების“ და ხმებს წაართმევს „ოცნებას“.** „ნაციონალები“ პოლიტიკურ არენაზე დაბრუნებას ყველანაირად ეცდებიან, თუნდაც სახელშეცვლილი პარტიით. ამაზე უკვე აქტიურად მუშაობენ. 9 წლის მანძილზე მოპარული ფულისა და უცხოეთიდან მხარდაჭერის იმედი აქვთ. ზურაბ ადეიშვილთან ინახება ეს თანხა. ამ უნიათო პარლამენტის იმედიც აქვთ, უფხოები რომ არიან. ყველამ მაპატიოს, ვისაც არ ეხება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ცოტა გონს მოვლენ.

ამ ცოტა ხნის წინ ერთმა გლეხმა მითხრა, კი ყოფილან ძლიერები ეს „ნაციონალები“, ხელისუფლება ვერაფერს უხერხებსო. ყანაში მომუშავე გლეხმა გაიგო ეს და ჩვენმა პარლამენტმა — ვერა.

ხელისუფლებამ ქმედითი ზომები განახორციელოს და საერთაშორისო საზოგადოება ყველაფერს გაიგებს. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ქართველებმა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ უამრავი საქმე მოიგეს, მაგრამ შეშფოთების გარდა რა გააკეთა საერთაშორისო საზოგადოებამ? ახლახან შემთხვევით ამერიკის ელჩს შევხვდი. **სააკაშვილის რეზიდენციის წინ აქცია გავმართეთ, გამოვიდა აშშ ელჩი და პოლიციის უფროსივით დაგვიწყო ლაპარაკი,** ▶

„ივანიშვილი დროს წელავს და ის ძალიან ჰგავს იმ ქართველ მეფეებს XVII საუკუნეში, რომლებიც, გვახსოვს ჩვენ, შაჰს ხანგრძლივად არწმუნებდნენ ერთგულებაში; ბოლოს ეს მთავრდებოდა ორნაირად: ზოგი მეფე იგებდა ომს, ზოგს თავს კვეთდნენ ისპაჰანში.“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— „ნაციონალურ მოძრაობას“ „ქართულმა ოცნებამ“, ქართველმა ხალხმა არჩევნები მოუგო მაშინ, როცა ის სრულიად აკონტროლებდა პოლიციას, ჯარს, ტელევიზიების უმრავლესობას, როცა ზეწოლა ხორციელდებოდა ჟურნალისტებზე, კოალიციის თითოეული წევრის, აქტივისტის ოჯახზე და ა. შ. დღეს უკვე რა რეალობაა, ხომ ყველამ ვიცით?! თუ არჩევნები ჩატარდება, გაძლევთ პირობას, სააკაშვილის გუნდი 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. ისინი საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური ველიდან...

**— ჩვენ მაინც განვიხილავთ იმ ვერსიას, რომ სააკაშვილი ვერ გაბედავს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების გამოყენებას. კითხვას გიმეორებთ: თუ გაბედავს, რა ბერკეტები გაქვთ? რას ელოდებით იმავე 19 აპრილს?**

— გარწმუნებთ, 19 აპრილს არაფერი მოხდება, უბრალოდ, სასაცილოა ის განცხადებები, რომლებიც გვესმის... ვინ იქნება ამ აქციაზე? ალბათ, მარტო თვითონ შეიკრიბებიან. რამდენი დარჩნენ, არ ვიცი, მაგრამ ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მალე მათ, ყველას მოუწევთ შეგუება იმ რეალობასთან, რომ, როდესაც ხელს აფათურებ ბიუჯეტში, ადამიანებს ქონებასართმევ, აწამებ, ციხეებში აუპატიურებ, ესაა კრიმინალი და არ აქვს მნიშვნელობა, კაცი იქნება მკვლელი თუ ჰალსტუხიანი კრიმინალი, ყველა აგებს პასუხს.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**სააკაშვილი თქვენი პრეზიდენტია და დაიშალეთ გინდა თუ არაო. პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით მილიონ-ნახევარი კაცის ხელმოწერა მივუტანეთ. ამერიკაში როგორ ხდება, მილიონ-ნახევარი კაცის ხელმოწერას ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს-მეთქი, ელჩს ვკითხე და პასუხს თავი აარიდა.**

რამდენიმე ხნის წინ კოალიცია „ერთსულოვნების“ ლიდერებთან ერთად ბატონ დავით უსუფაშვილსაც შევხვდი და ვკითხე, რაშია საქმე, რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები-მეთქი, და, ფაქტობრივად, გვითხრა, რომ უცხოელები გვიშლიანო. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინო. საით მივიწევთ? უფსკრულისკენ მივდივართ!

ასევე ძალიან მტკივნეულად აღიქმება მეჩეთის მშენებლობის საკითხი და მინდა ორიოდე სიტყვით ვთქვა, რომ **მე, როგორც სასულიერო პირი, წინააღმდეგი ვარ და ვამბობ, რომ არავითარი მეჩეთი არ უნდა აშენდეს. მეჩეთის მშენებლობის საკითხი რატომ უნდა წყდებოდეს თურქეთში, ერდოღანთან? თურქეთის პრეზიდენტს ვინ ეკითხება, მე აქ მეჩეთი მექნება თუ არა?** თუმცა, როგორც ჩანს, თურქებს დიდი თურქეთის შექმნის იდეა აწუხებთ, რაც დამაფიქრებელია...

ესაუბრა **შორენა ციქვარაშვილი**

კახა კუკავა:

# უნდა დააპატიმრონ ყველა, ვისაც შეუძლია კონტრ-რევოლუციაში მონაწილეობა



**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაწყებულმა გამოძიებამ თითქმის ყველა უწყება მოიარა. ყველა ყოფილი მინისტრისა და მათი მოადგილეების კარი შეაღო (ვინც არ გაქცეულა); გაყალბების მთავარი ბერკეტი — ცესკო კი კვლავ ხელშეუხებლად დარჩა. მეტიც, არჩევნების შემდეგ მმართველ გუნდს მის მიმართ კითხვები არც გასჩენია (ყოველ შემთხვევაში, არ დასმულა) და როგორც ჩანს, ამ მიმართულებით არც მომავალში იგეგმება რამე... უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობაზე და რა საფუძველი არსებობს ამისთვის, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა.**

**— ბატონო კახა, თქვენი აზრით, რატომ არ იწყება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ გამოძიება? წინასაარჩევნო პერიოდში და შემდგომაც ხელისუფლება, „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ, სერიოზულ დარღვევებზე საუბრობდა.**

— პროკურატურას არ აქვს მუშაობის ერთიანი სტრატეგია. სახეზე გვაქვს შერჩევითი მართლმსაჯულება. დღეს საქართველოში, საარჩევნო დანაშაულის კი არა, საერთოდ დანაშაულის ძიება არ მიმდინარეობს. ყურადღება ეთმობა მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა წამოწევაც რაღაც მოცემულ მომენტში ვიღაცას სჭირდება. მაგალითად, პარლამენტში აკლიათ 9 დეპუტატის ხმა, იწყება 9 დეპუტატის წინააღმდეგ გამოძიება, იქ კიდევ ვიღაცის ჩაძირვაა საჭირო, იმას უტევენ. ერთიანი სტრატეგია კი, როგორც გითხარით, რა არსებობს.

ჩემი აზრით, **პროკურატურამ უნდა მიიღოს რამდენიმე გადაწყვეტილება: პირველი: რა სიმძიმისა და ხანდაზმულობის დანაშაულს იძიებს** და **მეორე: თითოეული მიმართულებით უნდა ჩამოყალიბდეს სპეცპროკურატურები,** როგორც ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაშია. სამწუხაროდ, ასეთი რამ დღესდღეობით საქართველოში არ ხდება და ამიტომ არ მიმდინარეობს არც ერთი გაყალბებული არჩევნების გამოძიება. სავარაუდოდ, ეს არც დაიწყება ამ ხელისუფლების პირობებში, თუ, ვიმეორებ, საარჩევნო კომისიის რომელიმე ყოფილმა ხელმძღვანელმა მმართველ გუნდს არ შეუქმნა პრობლემა. აი, ესაა, სამწუხაროდ, დღევანდელი პროკურატურის საქმიანობა და ეს ეხება არა მარტო საარჩევნო დანაშაულებს, არამედ ადამიანების დახვრეტებს, ჩვენ გვახსოვს ასოცი დახვრეტა, რომელთაგან სულ ორზე თუ სამზე დაწყებული გამოძიება, ეხება დარბევებს, ქონების რეკეტს და ა. შ.

**— გამოდის, რომ ამ ეტაპზე საარჩევნო დანაშაულის გამოძიება ხელს არ აძლევს ხელისუფლებას?**

— სხვა მიზეზს ვერ ვხედავ, უბრალოდ, ეს არაა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი. საზოგადოებაში ხშირად მოისმენთ, რომ მათ არ ჰყავთ კვალიფიციური კადრები. ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას, საქართველოში თუ კი რამის კადრები არის, პირველ რიგში, ესაა იურისტები. მეორეც, ჩვენ ვხედავთ, სადაც არსებობს პოლიტიკური ნება, იქ კადრების ნაკლებობა შეფერხებას არ ქმნის. მაგალითად, **„ქართუ ბანკისა“ და „ელიტა ბურჯის“ შემთხვევებში გამოძიება მყისიერად წარიმართა. საქმე ისაა, რომ მოქმედი ხელისუფლება, მისი წინამორბედიც და იმის წინაც ერთი და იგივე პოლიტიკური კლასია, ერთი და იმავე რაღაც ორგანიზებული ჯგუფის სხვადასხვა კლანი, რომლებმაც, მართალია, ძალაუფლება წაართვეს ერთმანეთს, მაგრამ საერთო ფესვებიდან იკვებებიან.** აქედან გამომდინარე, საარჩევნო დანაშაულის გამოძიება, შეიძლება, ერთნაირად მტკივნეული იყოს ორივე მხარისთვის... **მე ვხვდები, რატომ ფერხდება თუნდაც 7 ნოემბრის მოვლენების გამოძიება. იმიტომ, რომ იქ შესაძლოა, დღევანდელი ხელისუფლების ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი ამოტივტივდეს.** იმავეს ვიტყვი იმ ქონებრივ თუ ფინანსურ დანაშაულებზე, რომელთა გამოძიებაც ასევე არ ხდება...

**— გარდა ამისა, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ გაყალბებაში გამოწრთობილი კადრები ახალ ხელისუფლებასაც სჭირდება?**

— ნამდვილად, შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ, როგორც „ნაციონალებმა“ გადმოიბარეს ეს „ინფრასტრუქტურა“, თავის დროზე წინამორბედისგან, ისე გადმოიბარებს ახლა „ოცნება“. როგორც დორიან გრეის პორტრეტი იცვლება, ისე ჩვენ ვუყურებთ ახალ-ახალ ნაკვთებს კოალიციის პოლიტიკურ სახეზე და მომსწრენი ვართ, როგორ ემსგავსებიან ისინი დღითიდღე „ნაციონალურ მოძრაობას“.

**— ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩატარებული ყველა არჩევნები და არა მარტო არჩევნები, მათ შორის გამოკითხვებიც, ოპოზიციამ გაყალბებულად გამოაცხადა. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ანალოგიურად ეჭვქვეშ დგას ნატოს 2008 წლის სამიტამდე ჩატარებული პლებისციტის ობიექტურობაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს?**

— რა თქმა უნდა. პლებისციტი სწორია თუ არა, ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურადაა მასში ხალხის ნება ასახული და არა იმის მიხედვით, ვის რა აძლევს ხელს. დღესდღეობით „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა საკუთარი მისწრაფება უკვე გამოხატა; ხოლო როცა ეკითხები — როდის? გიპასუხებენ: — 2008 წლის 5 იანვარს. ეს ის არჩევნებია, რომლის შემდგომაც ჩვენ ერთად ვიდექით რუსთაველზე და ვაპროტესტებდით ტოტალურ გაყალბებას... საინტერესოა ერთი, როგორ ჩაიარა მაშინ ხმის მიცემის პროცედურამ, მაგალითად, მარნეულის რაიონში. ალბათ, ჩავიდნენ იქ „ნაციონალები“ და ამომრჩეველს უთხრეს: გაჩეჩილაძეს არ მისცეთ ხმა, სააკაშვილს მიეცით და ნატოსთან მიმართებაში, რაც გინდათ, ის აირჩიეთო. ეს ხომ კომედიაა?! ჩვენ, ყველანი, კარგად ვხვდებით, რომ **2008 წლის 5 იანვარს არანაირი თავისუფალი ნების გამოხატვა არ ყოფილა; მათ შორის, არც იმასთან დაკავშირებით, უნდა გაწევრიანდეს თუ არა საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.**

**არც „ქართული ოცნება“ და არც „ნაციონალური მოძრაობა“ არაა დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე, ორივე ჭიპლარით მიერთებულია ვაშინგტონზე. თამაშის წესებს, რომლებსაც ადგენს „თეთრი სახლი“, ვერც ერთი ვერ დაარღვევს. თუ სააკაშვილი დაითხოვს პარლამენტს და მთავრობას, კოალიცია იძულებული იქნება, მას დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი დაუმორჩილებლობა ამერიკის მიერ შეფასდება, როგორც პუტჩი და სამხედრო გადატრიალება.** სააკაშვილის მხრიდანაც სამხედრო ძალის გამოყენება იქნება გამართლებული დასავლეთის თვალში. ჩემი აზრით, ამ საფრთხეების ასაცილებლად „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ თვეებში უნდა გადაედგა უფრო ქმედითი ნაბიჯები. ვგულისხმობ იმას, რომ უნდა მოეხდინათ „ნაციონალური მოძრაობის“ ნეიტრალიზება. შეიძლება არც ახლაა გვიან, შესაძლოა, დღეები წყვეტდეს ყველაფერს და მე არ გამოვრიცხავ, ივანიშვილმა 19 აპრილამდე გააკეთოს ეს.

**— ნეიტრალიზება კონკრეტულად რა ფორმით უნდა მოხდეს?**

— ყველა ფორმით, როგორსაც საქმე მოითხოვს. ისტორია იწერება ისტორიის კანონებით და არა სისხლის სამართლის კოდექსებით, უნდა დააპატიმრონ ყველა, ვისაც შეუძლია კონტრრევოლუციაში მონაწილეობა.



**— თქვენ თქვით, რომ ეს ხელისუფლებაც, ისევე, როგორც წინა, ამერიკის წინაშე ანგარიშვალდებულია. თუკი ივანიშვილი ვაშინგტონის ხელდასხმული ფიგურაა, რა პერსპექტივა აქვს მიმდინარე მოლაპარაკებებს რუსეთთან და მით უფრო აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის მცდელობას?**

**— ამერიკასაც და რუსეთსაც — ორივეს აქვს უნდობლობა ამ ხელისუფლების მიმართ. ივანიშვილი დროს წელავს და ის ძალიან ჰგავს იმ ქართველ მეფეებს XVII საუკუნეში, რომლებიც, გვახსოვს ჩვენ, შაჰს ხანგრძლივად არწმუნებდნენ ერთგულებაში; ბოლოს ეს მთავრდებოდა ორნაირად: ზოგი მეფე იგებდა ომს, ზოგს თავს კვეთდნენ ისპაჰანში. ჩემი აზრით, ასეთი კვანძის გახსნა აქაც არის გარდაუვალი. ეს გაურკვევლობა დიდხანს ვერ იქნება შენარჩუნებული...**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**„20 კაცი მცემდა, აქედან სამი ვიცანი — რუსთავის კუდის ყოფილი უფროსი ლევან ტყეშელაშვილი, მისი თანამშრომელი ვასო ბესელაშვილი და რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსი ვალერი დუღაშვილი“.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზაზა სამხარაძე: ჩემს შვილს ციხეში თავში ცემისგან სიმსივნე განუვითარდა

**სამხარაძეების ოჯახის ტრაგედია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ სჯიდა საქართველოს ყოფილი ხელისუფლება განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებს. მამა-შვილს ჯერ სამსახურები დაატოვებინეს, შემდეგ კი ციხეში გამოამწყვდიეს. 20 წლის ნიკა სამხარაძე 26 მაისის ღამეს დაუნდობელი ცემის შემდეგ სიმსივნით დაავადდა. ჯანმრთელობა შერყეული აქვს მამასაც — ავღანეთის, აფხაზეთისა და ცხინვალის ომის ვეტერან ზაზა სამხარაძეს, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. საქმის დეტალებში გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ ზაზა და ნიკა სამხარაძეებს რუსთავში ესტუმრა.**



**— თქვენი შემთხვევა გამორჩეულია, ფაქტობრივად, მთელი ოჯახი დაგაპატიმრეს. რა გახდა თქვენი დაპატიმრების მიზეზი?**

**ზაზა სამხარაძე:**

— როდესაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ძალიან მიხაროდა, მაგრამ დაიწყეს რა ტელედაჭერები, ვიღაცებს ბიზნესი წაართვეს, ეკლესის კარი შეანგრიეს და სასულიერო პირებს შეურაცხყოფა მიაყენეს, მივხვდი, რომ უსამართლოდ იქცეოდნენ. სამხედრო კაცი ვიყავი და პარტიულობას ყოველთვის ვერიდებოდი. ვიმყოფებოდი ავღანეთში, ვიბრძოდი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მაგრამ, როცა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს, საკუთარ შეხედულებებს უკვე ღიად ვაფიქსირებდი. ამის გამო სამსახურში პრობლემები შემექმნა. **სახელმწიფო დაცვის პოლიციაში ვმუშაობდი, ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო, 2008 წლის 16 დეკემბერს სამსახურიდან გამათავისუფლეს. უფროსმა დათო ალადაშვილმა დამიბარა და პირდაპირ მითხრა, ახლა წადი და ერთ თვეში უკან დაგაბრუნებო. დამაწერინეს განცხადება. მან პირობა შეასრულა და ერთ თვეში ისევ აღმადგინა სამსახურში, რის გამოც დაისაჯა — დააქვეითეს და სხვაგან გადაიყვანეს.** მაშინ შევპირდი, მაგარი კაცი ხარ და ამისთვის, რაც გამიკეთე, გაგწირავენ, მაგრამ სულ ესენი ხომ არ იქნებიან, მოვა ახალი ხელისუფლება და აუცილებლად დაგიფასდება-მეთქი.

სამსახურში აღდგენის შემდეგ უფრო ფრთხილად ვიქცეოდი, თუმცა დაფარული არაფერი რჩება და 2010 წელს დამიბარეს პროკურატურაში; ცდილობდნენ, შარი მოედოთ, თითქოს ჩემს სამხედრო ბილეთში რაღაც უზუსტობები იყო. 8 თვე მარბენინეს დაკითხვებზე. ვფიქრობ, თავიდან სურდათ, საბუთების გაყალბების მუხლი წაეყენებინათ და ამის საფუძველზე დავეპატიმრებინე, მაგრამ არ გამოუვიდათ. 2011 წლის 26 აპრილს ისევ გამათავისუფლეს სამსახურიდან და ჩემ გამო მთელი ჯგუფი — 6 კაცი დაითხოვეს.

პარტიაში 2010 წელს გავწევრიანდი. მე „შეფიცულების“ უფროსი ვიყავი, ჩემი შვილი — ნიკა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრი იყო. ჩვენი დასჯის მიზეზიც ეს გახდა.

**ნიკა სამხარაძე:**

— პირველად 7 მაისს დამიჭირეს, როცა რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის, ვალერი დუღაშვილის, სახლის წინ ახალგაზრდებმა აქცია მოვაწყვეთ — „ამხილე ჯალათი“. ცნობილია, რომ რუსთავში ყველა უკანონო საქმეში ეს ადამიანი მონაწილეობდა. თუ ვინმეს იარაღი ან ნარკოტიკი ჩაუდეს, დუღაშვილია ყველაფრის თანამონაწილე. მაშინ 400-ლარიანი ჯარიმა დამაკისრეს და გამომიშვეს, მაგრამ გამათავისუფლეს სამსახურიდან. რუსთავში, ავტობაზრობაზე დაცვის სამსახურში ვმუშაობდი და სამსახურის უფროსმა დათო ჯამაგიძემ პირდაპირ მითხრა, — სჯობს, სამსახურიდან წახვიდე, პრობლემები რომ არ შეგექმნასო.

**— მამა-შვილი 26 მაისის ღამესაც დაგაპატიმრეს. მაშინ სად წაგიყვანეს?**

**ზაზა სამხარაძე:** — 26 მაისს, როდესაც დარბევა დაიწყო, კინოთეატრ „რუსთაველში“ შემაგდო ხალხის ტალღამ. იქ საშინელი ცემა-ტყეპა მიმდინარეობდა. ხალხს პირდაპირ დერეფნებში სცემდნენ, თუმცა ზოგიერთი ცალკე ოთახებშიც შეჰყავდათ და იქ, არ ვიცი, რა ხდებოდა.

**ხალხს ერთი გასასვლელიც არ დაუტოვეს გასაქცევად. ავღანეთშიც კი, როცა მოჯაჰედებით სავსე აულში შევდიოდით, მშვიდობიან მოსახლეობას კორიდორს ვუტოვებდით, რადგან, რაც მეტი კაცი გაიქცეოდა, მით ნაკლები მსხვერპლი იქნებოდა, ამათ კი საკუთარი ხალხი გაწირეს.**

კინოთეატრის დარბაზში შევედი და დავჯექი, როგორც მაყურებელი. მოულოდნელად შემოცვივდნენ სპეცრაზმელები და ბილეთები მოგვთხოვეს. ფოტოებით ეძებდნენ ხალხს. უამრავი ხალხი ჰყავდათ დაჭერილი. ყველანი იატაკზე დაგვყარეს და ზემოდან გადარბოდნენ ჩვენზე. იქიდან წაგვიყვანეს დილმის პოლიციის მთავარ სამმართველოში. ხუთივე სართული სავსე იყო დაპატიმრებულებით. მათ სასტიკად სცემდნენ. ღამის განმავლობაში, პერიოდულად შემოვარდებოდნენ პოლიციელები, ნინო ბურჯანაძეს აგინებდნენ, გვირტყამდნენ და გადიოდნენ. ერთი ბიჭი იყო 16 წლის, საშინლად ნაცემი და არც ყურადღებას აქცევდა ვინმე. დილით ჯერ 50-დან 60 წლამდე ასაკის ხალხი გაიყვანეს დაკითხვაზე, მერე ჩვენ 40-50 წლამდე ასაკის კაცები გამოგვიძახეს. ჩამოგვართვეს ტელეფონები, ჩაგვსხეს ავტობუსში, გვაგინეს და ქალაქგარეთ ჩამოგვყარეს. მაშინ მე გადავრჩი, მაგრამ ჩემი შვილი სასტიკად სცემეს, ნიკა სასიკვდილოდ გაიმეტეს.

არადა, უკვე სამშვიდობოს გასული ყოფილა, როცა ორჯერ აქციაზე შებრუნებულა. ჯერ უცნობ ქალს და ბავშვს დახმარებია, და მეორედ ჩემს საძებნელად დაბრუნებულა. **დაიჭირეს და მთელი ღამე სცემდნენ. მხოლოდ თავში უტყამდნენ. ამის გამო სიმსივნე გაუჩნდა. სასტიკი ცემის შემდეგ ხუთი დღე უგონოდ იყო. ვეძებდით და არავინ იცოდა, სად იყო. ბოლოს „წითელი ჯვრისა“ და „საიას“ დახმარებით ვიპოვეთ.**

ჩემი შვილი რომ დააპატიმრეს, ვალერი დუღაშვილი და ლევან ტყეშელაშვილი ასე ეუბნებოდნენ, სად არის ახლა მამაშენი, მიგატოვა, ყველამ გაგწირაო.

**ნიკა სამხარაძე:** — 26 მაისს გუდიაშვილის ქუჩაზე დამიჭირეს და წამიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში. პოლიციის ეზო აქციაზე დაჭერილი ხალხით იყო სავსე. როცა ვუთხარი, ვინც ვიყავი, დამიწყეს უმოწყალოდ ცემა. მერე ისე გათავხედდნენ, ნიღბებიც მოიხსნეს. ოცი კაცი მირტყამდა, თან აგენტს და მოღალატეს მეძახდნენ. რადგან თავში მირტყამდნენ, პერიოდულად გონებას ვკარგავდი. **20 კაცი მცემდა, აქედან სამი ვიცანი — რუსთავის კუდის ყოფილი უფროსი ლევან ტყეშელაშვილი, მისი თანამშრომელი ვასო ბესელაშვილი და რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსი ვალერი დუღაშვილი.** ისინი განსაკუთრებით აქტიურობდნენ. ახალი ნაყიდი ტელეფონი მქონდა, რომელიც თავისი ხელით ამოიღო ჩემი ჯიბიდან ტყეშელაშვილმა და დღემდე არ დაუბრუნებია. ირგვლივ სისხლის გუბეები იდგა. მახსოვს, თითქმის გონწასულს დუღაშვილმა სახეში შემაფურთხა. მხედველობა დავკარგე. ითხოვდნენ, მეთქვა ჩვენი აქტივისტების ადგილსამყოფელი, ჩაუშვი, მაინც ყველამ მიგატოვაო, მეუბნებოდნენ.

დილით სასამართლოში გადაგვიყვანეს, შემდეგ კი გარდაბანში წაგვიყვანეს. **საკანში რომ შემიყვანეს, 5 დღე გათიშული ვიყავი, არაფერი მახსოვს. როგორც მერე საკანში ჩემთან ერთად მყოფი პატიმრები მიყვებოდნენ, თურმე ექიმი შემოდიოდა, მაკვირდებოდა — ვსუნთქავდი თუ არა, და გაიხურავდა კარს. ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ჩემთვის არანაირი მკურნალობა არ ჩაუტარებიათ.**

**ზაზა სამხარაძე:** — „საიასა“ და „წითელი ჯვრის“ დახმარებით, 5-დღიანი ძებნის შემდეგ, გარდაბნის „კაპეზეში“ ვიპოვეთ. „საიას“ წარმომადგენელმა მითხრა, სახეზე არც ერთი ნაკვთი არ უჩანს, ისეა დასისხლიანებული და ნაცემიო. ხუთი დღის შემდეგ მოვიდა მხოლოდ გონზე. ერთი თვის შემდეგ გამოუშვეს. სრულიად შეცვლილი იყო. შეექმნა მხედველობის პრობლემები. თბილისში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად თავში სიმსივნური წარმონაქმნი აღმოაჩნდა.

**— ამჟამად თუ მკურნალობთ?**

— ვერ ვმკურნალობთ, რადგან ამის არანაირი საშუალება არ გვაქვს. ნიკას დედა 1992 წელს, კონფლიქტის დროს, ძმასთან ერთად ოსებმა მოკლეს. ნიკა მაშინ ორი წლის იყო და ობლად გავზარდე. შემდეგ მოვიყვანე მეორე მეუღლე, რომელმაც ციხიდან ჩემი გათავისუფლების შემდეგ განქორწინება მოისურვა. ოჯახიც დამენგრა და შვილიც დამიავადმყოფდა. ბინაც გავყიდეთ, რადგან ქვეყნიდან წასვლას ვაპირებდით, თუმცა ვეღარ მოვასწარით, დამაპატიმრეს.

**— ამჯერად რა გახდა თქვენი დაპატიმრების მიზეზი?**

— 26 მაისის მოვლენების შემდეგ, გამუდმებით გვითვალთვალებდნენ და ჩემი დაპატიმრების მიზეზს ეძებდნენ. 6 ივლისის ღამეს, 12 საათზე მოდის კაცი ყვავილებით ხელში და მეუბნება, თითქოს ყვავილები ჩემს მეუღლეს საყვარელმა გამოუგზავნა. მაშინვე მივხვდი, რომ პროვოკაციას მიწყობდნენ. გამოვართვი ყვავილები, რეაქცია არ მქონია. მაგრამ ეს კაცი არც მიდის, არც სახლში შემოდის. მერე თქვა, დაბლა მელოდება ეს კაციო. გავყევით მე და ჩემი მეუღლე, მაგრამ, რა თქმა უნდა, იქ არავინ იყო. როგორც შემდეგ გავიგე, პოლიციელები ყოფილან ჩასაფრებულები, საკმარისი იყო ერთი დამერტყა, მაშინვე დამიჭერდნენ. **იმ ღამეს ჩემს სახლთან განაწილებულები იყვნენ პოლიციელები: ჭყონია, სართანია, დუღაშვილი. შემსრულებელი იყო პრობაციონერი რუპენ ნაზარიანი, რომელიც ცნობილი „ნასედკაა“. პატრულში ვაპირებდით დარეკვას, მაგრამ ეს კაცი გაიქცა. აღმოჩნდა, რომ იმ ღამეს თავად პოლიციელებმა სცემეს და საავადმყოფოში წაიყვანეს, ვითომ მე ვცემე. ისიც ვიცი, რომ ნაზარიანს პოლიციელმა მაიზერ ხვარეშიამ სცემა.**

10 ივლისს, სახლიდან გამოსვლისთანავე დამაპატიმრეს. მათ არც ფორმა ეცვათ და არც საბუთები წარმოუდგენიათ. ჩხრეკასაც არავინ დასწრებია. ადვოკატიც არ მომიყვანეს. წამიყვანეს რუსთავის პოლიციის პირველ განყოფილებაში, სადაც ვალერი დუღაშვილი ჯერ დარბაზში გამესაუბრა; მითხრა, ხომ დაგიჭირე, როგორც იქნა, ჩემს სახლთან რომ მოაწყვე აქცია 7 მაისსო; 26 მაისს ვერ დაგიჭირეთ, მაგრამ შენს შვილს ხომ დედა ვუტირეთო. თან ჩემს შვილს მკვდარ დედას აგინებდა. მეც შევაგინე, დედა მკვდარი ჰყავს და როგორ ბედავ და აგინებ-მეთქი. **შემდეგ შემომთავაზა, თქვი, რომ რუსეთიდან ჯარს ელოდებოდით, ნინო ბურჯანაძეც რუსეთის აგენტია და ახლავე გაგიშვებთო.**

შემიყვანა თავის ოთახში, სადაც ასევე პროვოკაციის მოწყობას ცდილობდა. იარაღი დამიდეს მაგიდაზე და ხელები გამიხსნეს. წამებში მივხვდი, რაც ხდებოდა. საკმარისი იყო იარაღისთვის ხელი მეხლო და მაშინვე მესროდა. მერე წყლის დალევას მაიძულებდნენ. სავარაუდოდ, ნარკოტიკს ჩაყრიდნენ.

**— ანუ, საბოლოოდ, რუპენ ნაზარიანის ცემა დაგდეს ბრალად?**

— დიახ. ბრალი წამიყენეს 118-ე მუხლის 1 ნაწილით, სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. მაბრალებდნენ, თითქოს ის კაცი ვცემე, ყვავილების მომტანი. წინასწარი ორთვიანი პატიმრობა გლდანში გავატარე. სასჯელს თბილისის სასჯელაღსრულების ყოფილ მე-9 დაწესებულებაში ვიხდიდი...

**— რამდენი ხანი გაატარეთ ციხეში და როგორ ექცეოდნენ პატიმრებს?**

— წელიწად-ნახევარი გავატარე ციხეში და 13 იანვარს პოლიტიკური ამნისტიის შედეგად გამათავისუფლეს. **ციხეში საშინლად გვექცეოდნენ. პატიმრებს სილით ან წყლით სავსე ბოთლებს და ხელკეტებს ურტყამდნენ. განსაკუთრებული სისასტიკე კარანტინის დაშლის დროს ხდებოდა.** ამ დროს ე. წ. „პოდპისკას“ აწარმოებდნენ, გაჰყავდათ პატიმარი და თანამშრომლობას სთავაზობდნენ, ვინც უარს ეუბნებოდა, საშინელ დღეში აგდებდნენ — მუხლებს, ნეკნებს უმტვრევდნენ. **მთელ ციხეში პატიმრების განწირული ხმა ისმოდა. ციხის დირექტორი მუხაძე და მთავარი ექიმიც ესწრებოდნენ პატიმრების წამებას, მეტიც, თავადაც სცემდნენ. ერთ პატიმარს მინიმუმ 7-8 კაცი ურტყამდა ხოლმე.** თავისთვის ისხდნენ პატიმრები, შეუვარდებოდნენ ველურებივით და ურტყამდნენ ასე, სრულიად უმიზეზოდ.

გულთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, ინსულტი გადავიტანე. ჩემი 20 წლის შვილი დაავადდა, ოჯახი დამენგრა. მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს სამართლიანობამ იზეიმოს და, ვინც ურევია ამ საქმეში, ყველამ პასუხი აგოს. როგორც მე ვიცი, **ჩემი დაპატიმრება დაიგეგმა დათა ახალაიას მოადგილის, ვაჟა ლელუაშვილის, კაბინეტში. ამის შემდეგ ჩემი დაპატიმრება დაევალათ ქვემო ქართლის კუდის უფროს ზაზა ტატიკიშვილს, ქვემო ქართლის პოლიციის უფროს გიორგი ბუჯიაშვილს, რუსთავის კუდის უფროს ლევან ტყეშელაშვილს, მის მოადგილე გიორგი ჭყონიასა და გოჩა გოჩალეიშვილს.**

**ლევან ტყეშელაშვილი და ზაზა ტატიკიშვილი დღესაც თანამდებობებზე მუშაობენ და თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ვალერი დუღაშვილი, მართალია, გაათავისუფლეს სამსახურიდან, მაგრამ თავისუფლად დასეირნობს.** ამ ადამიანებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ იმაზე, რაც ჩაიდინეს, მითუფრო ჩვენ ვაგეთ პასუხი იმაზე, რაც არ ჩაგვიდენია.

ესაუბრა **შორენა ციჯქარაშვილი**

„19 წლის პატიმარ გოგონას, ლიკა ნატრიაშვილს, სისტემატურად სცემდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას, რადგან მას კონფლიქტი ჰქონდა ციხის თანამშრომელთან, რომელიც მედეა ალანიას სიძე გახლდათ. ქალბატონმა მედეამ, სკანდალი რომ აეცილებინა სიძისთვის, გოგონა ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტა, სადაც ლიკა ნატრიაშვილმა თავი ჩამოიხრჩო.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გვანცა ყუფარაძე: ნარკოტიკების რეალიზაცია, ზეწოლა, სქესობრივი კონტაქტის იძულება ჩვეულებრივი რამ იყო ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

**გვანცა ყუფარაძის ისტორია საზოგადოებისთვის მაშინ გახდა ცნობილი, როცა უსამართლობის მსხვერპლი გოგონა 14 წლის ასაკში პატიმრად იქცა. ქართულმა მართლმსაჯულებამ მას 10 წელი მიუსაჯა (აქედან 5 წელი — პირობითი სასჯელი). მან ცრუ ჩვენების მიცემასა და არარსებული ბრალის აღიარებაზე უარი განაცხადა და 5-წლიანი სასჯელი ღირსეულად მოიხადა. რაც მთავარია, არ გაბოროტებულა, სულით არ დაცემულა, პირიქით, საპატიმროში ყოფნის პერიოდში იურისტობა გადაწყვიტა და უსამართლობასთან ბრძოლა თავის მთავარ მიზნად დაისახა. დღეს გვანცა ყუფარაძე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ციხეში გატარებულ წლებსა და დაპატიმრების მიზეზებზე საუბრობს.**



**— მიუხედავად იმისა, რომ რეალური სამხილები თქვენ წინააღმდეგ საქმეში არ არსებობდა, 5 წელი გაატარეთ ციხეში. რა მტკიცებულებები წარმოადგინა პროკურატურამ, რაც შემდგომში თქვენი დაპატიმრების მიზეზად იქცა?**

— თავდაპირველად მოწმის სტატუსით დამკითხეს, ვინაიდან სკოლაში თანაკლასელის, თორნიკე ტყემალაძის, დაჭრის ფაქტის მოწმე გავხდი. ჩემი ინიციატივითა და სურვილით მივეცი ჩვენება გამომძიებელს და დეტალებში აღვწერე მომხდარი შემთხვევა. როდესაც თორნიკე ტყემალაძემ თავი უკეთ იგრძნო და შესაძლებელი გახდა მასთან გასაუბრება, პირველად მან თქვა, რომ არ ახსოვდა, რა მოხდა. შემდეგ განაცხადა, თითქოს სკოლის ფანჯრიდან გადახტა და დაზიანებებიც მაშინ მიიღო. მაგრამ მალე ეს ჩვენებაც შეცვალა და განაცხადა, რომ ნამდვილად მიაყენეს ჭრილობები, მაგრამ არ ახსოვს ეს სად და რა ვითარებაში მოხდა. ამის შემდეგ თორნიკემ კიდევ ერთხელ შეცვალა ჩვენება და თქვა, რომ თითქოს მე მივაყენე მას დაზიანებები. თუ რატომ, რა ვითარებაში, რა მოტივით, რა ტრაექტორიით, ყველა კითხვაზე ჰქონდა იდენტური პასუხი — არ იცის და არაფერი ახსოვს.

**— თქვენ უარი გეთქვათ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდით. როგორ ფიქრობთ, რატომ გაგწირეს 14 წლის გოგონა, ვის ინტერესებში შედიოდა თქვენი პატიმრობა?**

— ყველაფერი დაიწყო თორნიკე ტყემელაძის პოზიციიდან. რატომ მოიქცა ასე? ჩემი აზრით, ეს გააკეთა იმიტომ, რომ ჩემ მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მისთვის არახელსაყრელი იყო. ტყემალაძეს არ სურდა მისი დაჭრის მიზეზის გახმაურება! მიზეზის დადგენა გამოძიების პრეროგატივაა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ **თორნიკე ტყემელაძის გადარჩენა დიდწილად ჩემი დამსახურებაა, ვინაიდან სასწრაფო დახმარება და საპატრულო პოლიცია მე გამოვაძახებინე ჩემს პედაგოგს. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაშიც მითითებულია, რომ, 5 წუთითაც რომ დაგვიანებოდა ტყელამაძეს სამედიცინო დახმარების ჩატარება, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.**

**— იუსტიციის მინისტრმა ახლახან თქვენ შესახებ განაცხადა, რომ ეს განაჩენი არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის პრობლემა, „ეს ქვეყნის პრობლემაა და ყველა მომავალი 15 წლის გოგონას პრობლემა“. როგორ შეიძლება ამ საქმის გამოსწორება დღეს, რა აგინაზღაურებთ იმ დაკარგულ წლებს, რომლებიც ციხეში გაატარეთ?**

— ქალბატონი თეა შეუპოვრად იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად ამ მეტად რთულ გარემოში. მე გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას და, თქვენი ნებართვით, დიდ მადლობას გადავუხდი მას ამ განცხადებისთვის, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მითუმეტეს, მან ჩემი საქმე სანდრო გირგვლიანის საქმესთან ერთად მოიხსენია და დიდი მადლობა მას, რომ არ ავიწყდება თითოეული ჩვენგანის ტკივილი, რასაც წლების განმავლობაში ვატარებდით. **ჩემი მიზანია, ჩემი საქმე განიხილოს სასამართლომ, ყველამ იმ მტკიცებულების საფუძველზე, რაც საქმეში არსებობს. მოსამართლე დალი მეტრეველს რომ გაეთვალისწინებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები, დაზარალებულის ჩვენების ალოგიკურობა და არათანამიმდევრულობა, მისი შესაბამისობა ექსპერტიზის დასკვნასთან, თუნდაც მარტო ექსპერტიზის დასკვნა გახდებოდა მთავარი მაპროვოცირებელი იმისა, რომ სასამართლოს ჩემთვის გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა.**

**— ქალთა კოლონიაში რა ვითარება იყო, როგორ ექცეოდნენ პატიმრებს?**

— რაც საზოგადოებამ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრებზე ნახა, მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც ციხეში ხდებოდა. **საშინელი ვითარება იყო: ნარკოტიკების რეალიზაცია, კორუფცია, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა, შეურაცხყოფა, სქესობრივი კონტაქტის იძულება... სამედიცინო დახმარება ქალებისთვის, ფაქტორივად, არ არსებობდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანი გარდაცვლილა იმის გამო, რომ სამედიცინო დახმარება დროულად არ აღმოუჩენიათ.**

**— თავად ციხის თანამშრომელი ქალები ახორციელებდნენ ძალადობას პატიმრების მიმართ?**

— დიახ, მამაკაცები სამაგალითონი იყვნენ ჯალათობის უნარ-ჩვევების გამომჟღავნებაში და მათ არც ქალები ჩამორჩებოდნენ. თუმცა იყვნენ კარგი ადამიანებიც. მაგალითად, ცვლის უფროსი ნანა გონაშვილი, ასევე ძალიან კარგი ქალბატონი იყო ფსიქოლოგი ქეთევან იმერლიშვილი.

ციხის თანამშრომლები იყოფოდნენ ორ ნაწილად: ერთნი ზვიად კვარაცხელიას, მეორენი მედეა ალანიას ინტერესებს იცავდნენ. ამ ორ ფლანგს შორის ყოველთვის იყო დაპირისპირება. გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, როდესაც სამსახურიდან გაათავისუფლეს მედეა ალანია და ზვიად კვარაცხელია. პირადად არ მინახავს მედეა ალანიას მიერ ნაცემი ადამიანი, მაგრამ რა უფრო უარესია პატიმრისთვის — ცემა თუ სრულიად უმიზეზოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნა? **19 წლის პატიმარ გოგონას, ლიკა ნატრიაშვილს, სისტემატურად სცემდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას, რადგან მას კონფლიქტი ჰქონდა ციხის თანამშრომელთან, რომელიც მედეა ალანიას სიძე გახლდათ. ქალბატონმა მედეამ, სკანდალი რომ აეცილებინა სიძისთვის, გოგონა ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტა, სადაც ლიკა ნატრიაშვილმა თავი ჩამოიხრჩო.**

**— თქვენი საქმე რომ არ ყოფილიყო ასეთი გახმაურებული, როგორ ფიქრობთ, სხვა პატიმრების ბედს გაიზიარებდით?**

— რასაკვირველია. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ანგარიშს მიწევდნენ. ჩემი მშობლები ყოველდღე იქ იყვნენ და იცოდნენ, რომ ჩემ მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი და ჩემი ოჯახი უკან არ დაიხევდა.

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

# სოზარ სუბარის საქმიანობა მისასალმებელია

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე მედეა კორკოტაშვილი-ცინცაძე ესაუბრა.**



**— ქალბატონო მედეა, როგორ შეაფასებთ სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესებს?**

— გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ორგანიზაცია 1 ოქტომბრის არჩევნებამდეც აქტიურად იყო ჩართული სასჯელაღსრულების სისტემის გარშემო მიმდინარე პროცესებში, გვქონდა უშუალო კონტაქტი პატიმრების ოჯახის წევრებთან, ვაანალიზებდით მათგან მიღებულ ინფორმაციას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმხანად შექმნილი არაადამიანური, სავალალო მდგომარეობის სრულ სურათს ვფლობდით. ძალიან ბევრი რამ, რაზეც ახლა ხმამაღლა საუბრობენ (ვგულისხმობ პატიმრებისადმი მოპყრობას, აგრეთვე, სასჯელაღსრულების სისტემაში ჩადენილ მძიმე დანაშაულთა ფაქტებს) ჩვენთვის, უფლებადამცველებისთვის, და მეტწილად საზოგადოებისთვისაც ცნობილი იყო. მაგრამ, ვინაიდან ამ დანაშაულებს ჰქონდა სისტემური ხასიათი და ისინი წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო პოლიტიკის, ე. წ. ნულოვანი ტოლერანტობის ერთგვარ გაგრძელებას, რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება, გარდა ამ ფაქტების გასაჯაროებისა და საზოგადოებრივი აზრის მოშველიებისა, ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. ამას ვაკეთებდით კიდეც, მაგრამ, ვინაიდან ხელისუფლება ახერხებდა, რომ უცხოელ უფლებადამცველებს ამ ფაქტებისთვის მნიშვნელოვანი ყურადღება არ მიექცია, საზოგადოებრივ პროტესტს არანაირი შედეგი არ მოჰქონდა.

ახალი ხელისუფლებისა და ახალი ადმინისტრაციის პირობებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ასე მაგალითად, **ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სატუსაღოებში ადგილი აღარ აქვს პატიმრების ცემას, წამებას, არაადამიანურ მოპყრობას, რაც მთავარია, მკაცრად კონტროლდება მათთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის საკითხი.**

ამდენად, თუ არ ჩავთვლით იმ მძიმე მემკვიდრეობას, რაც სოზარ სუბარს ერგო წილად, უნდა ითქვას, რომ არასათანადო მკურნალობის ან სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით, ვითარება მთლიანად გამოსწორებულია.

**— ეს მხოლოდ თქვენი დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნაა თუ სხვა არგუმენტებიც გაგაჩნიათ?**

— ჩვენთან საუბრისას პატიმრების ოჯახის წევრები გაკვირვებულიც კი არიან იმ გარემოებით, რომ რიგ პროცედურებს, რასაც აქამდე სჭირდებოდა ორი-სამი თვე, უამრავი ადამიანის ჩარევა და ამის შემდეგაც მაინც არ იყო გარანტირებული, რომ ტუსაღი სათანადო სამედიცინო დახმარებას მიიღებდა, დღეს მოკლე დროში ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე აგვარებენ.

შეცვლილია ზოგადად დამოკიდებულება სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ, ეს განსაკუთრებით იგრძნობა პატიმრების ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას. **თუკი აქამდე ისინი სისტემის ადმინისტრაციას აღიქვამდნენ როგორც ძალადობის ნაწილს, ვისგანაც მათი ახლობელი პატიმრებისადმი დაუფარავი აგრესია და საფრთხე მომდინარეობდა, დღეს ეს სურათი შეცვლილია და მათ არ ეშინიათ, რომ რომელიმე ბადრაგი ან ციხის უფროსი პატიმრისთვის ცემით „ნახევარი სიცოცხლის წართმევის“ ბრძანებას გასცემს.**

ჩვენ ინტენსიური სატელეფონო კავშირი გვაქვს პატიმრების ოჯახებთან, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პროცედურებს, რომლებიც კანონით ეკუთვნით, დადგენილ ვადებში უპრობლემოდ ახორციელებენ. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ, **თუკი ადრე თვეობით ლოდინის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი პატიმრის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა და ისიც ციხის საავადმყოფოში, ახლა ხელშეკრულებები დადებულია ქალაქის სხვადასხვა კლინიკასთან, სადაც უფრო საფუძვლიანად და კომპეტენტურად ხდება გამოკვლევების ჩატარება.** პატიმრების ოჯახის წევრები განსაკუთრებით ემადლიერებიან რუსთავის №6 დაწესებულების ახალ დირექტორს ალექსანდრე გიგანს და ამავე დაწესებულების სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმს თამუნა შურღაიას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოზარ სუბარის მინისტრად დანიშვნის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა პატიმრების კვების რაციონი და ხარისხი. რაც მთავარია, სასჯელაღსრულების სისტემა გაცილებით გამჭვირვალე გახდა და, როგორც მინისტრი, ასევე სხვა ჩინოვნიკები ხელმისაწვდომი არიან არამარტო უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის, არამედ უშუალოდ პატიმრების ოჯახის წევრებისთვის. მნიშვნელოვნად გაადვილებულია საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგი, პაემნის, აგრეთვე, ამანათის მიწოდების, ადვოკატებთან ურთიერთობისა და რიგი სხვა პროცედურები.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მომხსენებელ პედოფილებს შორის დამყარდა კონსენსუსი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პედოფილია, როგორც ფსიქიკური აშლილობა, ამოღებულ უნდა იქნეს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოდან.**



# ჰომოსექსუალების გაკვალულ გზაზე, ანუ 5 მარტივი ნაბიჯი პედოფილიის ლეგალიზაციისკენ

**ახლა პედოფილიის ნორმალიზებას ცდილობენ. სიტყვა „ნორმალიზებას“ ამ თემასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად იყენებენ და გულისხმობენ რაიმეს ჩვეულებრივ, რიგით, ნორმალურ, სავსებით მისაღებ და დასაშვებ მოვლენად ქცევას. რეალურად ამ კონტექსტს შეესაბამება სიტყვა ლეგალიზება, ამიტომაც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ახლა პედოფილიის ლეგალიზებისთვის ყველაფერი კეთდება. ამისათვის გამოიყენება ორი ძირითადი მიგნება: პირველი, რომ სექსი ბავშვებს არ ვნებთ და მეორე, რომ ბავშვებს ეს ისევე მოსწონთ, როგორც დიდებს და ამაში ცუდი არაფერია. არსებობს პედოფილიის ლეგალიზაციის მოძრაობა და ამაზე ნორმალური საზოგადოების რეაქცია კიდევ უფრო უარესი იქნება, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც ამ საზოგადოებამ პირველად გაიგო ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ. მაგრამ, ამის მიუხედავად, რა დაემართა ერთსქესიან ქორწინებებს? ის ნორმად იქცა, ამიტომაც ფშუკუნს, ფურთხებას და ფართხალს აზრი არ აქვს, არსებობს მოძრაობა, რომლის მიზანიც პედოფილიის ლეგალიზებაა, და ამის უკან დგანან სერიოზული ადამიანები — მემარცხენე ლიბერალები. მათ თუ რაიმეს მოჰკიდეს ხელი, ყველამ იცის, არაფერს დათმობენ და თავისას მიაღწევენ.**

იმის გასაგებად, თუ რატომ გახდა ასე სწრაფად ერთსქესიანი ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა, უნდა მივმართოთ ერთ ბურუსით მოცულ პოლიტიკურ თეორიას, რომელიც 10-15 წლის წინ გაჩნდა.

თეორიას ჰქვია **„ოვერტონის ფანჯარა“** და ის 1990-იანი წლების შუა პერიოდში აწგანსვენებულმა ჯოზეფ პ. ოვერტონმა შეიმუშავა. ის ასახავს „ფანჯარას“ (შესაძლებლობებს) სოციუმის რეაქციების ჩამონათვალში საზოგადოებაში ფართოდ განხილვად იდეასთან დაკავშირებით.

წარმოიდგინეთ სახაზავი. მის კიდეებზე განლაგებულია ექსტრემალური პოლარული ქმედებები ან გადაწყვეტილებები ამა თუ იმ პოლიტიკურ პრობლემასთან დაკავშირებით. კიდეებს შორის არის ყველა პოლიტიკური აქციის გრადაცია ერთი პოლუსიდან მეორემდე. სახაზავი წარმოადგენს რაღაც განსაზღვრული პოლიტიკური საკითხის გადაჭრის სრულ სპექტრს. „ფანჯრის“ თეორიის არსი მდგომარეობს თეზისში, რომ ნებისმიერ მოცემულ დროში პოლიტიკურად შესაძლებელი სფეროს საზღვრებში მოქცეულია ამ სტრატეგიული სპექტრის მხოლოდ ნაწილი. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად ენერგიულად გაატარებს პოლიტიკურ კამპანიას რომელიღაც ჯგუფი, მხოლოდ ის სტრატეგიული ინიციატივები დაგვირგვინდება წარმატებით, რომლებიც პოლიტიკურად შესაძლებელ „ფანჯარაში“ მოხვდება.

ყველა პრობლემა ხვდება სადღაც ამ სტრატეგიულ კონტინუუმში, რომელიც მთლიანობაში შეიძლება დაიყოს წარმოუდგენელ, რადიკალურ, მისაღებ, გონივრულ, პოპულარულ, პოლიტიკურ ქვეგანყოფილებებად, როდესაც ფანჯარა კონტინუუმის სივრცეში გადაადგილდება ან ფართოვდება, იდეები შეიძლება გახდეს უფრო მეტად ან ნაკლებად პოლიტიკურად მისაღები.

**ოვერტონის მოდელი შემუშავდა იმისთვის, რომ ახსნილიყო პოლიტიკური კლიმატის ტრანსფორმაცია.** მაგრამ მას ასევე შეუძლია ახსნას ის ღრმა და მავნე ცვლილებები, რომლებიც კულტურაში ხდება. მიზანი რომ კულტურული ინსტიტუტების განადგურება იყოს, მთელი პროცესი წარმოუდგენლიდან პოლიტიკურამდე ხუთი მარტივი ნაბიჯის გადადგმით განხორციელდებოდა.

**ნაბიჯი №1: წარმოუდგენლიდან რადიკალურამდე.** პირველი ნაბიჯი ყველაზე ადვილია, თუ პრობლემა ფეტიშად იქცევა რომელიმე ჯგუფისთვის ან აკადემიური სიმპოზიუმის თემა გახდება. ვინაიდან პროფესურაც და გარყვნილებიც აღფთოვანებულნი არიან — ყველაფერი ყალბი-პროგრესულით, ყველაფერი, რისი გაკეთებაცაა საჭირო, მხოლოდ ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთის ყურადღების მიზიდვაა. არ აქვს მნიშვნელობა, რომლიდან დაიწყებთ, რადგან საძინებლის პოლიტიკა და სამეცნიერო აუდიტორიის პოლიტიკა გარდაუვალად ემთხვევა ერთმანეთს.

**ნაბიჯი №2. რადიკალურიდან მისაღებამდე.** ეს ნაბიჯი მოითხოვს ევფემიზმის შექმნასა და გამოყენებას. თუ გსურთ, რომ საშვილოსნოში მოკლათ ბავშვი, დაარქვით ამას „დილეტაცია და ექსტრაკცია“ და ბავშვების მკვლელობა სამედიცინო პროცედურა გახდება. გნებავთ, რომ სოდომური კავშირები დაამყაროთ „ქორწინების“ ეგიდით? განიხილეთ ქორწინება, როგორც სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი ორი (ან მეტი?) ადამიანის ერთიანობა, რომელთაც სურთ, გაიყონ სარეცელი და გადასახადები. აუცილებლად დასძინეთ, რომ ეს სიყვარულია, რადგან ჩვენს კულტურაში ეროსი ყველაფერს პატიობს.

**ნაბიჯი №3. მისაღებიდან გონივრულამდე.** არაფერია უფრო გონივრული, ვიდრე ღვთისადმი მორჩილება. და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს შეუძლიათ იძახონ, ალაჰზე, იეღოვაზე ან ქრისტეზე ვლოცულობთო,



**ვიდრე 2003 წელს ლოურენსი ტეხასის წინააღმდეგ საქმეს მოიგებდა და ჰომოსექსუალიზმს სისხლის სამართლის დანაშაულებათა სიიდან ამოაშლევინებდა, საზოგადოებას ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ჰომოსექსუალიზმისადმი, როგორც ახლა პედოფილიის მიმართ აქვს**

უპირველეს ყოვლისა, ისინი ეთაყვანებიან ამეირიკულ კერპს — საკუთარ თავს. სწორედ ამიტომაა, რომ სოციალური ლიბერტარიანობა ამ ქვეყნის ყველაზე სწრაფად მზარდ კულტურად იქცა. ინდივიდუალიზმის ქადაგებამ ეს ქვეყანა თვითთაყვანისმცემლად აქცია.

**ნაბიჯი №4. გონივრულიდან პოპულარულობამდე.** ეს ნაბიჯი, უბრალოდ, პრობლემის განსახიერებას ითხოვს. იცნობთ ვინმეს სექსუალური უმცირესობებიდან? ვინმეს, ვინც მეუღლეს გაეყარა ან აბორტი გაიკეთა? ისინი არიან თქვენს ოჯახში, სამსახურში, ეკლესიაში. თქვენ გსურთ, რომ ადამიანებს უყვარდეთ? მაშინ გამოხატეთ მოწონება იმის მიმართ, რასაც კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები (მაგალითად რეალითი-შოუს გმირები) იწონებენ. ამ შემთხვევაში პოპულარული იქნებით და ფანატიკოსს არავინ გიწოდებთ.

**ნაბიჯი №5. პოპულაროზიდან პოლიტიკამდე.** მოამზადეთ და ჩაატარეთ საზოგადოებრივი აზრის კვლევა. აჩვენეთ მისი შედეგები პოლიტიკოსებს. ყველაფერ დანარჩენს ისინი თავად გააკეთებენ.

რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ყველა არ ეთანხმება ამ ნაბიჯებს, მაგრამ ეს სულაც არ შეუშლის ხელს პრობლემას, რომ გაიაროს მთელი ეს გზა. თითქმის ყველა კულტურულ-ეროზიული პოლიტიკა აბორტებიდან დაწყებული, ჰომოსექსუალური ქორწინებებით დამთავრებული, ამერიკაში სწორედ ამ გზით მოვიდა.

ამ გზას გადის პედოფილიის საკითხიც. ბალტიმორში აკადემიურ სიმპოზიუმზე შეიკრიბნენ პროფესორები და გარყვნილები, რათა პედოფილიასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულება შეცვალონ. კონფერენციაზე იყვნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის, ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის, ლუისვილისა და ილინოისის უნივერსიტეტების მეცნიერები. ამავე კონფერენციაზე გადაიდგა მეორე ნაბიჯიც, რადგან გაჩნდა ტერმინი „minor-attracted persons“, ანუ **„პიროვნებები, რომლებსაც ბავშვები იზიდავენ“.** ცხადია, პედოფილების მთელი ეს ბრბო ვარაუდობს, რომ მოახერხებენ მესამე და მეოთხე ნაბიჯების გადადგმასაც იმ ტაქტიკით, რომელსაც თავის დროზე ჰომოსექსუალთა უფლებების დასაცავად იყენებდნენ.

**ვიდრე 2003 წელს ლოურენსი ტეხასის წინააღმდეგ საქმეს მოიგებდა და ჰომოსექსუალიზმს სისხლის სამართლის დანაშაულებათა სიიდან ამოაშლევინებდა, საზოგადოებას ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ჰომოსექსუალიზმისადმი, როგორც ახლა პედოფილიის მიმართ აქვს.** უმეტესობა სისხლისსამართლებრივ დევნას ემხრობა და არა ფსიქიკური პრობლემების მკურნალობას. კონსერვატორებს დასცინოდნენ, როდესაც ლოურენსის მიერ საქმის მოგების შემდეგ ისინი ამბობდნენ, რომ ეს პოლიგამიისა და პედოფილიის ლეგალიზებამდე მივიდოდა, ახლა კი იმავე ადამიანებიდან ზოგიერთები ამ გადაწყვეტილებას პოლიგამიისა და პედოფილიის წინ წაწევისთვის იყენებენ.

რაც შეეხება ზემოხსენებულ კონფერენციას, „B4U-ACT“ ჯგუფის მიერ 2011 წლის 17 აგვისტოს ჩატარებული ამ ღონისძიების ანგარიში ირწმუნება, რომ პედოფილიის ლეგალიზების დრო დადგა.

ლინჩბურგში, ვაიომინგის შტატში 17 აგვისტოს პედოფილური ჯგუფის — „B4U-ACT“-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილე 50-მდე ადამიანს შორის იყო მრავალი აღიარებული პედოფილი, ანუ, როგორც თავად უწოდებენ საკუთარ თავს, „პიროვნება, რომელსაც ბავშვები იზიდავს“. იქვე იყო ფსიქიური ჯანმრთელობის რამდენიმე სპეციალისტი, რომლებიც კეთილგანწყობილნი არიან პედოფილთა მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილმა „სექსოლოგმა“, ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორმა ფრედ ბერლინმა გააკეთა ძირითადი მოხსენება, რომლის საკვანძო ფრაზა იყო შემდეგი: „მინდა სრულად დავუჭირო მხარი ჯგუფ B4U-ACT-ს მიზანს“.

კონფერენციის ძირითად თემებს შორის იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საზოგადოება დაუმსახურებლად ახდენს პედოფილთა დაღდასმასა და დემონიზაციას. აი ფრაზები, რომლებიც ყველაზე ხმამაღლა ისმოდა ამ კონფერენციაზე:

**„ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ და შევეწინააღმდეგოთ ჩვენი ბავშვების სექსუალურ განვითარებას“, „ზრდასრული ადამიანის სურვილი, ჰქონდეს სექსი ბავშვებთან, ნორმალურია“, „ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მოახდინოს პიროვნების თავისუფლების მაქსიმალიზაცია... ჩვენ გვყავს ძალზე მორალისტუ-**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეცნიერები აღიარებენ, რომ პედოფილური ურთიერთობების შედეგად მიყენებული ზიანის დამაჯერებელი მტკიცებულებები ჯერ მიკვლეული არაა. თუმცა ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პედოფილიასთან დაკავშირებით უფრო სერიოზული კვლევების ჩატარებაა საჭირო, მით უფრო მანამ, ვიდრე მას სისხლის სამართლის დანაშაულთა ან ფსიქიკურ აშლილობათა სიიდან ამოშლიან.

**რი საზოგადოება, რომელიც თავისუფლებასთან არათავსებადია“, „ვარაუდი, რომ ბავშვები ვერ იქნებიან მზად ან არ შეუძლიათ, დათანხმდნენ მოზრდილებთან სექსს, თავისთავად კრიმინალიზაციისკენ მიდის“.**

**მომხსენებელ პედოფილებს შორის დამყარდა კონსენსუსი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პედოფილია, როგორც ფსიქიკური აშლილობა, ამოღებულ უნდა იქნეს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოდან.** ზუსტად ისევე, როგორც ეს უკვე გააკეთეს 1973 წელს ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით.

**დოქტორმა ბერლინმა მხარი დაუჭირა ჰომოსექსუალებისა და პედოფილების „აღდგენითი თერაპიის“ კლინიკურ პრაქტიკას. მან განაცხადა: „თუ ვინმეს საკუთარი მიზეზების გამო არ სურს ჰომოსექსუალური ცხოვრების წესით იცხოვროს, ვეუბნები, რომ ეს ძნელია, მაგრამ შევეცდები დავეხმარო“.**

გაეცნო რა დამსწრე საზოგადოებას გეიაქტივისტად, გამომსვლელმა ჯეიკობ ბრესლოუმ განაცხადა, რომ **ბავშვები უნდა იყვნენ „ჩვენი ლტოლვის ობიექტები“. ამის შემდეგ მან მოახდინა ბავშვების „ობიექტივიზირება“ და წარმოიდგინა, რომ პედოფილებს ისევე არ სჭირდებათ სექსუალურ კავშირზე ბავშვების თანხმობა, როგორც ფეხსაცმელს არ ეკითხება არავინ, სურს თუ არა მას, რომ ჩაიცვან**. ამის შემდეგ კი მან აღქმისთვის რთულ ჟარგონულ ენაზე აღწერა ბავშვებთან სექსის კულმინაცია და კონფერენციაზე დამსწრე „საზოგადოებიდან“ აზრად არავის მოსვლია, გაეპროტესტებინა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ეს ღია აღწერილობა.

სხვათა შორის, **ექსპერტებს შორის არ არსებობს თანხმობა არა მხოლოდ იმ საკითხზე, თუ რა განაპირობებს პედოფილიას, არამედ იმაზეც, ვნებს თუ არა ეს ბავშვებს. თვით პედოფილიის ექსპერტებს შორისაც კი ძალიან ცოტა პოზიციაა, რომლებზეც მათ საერთო აზრი გააჩნიათ.**

1976 წელს სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ნაციონალურმა საბჭომ, წარმომადგენლობითმა ლობისტურმა ჯგუფმა, რომელიც ახლა ცნობილია სახელწოდებით „Liberty“, პარლამენტის კომიტეტში შეიტანა განაცხადი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვის მოთხოვნით. განაცხადში წერია, რომ **„ბავშვობის სექსუალური გამოცდილება, როდესაც ბავშვი საკუთარი სურვილით ამყარებს კავშირს უფროსთან, შედეგად არ განაპირობებს არანაირ ზიანს. არსებობს რეალური მოთხოვნილება პედოფილიისადმი იმ დამოკიდებულების შეცვლისა, რომლის თანახმადაც, პედოფილიის ყველა შემთხვევა ბავშვებში გრძელვადიან ზიანს განაპირობებს“.**

მაშინ ამ განცხადებებმა საზოგადოებაში მხოლოდ მსუბუქი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ახლა, სულ რაღაც 30 წლის შემდეგ, როდესაც უკვე ცნობილია ბავშვებზე ძალადობის უამრავი შემთხვევა, ცხადია, ვერ მოიძებნება ჯგუფი, რომელიც ასე თამამად განაცხადებს რაიმე ანალოგიურს.

**ფსიქოლოგიის ლიბერალი პროფესორი, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს სწავლობდა, ის, ვინც ბავშვების დაცვის სფეროში მუშაობს და ის, ვინც სექსუალური ძალადობისთვის გასამართლებულებთან მუშაობს, ცხადია, პედოფილიასთან დაკავშირებით საერთო აზრს ვერასდროს გამონახავენ. ამიტომაც ვერა და ვერ შეთანხმდნენ მეცნიერები, აყენებს თუ არა ბავშვებს ზიანს ორმხრივი თანხმობის საფუძველზე დამყარებული პედოფილური ურთიერთობები.**

მაშ, რა ვიცით პედოფილებზე? პედოფილი არის ადამიანი, რომელიც განიცდის სექსუალურ ლტოლვას ძირითადად ან მხოლოდ სქესობრივად მოუმწიფებელი ბავშვების მიმართ.

ყველა პედოფილი მოძალადე და გამრყვნელი არაა და ყველა გამრყვნელი და მოძალადე პედოფილი არაა. მრავალი მათგანი, ვინც ბავშვებზე სექსუალური ძალადობა განახორციელა, არაა ჩაციკლული მხოლოდ ბავშვებზე, ფაქტობრივად, **„ნამდვილი“ პედოფილები, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, სექსუალური მოძალადეების მხოლოდ 20%-ს შეადგენენ.**

მაგრამ არსებობს ბევრი რამ, რაც ჯერ კიდევ არაა ჩვენთვის ცნობილი, მაგალითად, პედოფილების რაოდენობა საზოგადოებაში. მიღებულია ითვლებოდეს, რომ **პედოფილები არიან მამაკაცთა 1-2%,** მაგრამ სარა გუდი, ვინჩესტერის უნივერსიტეტის საპატიო მეცნიერ-თანამშრომელი და ორი დიდი სოციოლოგიური კვლევის ავტორი, აცხადებს, რომ ზრდასრული მამაკაცებიდან ყოველ მეხუთეს შეუძლია რაღაც დოზით განიცადოს ბავშვებისადმი სექსუალური ლტოლვა. კიდევ უფრო ცოტა რამაა ცნობილი **მდედრობითი სქესის პედოფილების** შესახებ. როგორც ითვლება, ისინი დამნაშავენი არიან **ბრიტანეთში სექსუალურად მოუმწიფებელი ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულებების 5%-ში.**

ჯერ კიდევ გამწვავებული კამათია პედოფილიის კლინიკურ განსაზღვრებაზე. წარსულში „ფსიქიატრების ბიბლია“ — ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ფსიქიკის აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო მას უწოდებდა სექსუალურ გადახრას, სოციოპათოლოგიურ მდგომარეობას და არაფსიქიკურ დაავადებას. ძალიან ცოტა თანხმობაა იმ კითხვასთან დაკავშირებით, თუ რა იწვევს პედოფილიას, თანდაყოლილია ის თუ შეძენილი? კანადის ცენტრის სექსუალური კვლევის კლინიკის მიერ დამოკიდებულებისა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ პედოფილების „IQ“ საშუალოდ 10%-ით ნაკლებია,



### ვერა და ვერ შეთანხმდნენ მეცნიერები, აყენებს თუ არა ბავშვებს ზიანს ორმხრივი თანხმობის საფუძველზე დამყარებული პედოფილური ურთიერთობები

**შუალოდ 10%-ით ნაკლებია, ვიდრე იმ სექსუალური დამნაშავეებისა, რომელთაც მოზრდილებთან ჰქონდათ საქმე და რომ პედოფილები მნიშვნელოვანწილად ნაკლებად შეიძლება იყვნენ მემარჯვენე ადამიანები, ვიდრე კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი, ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ პედოფილიას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ტვინის განვითარებასთან.**

ამ ეტაპზე სულ ესაა — მხოლოდ რადიკალური საუბრები. მაგრამ არსებობს მზარდი რწმენა, განსაკუთრებით კანადაში, რომ პედოფილია კლასიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც კიდევ ერთი სექსუალური ორიენტაცია, ისეთივე, როგორებადაც ითვლება ჰეტეროსექსუალობა და უკვე ჰომოსექსუალობაც. გასულ წელს ორი სახელგანთქმული მკვლევარი ამის შესახებ ირწმუნებოდა კანადის პარლამენტის კომისიის წინაშე. 2010 წელს კი ჰარვარდის „Mental Health Letter“-ის ივლისის ნომერში ღიად გამოაცხადეს, რომ პედოფილია „არის სექსუალური ორიენტაცია და ამიტომაც საეჭვოა, რომ შეიცვალოს“.

ბავშვთა დაცვის სააგენტოებსა და მრავალ მათგანს, ვინც სექსუალურ დამნაშავეებთან მუშაობს, ეს ძალიან არ მოსწონს. „იმ ადამიანების სამყაროში, რომლებიც სექსუალურ დამნაშავეებთან მუშაობენ, პედოფილია სავსებით შესწავლილი ქცევაა“, — ამბობს არასრულწლოვანთა გახრწნის აღსაკვეთად მოწოდებული ლუსი ფეიტფულის საქველმოქმედო ფონდის სამეცნიერო კვლევების დირექტორი, უოლვერკოტის კლინიკის სამკურნალო ცენტრის მენეჯერი დონალდ ფინდლეიტერი. „რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს რაღაც გენეტიკური წინაპირობა, მაგრამ, როგორც წესი, ამის მიზეზი არის რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, სექსუალური ძალადობა, ტრამვები, დაშინება... ვვარაუდობ, რომ ადამიანმა ეს ისწავლა და შეუძლია დაივიწყოს“.

ორგანიზაცია „Circles UK“-ის წარმომადგენელი კრის უილსონი, რომელიც გათავისუფლებულ დამნაშავეებს ეხმარება, ასევე უკუაგდებს იდეას, რომ პედოფილია სექსუალური ორიენტაციაა: „ბავშვთან სექსის სურვილის ფესვები იმ დისფუნქციონალურ ფსიქოლოგიურ პრობლემებშია, რომლებიც უკავშირდება ძალაუფლებას, კონტროლს, მრისხანებას, ემოციურ მარტოობას, იზოლაციას“.

როგორც გაირკვა, აკადემიურ სფეროში დღესაც კი არ არის არანაირი თანხმობა პედოფილიასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზეც კი.

### პედოფილია კი არის ქცევის თავსმოხვევა, რაც ანგრევს ბავშვის პიროვნებას და თავისი გრძელვადიანი შედეგებით ძალიან ჰგავს იმას, რაც უყალიბდებათ მოზრდილ ადამიანებს ოჯახში ძალადობის ან წამების გადატანის შემდეგ



ზოგიერთი მეცნიერი ოდნავაც კი არ თვლის საკამათოდ „Paedophile Information Exchange“-ს ყოფილი თავმჯდომარისა და პედოფილების გულმხურვალე მცველის, ტომ ოკეროლის, აზრს იმის შესახებ, რომ პედოფილურ ურთიერთობებზე საზოგადოების მწვავე ნეგატიური რეაქცია გადამეტებულად ემოციური, ირაციონალური და სამეცნიერო მონაცემებით გაუმყარებელია. სხვათა შორის, ეს ადამიანი თავადაც შორს არაა პედოფილიისაგან — იგი ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი ბავშვთა პორნოსურათების გავრცელებისთვის. ამ თითქმის პედოფილის აზრით, **„პედოფილურ კავშირებში მნიშვნელოვანია ურთიერთობის ხარისხი. თუ ადგილი არ აქვს არანაირ დაშინებას, იძულებას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, თუ ბავშვი ურთიერთობას ნებაყოფლობით ამყარებს... მონაცემები ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში რაიმე ზიანის მიყენებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.**

ცხადია, ეს პრობლემის შესახებ ყველაზე გავრცელებული აზრი არაა. მაკარტენი იყენებს ოკეროლის წიგნს სახელწოდებით **„პედოფილია: რადიკალური შემთხვევა“,** რათა „აჩვენოს, თუ როგორ იმართლებენ თავს სექსუალური დამნაშავეები“. ფინდლეიტერი ამბობს: **ვარაუდი, რომ შვიდი წლის ბავშვს შეუძლია გააკეთოს შეგნებული არჩევანი სექსის სასარგებლოდ, უბრალოდ, სიბრიყვეა. ამ შემთხვევაში დიდები ახორციელებენ ბავშვების ექსპლოატაციას.** როგორც სპეციალისტები ხსნიან, ბავშვები თავიანთი განვითარების არსებულ დონეზე, უბრალოდ, არ არიან მზად ზრდასრული სექსუალობისთვის, პედოფილია კი არის ქცევის თავსმოხვევა, რაც ანგრევს ბავშვის პიროვნებას და თავისი გრძელვადიანი შედეგებით ძალიან ჰგავს იმას, რაც უყალიბდებათ მოზრდილ ადამიანებს ოჯახში ძალადობის ან წამების გადატანის შემდეგ.

მაგრამ ამ ყველაფერს ყველა ექსპერტი, ცხადია, კვლავაც არ ეთანხმება. ჰოლანდიელმა მეცნიერებმა 1987 წელს გამოაქვეყნეს ანგარიში იმ კვლევაზე, რომელშიც მოყვანილია მაგალითები, როდესაც ბიჭები დადებით გრძნობებს განიცდიდნენ პედოფილურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. დიდი და დიდწილად სადავო მეგაკვლევა, რომელიც 1998-2000 წლებში ჩატარდა ვარაუდობს, რომ „ამგვარი ურთიერთობები, თუ ისინი ნებაყოფლობითია, თითქმის არ კორელირდება ნეგატიურ შედეგებთან“.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი იზიარებს ამ დასკვნის წარმოუდგენლობას, ისინი აღიარებენ, რომ პედოფილური ურთიერთობების შედეგად მიყენებული ზიანის დამაჯერებელი მტკიცებულებები ჯერ მიკვლეული არაა. თუმცა ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პედოფილიასთან დაკავშირებით უფრო სერიოზული კვლევების ჩატარებაა საჭირო, მით უფრო მანამ, ვიდრე მას სისხლის სამართლის დანაშაულთა ან ფსიქიკური აშლილობების სიიდან ამოშლიან.

perevodika.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელთა 90% თვლის, რომ მათ მიერ აშენებულ ქვეყანაში სიმდიდრე უკიდურესად უსამართლოდაა გადანაწილებული. მაშ, რაღატომ აძლევენ ხმას იმავე უსამართლობას? ნუთუ ამერიკაში არჩევნები ჩვეულებრივი შოუა და საშუალო ამერიკელს არ შეუძლია, რამენაირი გავლენა მოახდინოს თავისი უდავოდ დიადი და განვითარებული დემოკრატიული ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე?**

# ფრიც მორგენი: აშშ-ის სიმდიდრის 40 პროცენტი ამერიკელების ერთ პროცენტს ეკუთვნის

**ბატონებო, შოკში ვარ. მიჩვეული ვარ, რომ ამერიკა არის განვითარებული სახელმწიფო ძლიერი საშუალო ფენით, სადაც სამართლიანი არჩევნების სისტემა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მართონ სახელმწიფო უმრავლესობის საკეთილდღეოდ. ვფიქრობდი, რომ სხვა ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატებისგან უნდა აიღონ მაგალითი, ჩვენი ვარსკვლავურ-ზოლიანი უფროსი ძმისგან გადაიღონ დემოკრატიის მიღწევები... მაგრამ არსებობს ცნობილი ამერიკული ვიდეო, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ არანაირ თანასწორობასა და სამართლიანობაზე ამერიკასთან მიმართებაში საუბარიც კი არ შეიძლება და რომ შემოსავლების ფენებად დაყოფა დემოკრატიულ აშშ-ში გაცილებით მეტია, ვიდრე იქ სადაც ტირანიის უღელქვეშ გმინავენ.**



ბიზნესისა და ეკონომიკის პროფესორმა, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან, გამოჰკითხა 5 ათასზე მეტი ამერიკელი, რათა გაერკვია, თუ როგორ ნაწილდება ამერიკაში სიმდიდრე მათი თვალსაზრისით. გამოკითხვისთვის საზოგადოება დაიყო ხუთ ნაწილად: ზედა ფენა, ქვედა ფენა და სამი საშუალო ფენა 20%-იანი შუალედებით. გამოკითხულებს უნდა ეჩვენებინათ, როგორაა გადანაწილებული სიმდიდრე ამ ფენებზე. ამის შემდეგ კი მათ ჰკითხეს იდეალური გადანაწილების შესახებ და გამოკითხულთა 92%-მა, ანუ ყოველი ათი გამოკითხულიდან ცხრამ გრაფიკზე ასახა არსებული მდგომარეობა და სასურველი გადანაწილება ისე, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა ამერიკელთა საყოველთაოდ აღიარებული განცდა: **სისტემა უსამართლოა.** მაგრამ რაც ბევრად უფრო საინტერესოა, გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ ამერიკელებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ რეალობაზე, რომელიც მათ მიერ წარმოდგენილზე ბევრად უარესია. რაც შეეხება მათ მიერ იდეალურ გადანაწილებად შედგენილ სქემას, ეს იდეალი იმდენადვე შორსაა რეალობის მათეული აღქმიდან, რამდენადაც მათ მიერ რეალობად აღქმული მდგომარეობა იმ რეალობისგან, რომელიც მათ ქვეყანაში სინამდვილეში ხდება. მაშ ასე, ცოტა ხანს დავივიწყოთ იდეალები, აი ამერიკული სიმდიდრის საზოგადოებაზე გადანაწილების ნამდვილი შოკისმომგვრელი მაჩვენებლები:

**ამერიკელთა ქვედა 40%-ს არანაირი კეთილდღეობა არ გააჩნიათ. გრაფიკზე მათი შემჩნევაც კი ძნელია შეუიარაღებელი თვალით. სამაგიეროდ ზედა 1%-იანი ფენა ფლობს ამერიკელთა მთელ იმ სიმდიდრეს, რომელიც, მოსახლეობის 92%-ის აზრით, ზედა 20%-ის საკუთრებაშია.**

იმისათვის, რომ ყველაფერს სხვა მხრიდან შევხედოთ, 311 მილიონი ამერიკელი რეპრეზენტატიულ ას ამერიკელამდე შევამციროთ. აი ისინი: მასწავლებლები, მწვრთნელები, მეხანძრეები, მშენებლები, ინჟინრები, ექიმები, მოსამართლეები, ბანკირები, კომპანიების დირექტორები და ცნობილი ადამიანები.

ამ ასეულს თუ ერთ ხაზზე დავამწკრივებთ გრაფიკზე და იმავე 20%-იან შუალედებად დავყოფთ, შეგვეძლება, ამერიკის მთელი კეთილდღეობა, რომელიც 2009 წელს 54 ტრილიონი დოლარით განისაზღვრებოდა, ასევე შევკვეცოთ სიმბოლურ მინიმუმამდე და თანაბრად გადავუნაწილოთ ასეულს. მაგრამ, ეს სოციალიზმი გამოვა, ამერიკელებს კი სტიმული სჭირდებათ, მათ უნდა იმუშაონ, თანაც თავგანწირვითა და ქანცის გაწყვეტამდე, რათა მიაღწიონ სანუკვარ ამერიკულ ოცნებას, ამიტომაც სოციალიზმი აქ არაფერ შუაშია არც კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილება.

ამერიკელთა 92%-ს სიმდიდრის გადანაწილების სასურველი იდეალი სოციალიზმთან მიახლოებულად წარმოუდგენიათ, ოღონდ მათ იდეალურ წარმოსახვებში კეთილდღეობა საფეხურებრივად ოდნავ იმატებს ქვედა ფენიდან ზედა ფენამდე. ეს კარგია, ამგვარი წარმოდგენა ამერიკელებს მშვენიერ სტიმულს აძლევთ, კიდევ უფრო თავგანწირვით იშრომონ, რადგან მათ წარმოსახვაში ამერიკის ყველაზე მდიდარი ფენა სულ რაღაც 10-20-ჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე ყველაზე ღატაკი ფენა. სხვათა შორის, ამ წარმოსახვაში თვით ღატაკებიც კი არ არიან ღატაკები, **ამერიკელთა 92% თვლის, რომ მათ ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი საშუალო ფენა, რომლის წყალობითაც ყველაზე დაბალი ფენიდან ყველაზე მაღალ ფენამდე მრუდი სულ ოდნავაა მოხრილი.**

როგორც რეალობის ასახვისას ამერიკელებმა ასახეს, მათ ქვეყანაში სიმდიდრე არასამართლიანადაა გა- ▶

# «ოქროს სტანდარტი», ანუ ბრძოლა როტშილდებისა და როკფელერების კლანებს შორის

**დღეს ბევრი ამბობს, რომ საჭიროა „ოქროს სტანდარტთან“ დაბრუნება. სხვათა შორის, თავის დროზე ჯონ კეინი შემთხვევით არ ირწმუნებოდა, რომ „ოქრო ბარბაროსობის გადმონაშთია“. ფორმალურად „ოქროს სტანდარტი“, სულ 150 წელია, არსებობს. მას სტარტი მიეცა ინგლისში 1817 წელს, მაგრამ შესაბამისი კანონი ძალაში 1821 წელს შევიდა. შემდეგ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ინგლისისა და ბრიტანეთის კოლონიურ სისტემაში შემავალი ქვეყნების გარდა ამ მოდელს არავინ შეერთებია. ადამიანებს მშვენივრად ესმოდათ, რომ მშვენივრად შეიძლება იოლად გასვლა ოქროს სტანდარტის გარეშეც.**



ინგლისს ოქროს სტანდარტი თავს მოახვიეს როტშილდებმა, რომლებიც ძალიან გამდიდრდნენ ნაპოლეონისეული ომებისას და ამ გამდიდრების ერთ-ერთი შედეგი მათ ხელში უდიდესი რაოდენობით ოქროს დაგროვება იყო. ამიტომაც მოიფიქრეს, ხელისუფლებებისთვის ეკარნახათ ოქროს სტანდარტის შემოღება და ოქრო-ფულადი ბრუნვით. ამ ბრუნვის მხარდასაჭერად მუდმივად საჭირო იქნებოდა „ყვითელი მეტალი“, როტშილდები კი მუდამ მზად იქნებოდნენ, გაეცათ ოქრო ოქროს კრედიტების პირობით, ანუ კი არ გაეყიდათ ის, არამედ დროებით გაეცათ და მიეღოთ პროცენტები თავიანთი ოქროს კრედიტებისთვის, რითაც თავიანთ მევალეებად აქცევდნენ არა მხოლოდ კერძო პირებს, არამედ მთელ სახელმწიფოებს. პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპის ქვეყნების უმეტესობა — აშშ, კანადა, ავსტრია — ოქროს სტანდარტში იყო გაბმული.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი მსოფლიო ომისთვის კარგად გაისარჯა თავად ამერიკაც. ეს ომი 1994 წლის ზაფხულში დაიწყო, 1913 წლის დასასრულს კი ამერიკაში შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა, ანუ ბანკირები კარგად მოემზადნენ ამ ომისთვის. ამერიკა გამდიდრდა ამ ომით და გაძლიერდნენ როკფელერები, რომელთაც უფრო მეტად ფულის საბეჭდი მანქანის მოდელის ფულადი ემისია უფრო ხიბლავთ.

როდესაც რუზველტი მოვიდა ხელისუფლებაში, შეეცადა ოქროს სტანდარტის ლიკვიდაციას. ეგრეთ წოდებული „ოქროს კონფისკაცია“ იყო მცდელობა, გაეწმინდათ გზა საბეჭდი მანქანის ახალი მოდელისთვის. მაგრამ ამერიკაში უკვე აღარც ოქროს სტანდარტი იყო და აღარც საბეჭდი მანქანა ირთვებოდა სრული წარმადობით. ეს ყველაფერი ოქროს ამერიკის ხაზინის სარდაფებისკენ ექაჩებოდა. ამისათვის შეიქმნა 1930-იან წლებში ოფიციალური საცავი ფორტ ნოკსი.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის ჩატარდა კონფერენცია ბრეტონ-ვუდსში, რომელმაც ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე ერთი წლით ადრე განსაზღვრა მსოფლიო ფინანსური წესრიგის მომავალი. სამაგიეროდ, აშშ და ბრიტანეთი უკვე ცდილობდნენ საკუთარი პოზიციების გამყარებას ომისშემდგომი პერიოდისთვის. ბრიტანულმა დელეგაციამ კრახი განიცადა, ამერიკელებმა თავიანთი ვარიანტი გაიტანეს — ოქროს დოლარის სტანდარტი, რომელმაც ომის შემდგომი პერიოდიდან 1970-იან წლებამდე გაძლო.

**ამერიკელებმა თავიანთი დოლარი მსოფლიო ბაზრებზე დაამკვიდრეს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს დოლარი კონკურენტუნარიანი ყოფილიყო, ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ისინი გარანტირებულად უზრუნველყოფდნენ დოლარს ოქროთი. მაგრამ გაცვლა ხდებოდა მხოლოდ ოქროს სტანდარტულ** ▶

**ოქრო მსოფლიოს ფინანსური სისტემიდან არსად წასულა. მართალია, კეინსი ამბობდა, რომ ოქრო ბარბაროსული გადმონაშთია, მაგრამ დღეს მსოფლიო ბარბაროსულ მდგომარეობაშია და მისთვის ოქროს სტანდარტის თავსმოხვევა სულაც არ იქნება ძნელი. მოხდება თუ არა ეს, დამოკიდებულია ორ ფინანსურ კლანს შორის ძალთა გადანაწილებაზე.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დანაწილებული ქვედა და ზედა ფენებს შორის, მაგრამ სხვაობა არც იმდენად დიდია, რომ მდგომარეობას უიმედო ეწოდოს. მართალია, ულატაკესი 20% იდეალთან შედარებით ამერიკელთა რეალურ აღქმაში დაჩაგრულია და საშუალო ფენასაც მეტად უწევს ხელის განძრევა, ვიდრე ეს ადრე იყო, მაგრამ, მათი აზრით, **ახლა ამერიკაში უმდიდრესებს ულატაკესებთან შედარებით 100-ჯერ მეტი სიმდიდრე აქვთ, საშუალო ფენაზე — 10-ჯერ მეტი.**

მაგრამ ეს მხოლოდ ის რეალობაა, რომელიც ამერიკელებს ეჩვენებათ რეალობად. სამწუხაროდ, ის ახლოსაც კი არაა იმასთან, რაც მათ ქვეყანაში სინამდვილეში ხდება. სინამდვილეში ამერიკაში ყველაზე დაბალი ფენები გრაფიკზე საერთოდ არ ჩანან, ისინი გრაფიკის დაბლა არიან. საშუალო ფენა ოდნავშესამჩნევად განსხვავდება მათგან და უფრო მეტიც: მდიდრებიც კი ვერ გამოიყურებიან მაინცდამაინც თავდაჯერებულად. სამაგიეროდ ამერიკაში არის ზედა 10%-იანი, უმდიდრესი ადამიანების ფენა, რომლებიც აშკარად მოგებაში არიან. რამდენად მოგებაში? იმდენად, რომ ამერიკის მოსახლეობის 2-5 პროცენტი გრაფიკზე საერთოდ არ ჩანს! უმაღლეს ერთ პროცენტს კი ამერიკაში იმხელა ქონება აქვს, რომ მათი ქონებაც ვერ ეტევა ვერანაირ გრაფიკზე. **ამერიკელთა 1% მთელი ამერიკელი ერის კეთილდღეობის 40%-ს ფლობს!**

ქვედა 80% ფლობს მთელი ამერიკული სიმდიდრის მხოლოდ შვიდ პროცენტს. და ეს მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე. თუ ახლა უმდიდრესი 1% ამერიკაში ნაციონალური შემოსავლების მეოთხედს იჯიბავს, 1976 წელს მას მხოლოდ 9% ერგებოდა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ეს ანაზღაურება თითქმის გასამმაგდა. გარდა ამისა, ზედა 1% ფლობს მთელი აქციების, ობლიგაციების, ფონდების ნახევარს.

ამერიკელთა ქვედა 50%-ს ამ ინვესტიციების მხოლოდ ნახევარი პროცენტი ეკუთვნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ფულს არაფერში აბანდებენ, უბრალოდ, თავი გააქვთ. და ვინმეს სჯერა, რომ დირექტორი 380-ჯერ უკეთ მუშაობს, ვიდრე მისი საშუალო თანამშრომელი? **საშუალოსტატისტიკურმა თანამშრომელმა ამერიკაში მთელი თვე უნდა იმუშაოს იმის გამოსამუშავებლად, რასაც მისი დირექტორი 1 საათში იღებს.**

უკვე 150 წელია, ამერიკაში ქვეყნის სათავეში რიგრიგობით მოდიან დემოკრატები და რესპუბლიკელები და არანაირ შანსს არ უტოვებენ მესამე პარტიებს, ოდნავ მაინც რომ მიუახლოვდნენ ხელისუფლებას. პარალელურად **ამერიკელთა 90% თვლის, რომ მათ მიერ აშენებულ ქვეყანაში სიმდიდრე უკიდურესად უსამართლოდაა გადანაწილებული. მაშ, რაღატომ აძლევენ ხმას იმავე უსამართლობას? ნუთუ ამერიკაში არჩევნები ჩვეულებრივი შოუა და საშუალო ამერიკელს არ შეუძლია, რამენაირი გავლენა მოახდინოს თავისი უდავოდ დიადი და განვითარებული დემოკრატიული ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე?**

◀ **ზოდებზე, ამიტომ რიგით მოქალაქეებს ამის საშუალება არ ეძლეოდათ. ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ იმ ხელისუფლებებს, რომლებმაც ბრეტონ-ვუდსში ხელი მოაწერეს შეთანხმებას. საბჭოთა კავშირმა ამ შეკრებაზე დელეგაცია გაგზავნა, მაგრამ შეთანხმებებზე ხელი არ მოუწერია.**

1971 წლის 15 აგვისტოს ეპოქალური მოვლენა მოხდა — ამერიკის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მიმართა ამერიკელ ხალხს ტელევიზიით. მან ილაპარაკა ყველაფერზე, ოქროს გარდა; მოუწოდა ამერიკელებს, რომ უნდა შემოეჭირათ ქამრები, რადგან უკანასკნელი 100 წლის მანძილზე ამერიკამ პირველად მიიღო დეფიციტი თავის სავაჭრო ბალანსში. ხანგრძლივი საუბრის ბოლოს მან სხვათაშორის ჩაილაპარაკა, რომ ამერიკა წყვეტს ამერიკული დოლარის გაცვლას ოქროზე არარეზიდენტების, ანუ სხვა ქვეყნების ფულადი ხელისუფლებებისთვის. 1997 წლის 15 აგვისტო — სწორედ ესაა ოქროს სტანდარტის აღსასრულის თარიღი.

ახალ ფულად სისტემას იამაიკური სავალუტო სისტემა ეწოდა, რადგან 1976 წლის საერთაშორისო სავალუტო კონფერენცია სწორედ იამაიკაზე ჩატარდა. იქ შეთანხმდნენ ქვეყნები იმაზე, რომ ახალ საქაღალდეფულად სისტემაში ოქროს ადგილს დოლარი დაიკავებდა.

ახლა, 2013 წელს, კულისებს მიღმა უკვე ცდილობენ ოქროს სტანდარტის დაბრუნებას. ეს არის როკფელერებისა და როტშილდების კულისებსმიღმა ბრძოლის ანარეკლი, რადგან როკფელერებისთვის ბევრად უფრო მომგებიანია საბეჭდი მანქანა. რაც შეეხებათ როტშილდებს, მათ ამ საბეჭდ მანქანაში ნაკლები წილი აქვთ, ამიტომ ცალსახად არ შეეცდებიან მის განადგურებას, მაგრამ განადგურების შემთხვევაში შედეგებისთვის როკფელერებზე ბევრად უკეთ არიან მომზადებულნი.

**ოქრო მსოფლიოს ფინანსური სისტემიდან არსად წასულა. მართალია, კეინსი ამბობდა, რომ ოქრო ბარბაროსული გადმონაშთია, მაგრამ დღეს მსოფლიო ბარბაროსულ მდგომარეობაშია და მისთვის ოქროს სტანდარტის თავსმოხვევა სულაც არ იქნება ძნელი. მოხდება თუ არა ეს, დამოკიდებულია ორ ფინანსურ კლანს შორის ძალთა გადანაწილებაზე.**

communitarian.ru

# ტერორიზმთან ბრძოლის პარადოქსები

**მით რომნიმ ათიანში მოარტყა, როდესაც განაცხადა, რომ „ამ საზიზღრობიდან გამოსავალი მკვლელობა ვერ იქნება“. ცხადია, იგი გულისხმობდა ტერორიზმის წინააღმდეგ ომს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, უკვე ათ წელზე მეტია, აწარმოებს, მაგრამ ჰაერში გამოეკიდა კითხვა: მაშ, რაა, თუ არა მკვლელობა?**



ბოლოს და ბოლოს ამერიკამ ტერორიზმთან ბრძოლაში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია: „ალ ქაიდას“ მთავარი ლიდერების განადგურება და დაპატიმრება, ტერორისტთა ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განადგურება და ტერორისტების მხარდამჭერი ფინანსური ქსელებისთვის დარტყმების მიყენება. მიუხედავად ჩამოთვლილი წარმატებებისა, ექსპერტები განსხვავებულად ფიქრობენ იმასთან დაკავშირებით, გრძნობენ თუ არა ამერიკელები დღეს თავს უფრო დაცულად და უსაფრთხოდ, ვიდრე 11 სექტემბრის ტერაქტის წინ, ისლამური ექსტრემიზმის ტალღა კი შეჩერებას არ აპირებს. პირიქით, ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და აფრიკაში რადიკალიზაცია მხოლოდ იზრდება. დემოკრატიის ტალღები იმსხვრევა ფანატიზმის კლდეებზე, ამიტომაც დიდია საფრთხე, რომ არაბული გაზაფხული მომაკვდინებელ ზამთარში გადაიზარდოს.

**ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თავისი ბუნებით პარადოქსულია, ამ ბრძოლის ნებისმიერი ტაქტიკა კი განაპირობებს გაუთვალისწინებელ შედეგებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაჯდეს.** განვიხილოთ ყბადაღებული უპილოტო საფრენი აპარატების დარტყმები. რაღაც მომენტში, შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენა, რომ ეს არის ჯადოსნური გადაწყვეტილება უამრავი პრობლემისა, რომლებიც ართულებენ ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელებას. უპილოტო საფრენი აპარატების „ქირურგიული“ სიზუსტით გამოყენება მინიმუმამდე შეამცირებდა როგორც „თანმდევ დანაკარგებად“ წოდებულ უდანაშაულო მსხვერპლთა რაოდენობას, ასევე თავად ამერიკელთა დანაკარგებს. უფრო მეტიც, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა არაჩვეულებრივი წარმატებები: განადგურებულ იქნა ტერორისტთა საკვანძო ფიგურები, თავიდან იქნა აცილებული სიტუაციის გამწვავება, რაზმების კომპლექტაციის მხრივ ძალისხმევა ნულამდე დავიდა.

მიუხედავად ამისა, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება იქცა ამერიკის ერთ-ერთ იმ სამხედრო სტრატეგიად, რომელმაც ყველაზე დიდი აღშფოთება გამოიწვია უკანასკნელ წლებში. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ მნიშვნელოვანწილად გაამწვავა ურთიერთობები აშშ-სა და სხვა ხალხებსა თუ ხელისუფლებებს შორის, განსაკუთრებით ეს ავღანეთსა და პაკისტანს ეხება. უფრო მეტიც, დისტანციური მართვით უეცარი სიკვდილის იდეა აყალიბებს ამერიკის სახეს და წარმოაჩენს მას უსულო ტექნოლოგიურ იმპერიად, რომელიც დაგეშილია მკვლელობებსა და განადგურებაზე. ეს, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს მძლავრი ანტიამერიკული განწყობისთვის და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ამრიგად, გამოდის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე ეფექტური ტაქტიკური ინსტრუმენტი მთავარ დაბრკოლებად იქცა აშშ-ის სტრატეგიული მიზნებისთვის.

**ასევე უნდა განვიხილოთ ფიცი იმის თაობაზე, რომ ტერორისტებთან მოლაპარაკებებს ამერიკა არასდროს გამართავს. ჯერ ერთი, ტერორისტების მიერ წამოყენებული პირობების განხილვაზე უარი შეიძლება ნიშნავდეს საკუთარი თანამოქალაქეების მსხვერპლად შეწირვას. მეორეც, მოლაპარაკებები არის ბრძოლის ერთადერთი ალტერნატივა, მოლაპარაკებებზე მტკიცე უარი კი ტერორისტებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისკენ აქეზებს.**

და ბოლოს, ხელისუფლებები იშვიათად თუ ასრულებენ თავიანთ მკაცრ და სასტიკ განცხადებებს. ხელისუფლებასა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებები, რომლებიც პირდაპირი გზით ან შუამავლების მეშვეობით იმართება, როგორც წესი, კულისებს მიღმა გარიგებების შემადგენელი ნაწილია. ისრაელიც კი, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს პირში წყალი ჩაგუბებული, ყველაზე ფართო დიალოგში ჩაერთო ფატხასთან და ჰამასთან თუნდაც პატიმართა გაცვლის საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი შემთხვევები უამრავია, მათ შორის აშშ-ის მოლაპარაკებებიც თალიბანთან. პარადოქსი ისაა, რომ, თუ თავიდან მტკიცე პოზიციას დაიჭერ, შემდეგ კი დათმობაზე წახვალ, ეს სასურველთან მიმართებაში რადიკალურად საწინააღმდეგო შედეგს განაპირობებს — სისუსტისა და უნებისყოფობის დემონსტრირება იქნება.

მორიგი პარადოქსი ისაა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ომი ხელს უწყობს მის გავრცელებას. ტერორიზმთან ბრძოლის გაურკვეველი პოლიტიკა, სადაც არ უნდა ხორციელდებოდეს ის და რასაც არ უნდა ისახავდეს მიზნად, ქსელურ სტრუქტურებში აერთიანებს და ერთად უყრის თავს ისეთ მოკავშირეებს, რომლებიც არასდროს გახდებოდნენ მოკავშირეები საერთო მტრის არარსებობის შემთხვევაში. მაგალითად, ამერიკელი სამხედროების მარჯვენა ფრთას კონტაქტები ჰქონდა ჯიჰადისტურ ორგანიზაციასთან და გერმანულ ტერორისტულ დაჯგუფება — ბაადერ-მაიჰოფთან, რომელიც წვრთნას გადიოდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან.

აფორიზმი „მიზანი არ ამართლებს საშუალებას“, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასამართლებლად მოჰყავთ ხოლმე, კრიტიკას ვერ უძლებს. ტერორიზმის აღკვეთის რეალური საფუძველი გაცილებით უფრო რთულია: საშუალებები, რომლებიც არღვევენ სხვა მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს, ისეთებს, როგორიცაა უდანაშაულო სიცოცხლის შენარჩუნება, დაუშვებელია.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონის განცხადება, გამარჯვებისათვის რბოლაში „თანმდევი დანაკარგების“ დაშვების შესახებ ეწინააღმდეგება ამ ლოზუნგს და იმის დემონსტრირებაა, რომ ვაშინგტონი მზადაა, სხვათა სიცოცხლეები გაწიროს იმ მიზნებისთვის, რომელთაც თავად მიიჩნევს უმთავრესად. ამრიგად, პრაქტიკულად მიზანი ნამდვილად ამართლებს საშუალებებს როგორც თავად ტერორისტებისთვის, ასევე მათ წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეებისთვისაც. და მსოფლიო ომი ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ტერორს იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად, თავისდაუნებურად აერთიანებს ტერორისტებს საერთო მტრის წინააღმდეგ და ზრდის მათ ძალებს.

და ბოლოს, პარადოქსების პარადოქსი არის ამერიკელთა ფსიქოლოგიური რეაქცია ტერორიზმზე. შოკი, შიში და აღშფოთება, რომელთაც ბადებს უდიდესი ტერორისტული აქტი, აჩენენ ეგზისტენციალურ განგაშს, რომელსაც ახლავს სურვილი, დამთავრდეს არასტაბილურობა და ნაპოვნი იქნეს სწრაფი გადაწყვეტა.

ეს სურვილი მიდის პრობლემის გამარტივებულ ხედვამდე შავ-თეთრ ფერებში, იდეოლოგიამდე „ჩვენთან ან ჩვენ წინააღმდეგ“, რომელიც არ აღიარებს ნიუანსებსა და ჩრდილებს. მიუხედავად ამისა, მიდგომა გულუბრყვილოა, შორსაა რეალობისგან და მავნებელია, რადგან ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური პოლიტიკა ითხოვს ბალანსირებულ გადაწყვეტილებას, რომელშიც ტაქტიკური საშუალებები შესაბამისობაში იქნებიან სტრატეგიულ მიზნებთან, ბრძოლის იმ კომპლექსური გეგმის შემუშავებასთან, რომელიც მიმართული იქნება მზარდი რადიკალიზაციის შეჩერებისა და უკუსვლისკენ.

**არი ვ. კრუგლანსკი,**
**მერილენდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დამსახურებული პროფესორი, ტერორიზმის შესწავლისა და წინააღმდეგობის ცენტრის უფროსი მკვლევარი**
**The National Interest**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გორის მუზეუმში გამოფენილია ფოტოსურათი ბიჭის, რომელიც წერდა ლექსებს და მღვდლად კურთხევისთვის ემზადებოდა. ისტორიის სახელმძღვანელოდან კი ბოროტად თვალმოჭუტული მრისხანე ტირანი იმზირება.**




## ტელეკომპანია HTB-ს ფილმის საგაზეთო ვარიანტი

# სტალინი ჩვენთანაა




**იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულობებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა. ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორიც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომაა იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თაყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.**



### პირველი სერია

თბილისი. რუსეთის იმპერია. 1907 წელი. საფოსტო ეტლს თავს ესხმიან და ძარცვავენ ყაბალახებით სახეშებურული ადამიანები. იმ დროს ასე ბანდიტები ყაჩაღობდნენ, იშვიათად — მენშევიკები, უფრო ხშირად — სოციალ-რევოლუციონერები — ესერები. ამჯერად თავდამსხმელები ბოლშევიკები არიან.

**რატომ გაიხსენეს ეს ისტორია მაინც და მაინც მაშინ, როცა სტალინის სახელს დაუკავშირეს საბჭოთა ისტორიის სისხლიანი პერიოდი? იყო კი იგი თავდამსხმელთა შორის?**

**საიდან მოდის ძალადობა და სად იღებს სათავეს ჩვენი წარსულის მითოლოგია?**

**ვინ იდგა ამ დანაშაულის უკან?**

ჩავიხედოთ რსდმპ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის) შიდაპარტიული გამოძიების დოკუმენტებში.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია დიდი ისტორიის. ნაბიჯ-ნაბიჯ, მითიდან მითამდე მივყვეთ დროის დინებას და შევეცადოთ გავარკვიოთ, სადაა სიმართლე და სად კიდევ დიდი სიცრუე.

1907-დან 1937 წლამდე ოცდაათი წელიწადია. ამ წლების მითოლოგია მთავარი დაბრკოლებაა ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის შესწავლის გზაზე. მითს იოლად ირწმუნებენ. ძნელია დოკუმენტებთან შეჯერება და სიმართლის ამგვარად დადგენა.

შევეცადოთ.



ჩვენი გმირის დაბადება მითებითაა დახუნძლული. პატარა სოსო ღარიბულ სახლში დედასთან ერთად ცხოვრობდა. მამა ადრე წავიდა ოჯახიდან. მთელი საუკუნის მანძილზე მეწაღე ბესარიონის მამობასაც ეჭვქვეშ აყენებდნენ, მის ქართველობასაც (ოსი ხომ არ არისო?), გარდაცვალების თარიღსაც კი. მხოლოდ ისაა სიმართლე, რომ ამ სახლში დაიბადა სტალინი. ქალაქი გორი, ტიფლისის გუბერნია, რუსეთის იმპერიის განაპირა მხარე.

სრულწლოვანებას მიღწეული სოსო მოგვევლინება კობად — რევოლუციონერის იატაკქვეშა თიკუნით, ალექსანდრე ყაზბეგის რომანის გმირის სახელს დაირქმევს, გაბედული და მამაცი ვაჟკაცის. არის სხვა ვერსიაც: კობა სახელია სპარსეთის მეფის, რომელმაც მეხუთე საუკუნის ბოლოს დაიპყრო აღმოსავლეთი საქართველო. გადმოცემით, იგი ლამის კომუნისტი იყო, დაუმეგობრდა სექტას, რომელიც საყოველთაო თანასწორობას ქადაგებდა, ადამიანებს შორის მსოფლიოს მთელი სიმდიდრის თანაბრად განაწილებას. რსდმპ საზღვარგარეთ გამართული ყრილობების მონაწილე თანაპარტიელები კობას სხვა ფსევდონიმით იცნობდნენ — ივანოვიჩი.




მისი გზა საქართველოდან კრემლამდე ხანგრძლივი და განუხრელი მოძრაობაა რუსეთისკენ, რათა შემდგომ სათავეში ჩადგომოდა მსოფლიოში ყველაზე მრავალეროვნულ იმპერიას, მაგრამ მორიდებულ პროვინციალს მაშინ ამის გაფიქრებაც არ შეეძლო.

ვენის, იმ დროს ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის შენობის კედელზე დღემდე შემორჩენილია სტალინის მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი მემორიალური დაფა. 33 წლის კობა ივანოვიჩი 1913 წლის იანვარში, 5 კვირის განმავლობაში ცხოვრობდა ამ სახლში და წერდა ნაშრომს, რომელმაც მას სახელი გაუთქვა — **„მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“** და რომელსაც ხელი ახალი ფსევდონიმით მოაწერა — **სტალინი**.



„აქ ჩვენთან ერთი მშვენიერი ქართველი ეროვნული საკითხით არის დაკავებული“, — დაწერდა ამის გამო ვლადიმერ ლენინი ავტრიიდან გამოგზავნილ ბარათში.

საინტერესოა და სასაცილოც, რომ სწორედ ამ დროს ამავე კვარტალში ცხოვრობდა ერთი „მშვენიერი“ ავსტრიელიც, რომელიც მაშინ არც ფიქრობდა ეროვნული საკითხების გადაწყვეტაზე: 23 წლის მხატვარი ადოლფ ჰიტლერი ხატავდა აკვარელებს, ოცნებობდა მსოფლიო დიდებაზე. მაგრამ მისი ნახატები ცუდად საღდებოდა, კვარტალში მყიდველი კლიენტურა არ ჩანდა, მხოლოდ რუსი იატაკქვეშელები ცხოვრობდნენ, რომლებიც მსოფლიოს გადაკეთების იდეით იყვნენ დაკავებულნი, ხელოვნებისთვის ვერ იცლიდნენ.

ჰიტლერისთვის ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, სტალინისთვის — ცხოვრება: ვენაში იგი გავლითაა — გადასახლებებსა და ციხიდან გაქცევებს შორის დროებითაა ჩასული.

როგორ მივიდა იგი, ქრისტეს ასაკის ყოფილი სასულიერო სემინარიელი ასეთ ცხოვრებამდე?



1896 წელი. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ილია ჭავჭავაძე** ბედნიერია — ახალი საუკუნის დადგომის წინ ქართული ლიტერატურა იწყებს აყვავებას. იგი წაიკითხავს უცნობი ყმაწვილის მიერ „ივერიის“ რედაქციაში გამოგზავნილ ლექსებს. ბიჭი 15 წლისაა და ლექსებს ხან ინიციალებით აწერს ხელს, ხან კნინობითი სახელით — სოსელო.

ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს ერთ-ერთ ლექსს — „დილა“, რომელსაც დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი „დედაენაში“ შეიტანს და ქართველი ბავშვები დაიზეპირებენ:



**ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,**
**გადახვეოდა იასა,**
**ზამბახსაც გაღვიძებოდა**
**და თავს უხრიდა ნიავსა.**
**ტოროლა მაღლა ღრუბლებში**
**წკრიალ-წკრიალით გალობდა,**
**ბულბულიც გახარებული**
**ნაზის ხმით ამას ამბობდა:**
**აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,**
**ილხინე, ივერთ მხარეო,**
**და შენც, ქართველო, სწავლითა**
**სამშობლო გაახარეო.**

ეს — ბავშვებისთვის. მოზრდილთათვის კი ყმაწვილმა ჯუღაშვილმა დაწერა ლექსი ადამიანზე, რომელიც კარდაკარ დადიოდა, მღეროდა სიმღერას, რომელშიც იყო სიმართლე, მაგრამ სიმართლე ყველას თავისი აღმოაჩნდა.



**ამქვეყნად იგი, ვით ლანდი,**
**კარის-კარ დაწრიალებდა,**
**ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,**
**ხმატკბილად აწკრიალებდა.**
**მის საოცნებო ჰანგებში,**
**ვითარცა სხივი მზიური,**
**ისმოდა თვითონ სიმართლე**
**და სიყვარული ციური,**
**ბევრს აუძგერა იმა ხმამ**
**გული, ქვად გადაქცეული,**
**ბევრს გაუნათლა გონება,**
**ბნელ-უკუნეთად ქცეული.**
**მაგრამ დიდების მაგიერ,**
**სად ჩანგმა გაიწკრიალა,**
**განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა**
**შხამით აღვსილი ფიალა...**
**და უთხრეს: „შესვი, წყეულო,**
**ეგ არის შენი ხვედრიო!**
**შენი არ გვინდა სიმართლე,**
**არც ეგ ციური ხმებიო!“**



მშობლიურ გორში ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული ქართველის ძეგლი 2010 წელს დაანგრიეს.

დღეს უცხოელ ტურისტებს გორში სტალინის შესახებ ოფიციალურ ვერსიას უყვებიან: აქ ცხოვრობდა ბავშვი, რომელიც შემდეგ ურჩხულად იქცა. არადა, ცოტა ხნის წინათ ყვებოდნენ, როგორ არაადამიანურ პირობებში დაიბადა აქ დიადი მხსნელი. ასეთი ცვალებადია ისტორიის მითოლოგია.



ადამიანი, რომელიც წარმოგვიდგენია ულვაშებით, ჩიბუხით, რუსულად ქართული აქცენტით მოლაპარაკე, — არსებობს კი რეალურად?

გორის მუზეუმში გამოფენილია ფოტოსურათი ბიჭის, რომელიც წერდა ლექსებს და მღვდლად კურთხევისთვის ემზადებოდა. ისტორიის სახელმძღვანელოდან კი ბოროტად თვალმოჭუტული მრისხანე ტირანი იმზირება.

ისტორიკოსი ჟუკოვი, ათეულობით წლებია, იკვლევს სტალინის ეპოქას. შესწავლილი აქვს დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობას დღემდე ადევს გრიფი „საიდუმლო“. მან ახლახან აღმოაჩინა დოკუმენტები, რომლებიც ზო-

## სტალინი პოლიტიკურ ჩიხში მოექცა. ამ ტალღის წინააღმდეგ, მის გამოსვლას რევოლუციის ღალატად აღიქვამდნენ. მის მიერ გაძევებული ტროცკი (ბრონშტეინი) უკვე აბრალებს ღალატს, მის სისხლს მოითხოვს. ტროცკის კი საბჭოთა კავშირში ბევრი მომხრე ჰყავს მათ შორის, ვინც რევოლუცია „გააკეთა“. არიან ისინი პლენუმის დარბაზშიც.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გიერთს შეიძლება წარმოუდგენელ რამედ მოეჩვენოს, მაგრამ ისინი ნათელს ჰფენს იმ წლების ამღვრეულ ისტორიას და რომელთაც შთამომავლებმა დააყარეს საკმაო რაოდენობის ნაგავი.



**ეს არის 1937 წელს ალტერნატიული არჩევნების მოსამზადებელი დოკუმენტები, რომელთა გარეშეც საერთო სურათი აბსურდულად წარმოგვიდგებოდა: ოცდაათიანი წლების ბოლოს სტალინი ყოფილი თანამებრძოლების განადგურებას იწყებს, შემდეგ კი ტერორი მთელ ქვეყანას მოედება, იღუპებიან ოფიცრები, ბანაკებში გზავნიან რიგით მოქალაქეებს, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ ომში მიდიან, სამშობლოსა და სტალინის სახელით სწირავენ თავს, მისი გარდაცვალების გამო კი გულწრფელად ქვითინებენ. ჟუკოვისეული აღმოჩენის გარეშე ეს ყველაფერი აბსურდის თეატრს ემსგავსებოდა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ასე უცბად და უმიზეზოდ არ წყდება.**

მაშ, ვინ და რამ გაწყვიტა ისინი?




**იური ჟუკოვი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ავტორი წიგნისა „სხვა სტალინი“:**
— მე დამაფიქრა იმან, თუ რატომ მოხდა ეს ყოველივე მაინც და მაინც 37 წლის ივლისში. წარმოუდგენელია, რომ, როცა ყველაფერი ნორმალურად ვითარდება, უცებ იწყება დაპატიმრებების, „ტროიკების“ „მოღვაწეობის“, დახვრეტების მკვეთრი აზვირთება, რითაც იტვირთება მომდევნო ორი წელიწადი. გაირკვა, რომ პირველი მდივნების მიერ მოსკოვში გამოგზავნილი დეპეშების სიუხვე, რომლებითაც ისინი დახვრეტების „ლიმიტების“ გაზრდას ითხოვდნენ, გამოწვეული იყო ცეკას პლენუმზე არჩევნების შესახებ კანონის მიღებით, რომლითაც გათვალისწინებული იყო ალტერნატიული არჩევნების ჩატარება. ეს აღმოვაჩინე მაშინ, როცა ვნახე საარჩევნო კომისიებისთვის მომზადებული დოკუმენტები: ხმის მიცემის ოქმების, საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ ერთ ადგილზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არანაკლებ ორი კანდიდატურისა.

ეს არჩევნები ისტორიის შემობრუნების მომენტია, მისი თეთრი ლაქაა.

ჩვენთვის უცნობი სტალინი ასე განსჯის ამ ჩაუტარებელ არჩევნებს ამერიკელი ჟურნალისტის, რობერტ გოვარდისთვის 1936 წელს მიცემულ ინტერვიუში.



**გოვარდი პირდაპირ ეკითხება სტალინს, ნუთუ უპარტიოებიც შეიძლება იყვნენ არჩეული?**

**— შეიძლება, — უპასუხებს სტალინი და ბიულეტენის ნიმუშს აჩვენებს.**

**საბჭოთა კავშირის გაზეთებში სტალინის მიერ პატიოსანი არჩევნების შესახებ თქმული სიტყვა მიტინგის ტრიბუნიდან ყვირილივით გაისმა.**

1936 წლის კონსტიტუციას, სტალინის ჩანაფიქრით, უნდა დაესრულებინა სამოქალაქო ომი, ხმის უფლება დაებრუნებინა ყველა ე. წ. ლიშენცისტისთვის (ვისაც ეს უფლება ჰქონდა ჩამორთმეული: გაკულაკებულები, თავადაზნაურობა, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცრები, როგორც მაშინ ამბობდნენ, კონტრრევოლუციონერები. — ა. ს.). არ ჩანდა, რომ სტალინი გულწრფელი არ იყო. იდგა 1936 წელი. ვნახოთ, რა მოხდება მომდევნო 1937 წელს.



**საყოველთაო, ფარული, პირდაპირი არჩევნები საბჭოთა კავშირში იქნება შოლტი მოსახლეობის ხელში, ცუდად მომუშავე სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული,** — ამბობდა სტალინი.

ამგვარი სიტყვების გაგონების შემდეგ დღესაც აღფრთოვანდებოდა ლიბერალური ინტელიგენცია, დაიძაბებოდნენ ჩინოვნიკები, მაშინ კი ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა „პრავდის“ 1936 წლის 5 მარტის ნომერში.

რა უნდა ეგრძნო უბრალო ჩინოვნიკს, ლენინური გვარდიის ყოფილ რევოლუციონერს, დილით რომ გადაშლიდა გაზეთს და წაიკითხავდა ამ სიტყვებს? ათობით წლების განმავლობაში მსოფლიო რევოლუციის ერთგულების იდეით, საკუთარი სისხლით მოიპოვებდა თავისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების უფლებას, მოიპოვა კიდეც. ახლა კი უნდა შეუწყვიტონ. თანაც მან იცის, რომ სამოქალაქო ომი ჯერ არ დამთავრებულა.



რისთვისღაა საჭირო ეს არჩევნები? უამრავი შეცდომა უკვე დაშვებულია.

კლასობრივი ბრძოლა, კოლექტივიზაციის გადახრები, შეცდომები ხორბლის ჩაბარების გეგმების შესრულების დროს, რამაც სამხრეთში შიმშილობა გამოიწვია! იგი ყოფილი რევოლუციონერია, ახლა კი ჩვეულებრივი ბიუროკრატი გახლავთ, აკი **წერდა უინსტონ ჩერჩილი ლენინური გვარდიის შესახებ, რომ იგი არის ნიანგების თანამეგობრობა, რომელსაც ჰყავს სანიმუშო ინტელექტები.**



აი, ეს ნიანგების თანამეგობრობა, უკვე ოცი წელიწადია, ხელისუფლების სათავეშია.

მოდით, დავფიქრდეთ, როგორ გვესმის ტერმინი „სტალინური რეპრესიები“ — ასიათასობით ადამიანის მოსპობის სისხლიანი პერიოდი — 1937-1938 წლები.

დიდი ტერორი კი იწყებოდა ასე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოდიან ამხანაგი პარტიული მდივნები. მათი სიტყვები ახალი კონსტიტუციის მიღების მიზანშეწონილობას ეხება.



**ეიხე, დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი აცხადებს:**

— წინასაარჩევნო ბრძოლის მიმდინარეობისას ჩვენ შევხვდებით მტრების ნარჩენებს. უნდა ახლავე შევისწავლოთ, ნათლად გავარკვიოთ, როგორ მტერთან გვექნება საქმე და სად არის ამ მტრების კერები.

ეიხეს სამი წლის შემდეგ დახვრეტენ როგორც ხალხის მტერს, რომელიც დამნაშავე იყო უკანონო რეპრესიების განხორციელებაში.



**კისიორი, პარტიის უკრაინის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი:**

— წინასაარჩევნო კამპანიის დროს უნდა გავარკვიოთ, სად იღებს სათავეს ჩვენთვის უცხო გავლენის წყარო.

კოსიორს 1939 წელს დახვრეტენ.



**მირზოიანი, პარტიის ყაზახეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი:**

— მტრული ელემენტების დიდი გამოცოცხლება შეინიშნება. სასულიერო პირები მოქნილად ირგებენ საბჭოთა წყობილების მომხრეთა ნიღაბს და ანგრევენ ჩვენს პირველად ორგანიზაციებს.

მირზოიანსაც დახვრეტენ სამი წლის შემდეგ.

**ხრუშჩოვიც** გამოვიდა აღნიშნულ პლენუმზე. შემდგომში თავი გამოიჩინა დასახვრეტთა ყველაზე მრავალრიცხოვანი სიებით, ათიათასობით ადამიანის დახვრეტის მოთხოვნით. სწორედ მან მოითხოვა, რომ ყველა რეგიონს მისცემოდა უფლება, შემოეტანა წინადადება დასახვრეტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ.

მაგრამ სწორედ ხრუშჩოვი პირველად იტყვის ფრაზას სტალინური რეპრესიების შესახებ პარტიის XX ყრილობის შემდეგ დელეგატებისთვის წარდგენილ „საიდუმლო მოხსენებაში“.



გამოსვლები ცკას პლენუმზე შეუჩერებლად გრძელდება. რეგიონების ხელმძღვანელები ჩამოთვლიან, თუ რამდენი კონტრრევოლუციონერი აღმოაჩინეს უცებ თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში.

სტალინი პოლიტიკურ ჩიხში მოექცა. ამ ტალღის წინააღმდეგ, მის გამოსვლას რევოლუციის ღალატად აღიქვამდნენ. მის მიერ გაძევებული ტროცკი (ბრონშტეინი) უკვე აბრალებს ღალატს, მის სისხლს მოითხოვს. ტროცკის კი საბჭოთა კავშირში ბევრი მომხრე ჰყავს მათ შორის, ვინც რევოლუცია „გააკეთა“. არიან ისინი პლენუმის დარბაზშიც.



მომდევნო წლებში ისინი ერთმანეთთან ანგარიშის გასწორებით დაკავდებიან. ეს იქნება უკანასკნელი წლები ლენინური გვარდიის ჯარისკაცებისთვის. სისხლიანი წრე შეიკვრება. რევოლუცია შეჭამს თავის შვილებს. წმენდაში სტალინის რევოლუციური მეგობრებიც დაიღუპებიან.

იყო ეს ანგარიშის გასწორება თუ მოვლენათა დამთხვევის შედეგი?

ამას თანდათან გავარკვევთ.



ხრუშჩოვის ანტისტალინური მოხსენების შემდეგ რამდენიმე წელიწადში სტალინის თითქმის ყველა ძეგლს გაანადგურებენ. მის სახელს ამოშლიან სახელმძღვანელოებიდან, სიმღერების ტექსტებიდან, მის არქივებს გაასაიდუმლოებენ. ისტორიკოსების შეკითხვები ათეულ წლობით პასუხგაუცემელი დარჩება.



მის ფიზიკურ სიმაღლესაც დააკნინებენ და იქირქილებენ ამაზე. მეფის ოხრანკის მონაცემებით, დაპატიმრებული იოსებ ჯუღაშვილის სიმაღლე 174 სანტიმეტრია. მაშინ ეს საშუალოზე მაღალს ნიშნავდა.

შეეცდებიან, გააქრონ ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. ასე იქცეოდნენ ძველ ეგვიპტეში.

მაგრამ ისტორია ხომ ჩვენია, არ არის მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით წარმოდგენილი და ამ მრავალფეროვნებაში ობიექტურად გარკვევა გვმართებს, მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე.



დავუბრუნდეთ საწყისს და გავარკვიოთ, როგორ გარდაიქმნა უბრალო სემინარიელი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და წინააღმდეგობრივ ფიგურად.

1894 წლის ოქტომბერში გარდაიცვლება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III. „სანიმუშო“ მეფე რუსეთისა, ალექსანდრე II, მისი რეფორმების წყალობით მოვლენილი ნაროდოვოლცების ხელით იღუპება.

ალექსანდრე III ისე მშვიდად განაგებს იმპერიის მართვას, რომ რევოლუცია რუსეთში აღარავის ახსოვს. სტუდენტმა ვლადიმერ ულიანოვმაც კი დაივიწყა და მორჩილებით ითხოვა, დაებრუნებინათ უნივერსიტეტში, ეძებს სამუშაოს იურიდიული განხრით.



ალექსანდრე III-მ ლიბერალური მარცხის ყველა შესაძლებლობას საფუძველი ისე გამოაცალა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრე ნიკოლოზ II-მ ოდნავ რომ მოუშვა აღვირი, აგორდა რევოლუციის ტალღა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში დინასტიასაც და იმპერიას ერთნაირად მოსპობს.

მაგრამ 1894 წლის შემოდგომაზე არავინ იცის, რომ ასე მოხდება. ბუნებრივია, რომ ამის შესახებ არაფერი იცის სოსო ჯუღაშვილმაც, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში იწყებს სწავლას.



გაგრძელება იქნება

ტელესერიალის საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**7 მარტს პარლამენტში ჩვენ ვიხილეთ დეპუტატები, რომლებმაც არ იციან, სად მდებარეობს საქართველო, რომელი ქვეყნის საზღვრებთან, და გეოპოლიტიკური სიბრმავის დამადასტურებელი „დოკუმენტი" მიიღეს, თანაც მოქმედების სახელმძღვანელოდ. ვაი საქართველოს, უბედურს, ასეთი შვილების შემყურეს.**

# პარლამენტი სამშობლოს ღალატობს?!

**დიახ, უფრო მეტიც — უღალატა კიდეც, ვაცხადებ მე — 84-ე წელში გადამდგარი ისტორიკოს-პოლიტოლოგი. ბუნებრივია, ასეთ დროს მავანი ნივთმტკიცებას მომთხოვს. აი ისიც, 7 მარტს პარლამენტის მიერ ერთსულოვნად მიღებული ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი 19-მუხლიანი რეზოლუცია. წყეული კოაბიტაცია რაღა მოსატანია იმასთან, რაც 7 მარტის საღამოს პარლამენტიდან პირდაპირი ეთერით ვიხილეთ. ამ დღეს ვაინაციონალები და „მეოცნებეები" ლამის ჩაეხუტნენ ერთმანეთს და მიღებული „ღალატის დოკუმენტით" ერთმანეთს ნატოსადმი ერთობლივი სიყვარული შეჰფიცეს.**



პარლამენტის სხდომას 147 დეპუტატიდან 57 (მესამედზე მეტი) არ ესწრებოდა, თორემ დარწმუნებული ვარ, რამდენიმე პარლამენტარი (მაგალითად გ. თოფაძე), რომელიც გეოპოლიტიკურად დაბრმავებული არ არიან და ჯანსაღად აზროვნებენ, აღნიშნულ „დოკუმენტს" ხმას არ მისცემდა. **7 მარტს პარლამენტში ჩვენ ვიხილეთ დეპუტატები, რომლებმაც არ იციან, სად მდებარეობს საქართველო, რომელი ქვეყნის საზღვრებთან, და გეოპოლიტიკური სიბრმავის დამადასტურებელი „დოკუმენტი" მიიღეს, თანაც მოქმედების სახელმძღვანელოდ. ვაი საქართველოს, უბედურს, ასეთი შვილების შემყურეს.**

„დოკუმენტი" პარლამენტს და ხალხს „მეოცნებე" პარლამენტარმა გააცნო. სიტყვით გამოსულმა „ნაციონალმა", ნატოს დამსახურებულმა მოტრფიალემ — გ. ბარამიძემ მოიწონა იგი და გამოთქვა იმედი, რომ მომავალში ნატოსადმი ჩვენს მარადიულ სიყვარულს კონსტიტუციაშიც შევიტანთ.

მიღებულ რეზოლუციას მე-20 მუხლი ნამდვილად დაამშვენებდა, მითუმეტეს, რომ რეზოლუციის ყველა მუხლი საამისო ლოგიკურ წინამძღვრებს მზამზარეულად შეიცავს; საჭიროა მხოლოდ დასკვნის სახით მე-20 მუხლად დაფიქსირება. პარლამენტს ამ მე-20 მუხლის შინაარსს ვთავაზობ:

**მუხლი მე-20 — „რამეთუ რეზოლუციის მთელი შინაარსი ნატო-ევროსტრუქტურებისადმი უსაზღვრო ერთგულებითა და რუსეთისადმი ცივი ომის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია დეოკუპაციაზე და ტერიტორიების დაბრუნებაზე კატეგორიულ უარს გვეტყვის; ჩვენ ისღა დაგვრჩენია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ვაღიაროთ".**

არ ვხუმრობ, პატივცემულო მკითხველო, რეზოლუციის ეს მე-20 მუხლი მთელი რეზოლუციის ღრმად გააზრებისა და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზის ლოგიკური ნაყოფია.

რა თავხედურად, ულმერთოდ, ცინიკურად და უტიფრად სტყუიან ჩვენი პარლამენტარები, თანაც ფარისევლობენ, როცა აცხადებენ: საქართველოს ნატოში გაერთიანება არ არის მიმართული ჩვენი მეზობლების საზიანოდ. რომელი ბრიყვი დაგიჯერებთ ამ სიცრუეს?

თქვენ, „ნაციონალებო" და „მეოცნებეებო" ნატო იქნებ პირმშვენიერი მზეთუნახავი გგონიათ? თუ ასეა, მე, ხანდაზმული კაცი, ახალგაზრდა პარლამენტარებს არ შევეცილები; ბატონი ბიძინას არ იყოს, — „გაგებით მოვეკიდები".

**ასე რამ დაგაბრმავათ, ბატონო პარლამენტარებო? სამხრეთ კავკასიისთვის ნატო კარგი ხილი რომ ყოფილიყო, მის დაგემოვნებას სომხეთს თქვენ მოასწრებდით?**

სხვათა შორის გეოპოლიტიკურად დაბრმავებულ ჩვენს პარლამენტარებს, ასევე მათ მიერ გაბრიყვებულ მოსახლეობას შევახსენებ, რომ სომხები ჯანსაღად აზროვნებენ; მათ კარგად იციან, რომ ნატო საერთაშორისო ჯალათია, აშშ-ის იარაღია მსოფლიოს გლობალიზების ვერაგული ზრახვების აღსრულებისთვის; ამიტომ მე არ გამკვირვებია ჯავახეთის ეთნიკური სომხების ერთ-ერთი თავკაცის, აგასი არაბიანის, ქართულად გაკეთებული განცხადება — **„როგორც კი საქართველო ნატოში გაერთიანდება, ჩვენ დავიწყებთ მოძრაობას ჯავახეთის საქართველოდან გამოსაყოფად"** (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო" №13, 2012, გვ. 11).

**ვის ეთაყვანებით, მოღალატე პარლამენტარებო, იმ ნატოს 1999 წლის გაზაფხულზე, ზედ აღდგომის დღესასწაულს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიებს რომ ანგრევდა იუგოსლავიაში? იმ ნატოს, რომელიც ბელგრადს ბომბავდა და**

**7 მარტის საგარეოპოლიტიკური რეზოლუციით თქვენ, მოღალატე პარლამენტარებო, დამწვარზე მდუღარე გადაასხით, რამეთუ მაგრად ჩაკეტეთ ის გზები, ის არხები, რომლებიც დეოკუპაციისა და ტერიტორიული გამთლიანებისკენ წაგვიყვანდა**

**მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს, ხოცავდა?**

არა გრცხვენიათ, იმ ნატოს რომ ეტრფით, ლიბიის ლიდერს, კადაფს, მისსავე ქვეყანაში დასაკლავი ხარივით თავი რომ გაუჭრეჭყა? ან კიდევ იმ ნატოს, ერაყელ ხალხს თავზე უბედურებათა სერიალები რომ დაატეხა და ერაყული ნავთის ეშხით მთვრალმა მისი პრეზიდენტი რომ ჩამოახრჩო? შუამდინარეთის უძვირფასესი საგანძური ბაღდადის მუზეუმებიდან ვერაგულად რომ დაიტაცა? და კიდევ, იმ ნატოს ეტრფით, დღეს ავღანეთში რომ თარეშობს? ამას წინათ ოთხი ავღანელი მწყემსი ბიჭი ავიაბომბებით რომ დაგლიჯა?

ადამიანურად მაინც მეცოდებით, ნატოს მოთაყვანე და საქართველოს მოღალატე პარლამენტარებო, ამიტომ „სასარგებლო რჩევას" გაძლევთ: ამოჭერით სამხრეთ კავკასიიდან საქართველოს დე ფაქტო ტერიტორია (დე ფაქტო იმიტომ, რომ აფხაზებსა და ოსებს ნატო შავი ჭირივით სძულთ), შემოიდეთ ზურგზე, წაიღეთ და ბისკაის ყურეში, ესპანეთ-საფრანგეთის საზღვრებთან ჩადეთ; ამის შემდეგ ნატოში თავს უპრობლემოდ შერგავთ, რამეთუ გეოპოლიტიკური კანონზომიერების მოქმედებიდან თავს დააღწევთ, რუსეთის რისხვა აღარ იმოქმედებს; ირანი, სომხეთი თუ აზერბაიჯანი აღარ გაგინაწყენდებათ.

7 მარტის საგარეოპოლიტიკური რეზოლუციით თქვენ, მოღალატე პარლამენტარებო, დამწვარზე მდუღარე გადაასხით, რამეთუ მაგრად ჩაკეტეთ ის გზები, ის არხები, რომლებიც დეოკუპაციისა და ტერიტორიული გამთლიანებისკენ წაგვიყვანდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თქვენ დამარხეთ საქართველოს გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან ობიექტურად ნაკარნახევი და, აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის უაღრესად დიდი და მრავალმხრივი სარგებლობის მომტანი საქართველო-რუსეთის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ინიციატივა, ბატონმა ბიძინამ სომხეთში რომ გააჟღერა. მოღალატე პარლამენტარებო! შეგაშინათ ძია სემმა საშინლად, რომ ხელს არ აძლევს ეს რკინიგზა? ან კიდევ მისმა ლაქია სააკაშვილმა? — სირცხვილი თქვენი! რუსეთი რომ არ გვაპატიებს ნატოსადმი ტრფიალს — ეს აქსიომა ვერა და ვერ გაუგიათ გეოპოლიტიკურად ბეც და დაბრმავებულ ჩვენს პარლამენტარებს; აკი არ გვაპატია კიდეც და, როცა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა წამოიწყო, მედვედევმა განაცხადა: ომში იმიტომ ჩავებით, რომ საქართველოს ნატოში გაერთიანებისთვის ხელი შეგვეშალაო. ომში ჩავებითო და არა დავიწყეთო, თქვა მედვედევმა, მაგრამ ნატოს მონა გ. ბარამიძემ ხბოს აღტაცებით შესძახა — „ხომ დაინახეთ, ომი რუსეთმა დაიწყო, მედვედევმა აღიარაო". ვის ატყუებთ და

**ვინატრებდი გეოპოლიტიკური სიბრმავისგან თავისუფალ პარლამენტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერდა შემდეგ ფორმულირებას: «საქართველო ნატოში და ნებისმიერ სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არ გაერთიანდება»**

აბრმავებთ, თვითონ დაბრმავებულო ბატონო ბარამიძევ? — სირცხვილი თქვენი! განა კარგად არ იცით, მძინარე ცხინვალში პირველი სააკაშვილი რომ შეიჭრა და იქ გაეროს ეგიდით მდგარი რუსი სამშვიდობოები რომ ამოხოცა? მათი დედების ცრემლებს რუსეთი გვაპატიებდა? არ გვაპატია და ოკუპანტობა-აგრესიისკენ სწორედ სააკაშვილმა უბიძგა. სააკაშვილი ამ ომის საერთაშორისო დამნაშავეა.

თქვენ, მოღალატე პარლამენტარებო, მთლიანად დაემონეთ აშშ-ს და საქართველო არ გადარდებთ. ბატონი რ. ნორლანდი ელჩია თუ კოლონიის სათავეში მდგარი გენერალ-გუბერნატორი, ვეღარ გაგვიგია. დაბეჩავებული საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში დღეს შეიძლება ჩაიწეროს: საქართველო ეროვნება და ტერიტორიებდაკარგული, ასიათასობით დევნილ-ლტოლვილთა, მილიონზე მეტ სამშობლოდან გადახვეწილთა, გაწამებულ უმუშევართა, სავაჭრო-საგადასახადო, პოლიციური, კლანურ-ელიტარულ-კორუფციული, მრავალმილიარდიან ვალებში აცურებული, ამერიკა-დასავლეთის გასაღების ბაზარი და ნეოკოლონიური რესპუბლიკაა; მისი კანონმდებელ-განმკარგულებელნი ვაშინგტონში, სტრასბურგსა და ბრიუსელში სხედან, ხოლო მონამორჩილი აღმასრულებლები, სოროს-ამერიკული დოლარებით მოსყიდულები — თბილისში.

რეალობა ესაა. შემომედავეთ, ბატონო პარლამენტარებო!

მივესალმები დიდებულ ხელოვანს, ბატონ ჯემალ ჭკუასელს, რომელმაც მოსკოვში ხელოვანთა სახალხო ელჩობით, თქვენ, მოღალატე პარლამენტარებს, 7 მარტის ვაირეზოლუცია თავზე რომ გადაგახიათ. მან თქვენ და ვინმე ვაშაძის (სხვანაირად ვერ ვუწოდებ) გუნდი, კალათბურთის ანგარიშით — 75/25-ზე დაამარცხა, რაც 8 მარტს, ვიხილეთ კიდეც ვ. სანაიას „ღია ეთერის" გადაცემაში.

ვინატრებდი გეოპოლიტიკური სიბრმავისგან თავისუფალ პარლამენტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერდა შემდეგ ფორმულირებას: „საქართველო ნატოში და ნებისმიერ სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არ გაერთიანდება". ამით ჩვენ მივბაძავთ მეზობელ აზერბაიჯანს, თურქმენეთს, ფინეთს... მჯერა, ეს მალე იქნება — ამას საქართველოს გეოსივრცე და მისგან გამომდინარე გეოპოლიტიკური კანონზომიერება მოითხოვს, ბატონო პარლამენტარებო!

სწორედ ამის შემდეგ დაიწყება საქმიანი დიპლომატიური კავშირურთიერთობა დიდ მეზობელთან — რუსეთთან; გამოჩნდება გზები დაკარგულის დასაბრუნებლად.

თქვენ კი, ბატონო პარლამენტარებო, ისტორია, როგორც ჯერ არს, ისე გაგასამართლებთ. მაშ, დაველოდოთ!

არა — ნატოს! კეთილმეზობლობა — რუსეთთან!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

## თქვენი ოცნებაც ეს არის — ქართველები წავლენ, გადამთიელები მოვლენ და ჯიბეში გექნებათ მილიონობით საარჩევნო ხმა

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი ალაპარაკდა, სააკაშვილო!

**სათქმელი მეც ბევრი მაქვს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შევჩერდები და მოისმინე საქართველოს რიგითი მოქალაქის აზრი შენი ზეობის 9 წელიწადის შესახებ, მიხეილ სააკაშვილო!**

თქვენ მიერ გატარებული რეფორმების აქტივში თვალსაჩინოდ ფიგურირებს ე.წ. განათლების რეფორმა, ოღონდ იმას კი ვერ ვხვდებით, თუ რას უწოდებთ განათლების რეფორმას. იმას ხომ არა, ბატონო მიშა, ერთიანი ეროვნული გამოცდები რომ შემოიღეთ, ან იმას, სკოლებში „სტრაჟნიკები“ რომ ჩანერგეთ და მასწავლებლებზე ორჯერ მეტი ხელფასი ჩამოურიგეთ?! ცნობისთვის: ჩვენს დროს სკოლებში მანდატურები არ იყვნენ, მაგრამ დანაშაული არა ხდებოდა და არც ზედამხედველი იყო საჭირო.

წინათ ყველა ქრთამით ეწყობოდა, დღეს კი უმაღლესში მოსაწყობად ქრთამი არ არის საჭიროო, აცხადებთ. ჯერ ერთი, ყველა ფულით არ ეწყობოდა, ასეთი, ალბათ, 10-15 პროცენტი იყო. რაც არ უნდა სინდისგარეცხილი ყოფილიყო გამომცდელი, აბიტურიენტს ცოდნას არ დაუკარგავდა. და მეორეც, დღეს უკლებლივ ყველა სტუდენტი სწავლის 4-5 წლის მანძილზე იმაზე მეტ ფულს იხდის, ვიდრე ადრე ქრთამის შესაძლო მიცემის შემთხვევაში.

თუ თქვენს სიტყვებს დავერწმუნებით, თქვენ და თქვენი ძმებიც ქრთამით მოწყობილხართ, თქვენ შემთხვევაში შეიძლება მართლაც ასე იყო.

სინამდვილეში დღევანდელი სკოლების მოსწავლეთა, უმაღლესი განათლების დაწესებულებების სტუდენტთა მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მთელი რეფორმის შინაარსი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ყველაზე პრესტიჟული პედაგოგიური უნივერსიტეტები უნდა გავხადოთ. მაშინ აბიტურიენტები, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდები, იურიდიულს კი არ მისცემენ უპირატესობას, არამედ პედაგოგიურს. და კიდევ: უნდა აღვადგინოთ ადრე არსებული და მერე უყურადღებოდ მიტოვებული მასწავლებელთა პერმანენტული გადასამზადებელი სისტემა.

კვალიფიციური მასწავლებელი და მისი მაღალი ანაზღაურება — აი, ესაა სწავლების რეფორმირების ალფა და ომეგა.

თქვენი იდეოლოგიის საფუძველია ყბადაღებული ამერიკული ღირებულებანი. თქვენი ზნეობრივი კრედოს ფუნდამენტი ალენ დალესის მოძღვრებაში დევს, რომელიც სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდებში უზნეობის, გარყვნილების, პორნოგრაფიის პროპაგანდას გულისხმობს, მათი ნარკომანებად და მკვლელებად ჩამოყალიბებისაკენ მოუწოდებს. ყველას ეგონა, რომ ეს ვერ განხორციელდებოდა, რადგან ამის ინიციატორები და შემსრულებლები არ მოიძებნებოდნენ, მაგრამ ასეთები ბლომად აღმოჩნდნენ და მათ შორის ხართ თქვენც.

ქართველი ხალხის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ზნეობის ზომბირება მაშინ დაიწყეთ, როცა პირადობის მოწმობებიდან ეროვნება და მამის სახელი ამოიღეთ. ეს, ალბათ, იმიტომ გააკეთეთ, რომ თქვენი სომხობა არ ჩაწერილიყო, ხოლო დედათქვენმა იმდენად შეგაძულათ მამა, რომ მისი სახელის ხსენება გეთაკილებოდათ. რაც შეეხება თქვენს ავატარებს, მათ საერთოდ არც ეცოდინებათ, ვინ იყვნენ მათი მამები.

**მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივი გადაგვარების მცდელობა იყო ის, რომ გააუქმეთ და მოსპეთ ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, რათა ხელი შეგეშალათ მათი ინტელექტუალებად ჩამოყალიბებისთვის, სწორედ ამიტომ ამ მიზნით შეუცვალეთ სახელგანთქმულ ქართულ კინოს კალაპოტი და ხელი შეუწყვეთ პორნოკინოს ინდუსტრიის ჩამოყალიბებას.**

„ნაცმოძრაობის“ „მოღვაწეობის“ შედეგად ჩაკვდა საქართველოში ჭეშმარიტი მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, სპორტი.

ქართველი ხალხის მოსამსახურეებად ჩამოყალიბების მცდელობას რაში სჭირდება მეცნიერება!

თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველსავე გამოსვლებში ქართველ ხალხს ჰპირდებოდით, რომ მილიონ სამუშაო ადგილს შექმნიდით და დასაქმების პროგრამას ერთბაშად გადაჭრიდით, მაგრამ ესეც ბლეფი აღმოჩნდა. დასაქმებულთა რიცხვის მაგიერ უკვე დასაქმებული მასწავლებლების, ექიმებისა და სხვა პროფესიის მუშაკთა გამოყრა დაიწყეთ სამსახურებიდან და მილიონობით უმუშევართა არმიას კიდევ უფრო დიდი ნაკადი მიუერთეთ. დასაქმების თქვენეული პროგრამის „განხორციელებას“ პირდაპირპროპორციულად მოჰყვა მოსახლეობის მასობრივად გადინება ქვეყნიდან უცხოეთში სამუშაოს საძებნელად. თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, მაშინ ქვეყანა დაიცლება ქართველებისგან. თქვენი ოცნებაც ეს არის — ქართველები **წავლენ, გადამთიელები მოვლენ და ჯიბეში გექნებათ მილიონობით საარჩევნო ხმა.**

დასაქმებასთან პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიული საკითხი. უმუშევარი და გაჭირვებული ახალგაზრდობა მასობრივად თავს იკავებს ოჯახის შექმნისგან, რადგან არა აქვთ ოჯახის რჩენის გარანტია შორეულ პერსპექტივაშიც კი. ამიტომაც არის, რომ ბავშვები ვერ ჩნდებიან და სიკვდილიანობა აჭარბებს შობადობას.

**თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველსავე გამოსვლებში ქართველ ხალხს ჰპირდებოდით, რომ მილიონ სამუშაო ადგილს შექმნიდით და დასაქმების პროგრამას ერთბაშად გადაჭრიდით, მაგრამ ესეც ბლეფი აღმოჩნდა**

ბატონო მიშა, სკამზე თუ დამჯდარხართ და თუ გიფიქრიათ, თქვენგან სამოწყალოდ ნაბოძები 100 ლარით ადამიანმა რა ქნას: ზღაპრულად ძვირი წამალი იყიდოს, გაბერილი გადასახადები გადაიხადოს, მეურნეობას მოუაროს, ჩაიცვას, იკვებოს თუ მტერ-მოყვარესთან თავი არ შეირცხვინოს?!

თქვენი საგარეო პოლიტიკა არის ცალმხრივი და სწორხაზოვანი, შეიძლება თამამად ითქვას, ქვეყნისთვის მომაკვდინებელიც. მთლიანად გეზის აღება ამერიკასა და ნატოსკენ და რუსეთის ფაქტორის იგნორირება, დიპლომატიაზე კი არა, თქვენს ახირებაზე მეტყველებს.

იმდენად ხართ დავერბოვკებული ამერიკისგან, რომ მასზე ხართ მიკერებული, მხოლოდ მის ინტერესებს ატარებთ და არა ჩვენი ქვეყნისთვის მისაღებს და სასარგებლოს.

გასაოცარია, როგორ შეიყარეთ თავი „ნაციონალურ საძმოში“ ერთ ყალიბში ჩამოსხმულმა ხალხმა, ერთი მამის შვილებს რომ ჰგავხართ და ყველას ქარი ერთ მხარეს გიქრით.

არც ერთ ქართველს არ ექნება იმის საწინააღმდეგო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორული ურთიერთობა გვქონდეს, ისევე, როგორც, ევროპისა და აზიის ქვეყნებთან, მაგრამ ეს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული. ვინ გიკიჟინებთ, რუსეთი შეიყვარეთო, სულსა და გულში ჩაისვითო. მაგრამ ეს ქვეყანა ჩვენი სამარადჟამო მეზობელია, ამიტომ იგი ჩვენს მოკეთე პარტნიორად უნდა ვაქციოთ.

რას აიკვიატეთ ეს ნატო, რისი იმედი გაქვთ მისგან?! თქვენ იმ ალიანსში აპირებთ შესვლას, რომელმაც იუგოსლავიის მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა, სისხლის გუბეები დააყენა ლიბანსა და ეგვიპტეში, და რომლის ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთისა და ჩინეთის ინტერესებს.

ნატო ჩვენი უსაფრთხოების გარანტიააო, — აცხადებთ უტიფრად. რა, გიშველათ ნატომ რუსეთთან წარმოებულ ომში? პუტინი და მედვედევი ხომ დაუფარავად აცხადებენ, ომი იმიტომ დავიწყეთ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა არ დაგვეშვაო. როგორ ფიქრობთ, ასე თუ გავაგრძელეთ, რუსეთი მომავალში დაგვზოგავს?

**თქვენი დიპლომატიური „სიბრძნით“ დამოძღვრილი „ნაციონალების“ ხროვა გვმოძღვრავს, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყნის გენეტიკური მტერია და მასთან არავითარ ალიანსში არ უნდა შევიდეთ. დიპლომატია კონსესუსის ხელოვნებაა და პრაგმატიკოსები უნდა ვიყოთ, თუ ევრაზიის გაერთიანება შეიქმნა და 12-15 ქვეყანა შევიდა, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ შესაძლებლობით და შევიდეთ ალიანსში. ამერიკასთან კარგი ურთიერთობა და ევროკავშირში შესვლა არ გვიკრძალავს რეგიონულ გაერთიანებაში შესვლას. ვის აქვს იმის უფლება, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ქვეყნის საგარეო ორიენტაციის პრიორიტეტები?!** ეს არის ხალხის გადასაწყვეტი რეფერენდუმის მეშვეობით, ოღონდ არა ისეთი რეფერენდუმის, 2008 წელს „ნაციონალებმა“ რომ ჩაატარეთ.

დედამიწის ზურგზე ყველგან პატივს მიაგებენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლებს, ბერლინშიც კი დგას საბჭოთა მეომრის ძეგლი, მხოლოდ ჩვენმა ფინიებმა ააფეთქეს იგი.

**რას ერჩით სტალინის ძეგლს? ნაცვლად იმისა, რომ იამაყოთ სტალინით, რომელმაც მსოფლიოს შავი ჭირი მოაცილა ფაშისტების სახით, რომლებიც მთელ მსოფლიოს ოსვენციმად გადაქცევას უპირებდნენ, ომი გამოუცხადეთ და ყველგან დაამხეთ ან საღებავით შეთითხნეთ ამ ბუმბერაზი კაცის ძეგლები. პრეზიდენტ რეიგანის ძეგლი კი დადგით თბილისში, თითქოს საკმარისი არ იყო ბუშის ქუჩა.**

თქვენი კაიკაცობის დასტურად კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ამით დავამთავროთ.

**ინდიკო სეფაშვილი,**
ყვარელი

# უპირობოდ მხარდასაჭერია

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავკაცის, ბატონ ზურაბ კვარაცხელიასა და ორგანიზაციის სხვა აქტივისტთა ხელმოწერით აღძრულია მეტად აქტუალური, ლოგიკური კანონზომიერებით განპირობებული ინიციატივა, რომელიც ინტელექტუალურ-ანალიტიკური გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ ა.წ. მე-7 ნომერში გამოქვეყნდა და პარლამენტს, მის თავმჯდომარეს განსახილველად აახლეს.**

ინიციატივა ეხება ქართველურ ენათა (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური) დაცვა-გადარჩენისა და განვითარების გადაუდებელ ღონისძიებებს. ჩვენ ერთსულოვნად ვუერთდებით აღნიშნულ ინიციატივას.

სააკაშვილის „ნაციონალებმა“ ქართულ ენას აშკარად უმტრეს, როცა ქართული ენის სახელმწიფო პალატა, ბატონი ლევან ღვინჯილია წარმატებით რომ უძღვებოდა, ხელაღებით გაგვიუქმეს. დღეს ის გაფართოებული სამუშაო პროგრამით უნდა აღდგეს, რაც შეიძლება მალე, რამეთუ ქართველური ენები ჭეშმარიტად დასაცავი გახდა. **უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ენებში იმაზე ბევრად მეტი უცხო სიტყვა შემოიჭრა, ვიდრე რუსულიდან ორი საუკუნის მანძილზე.** ეს სიტყვები დამკვიდრდნენ ჩვენი გაზეთების, წიგნების გვერდებზე, რეკლამებში, გვესმის ტელეეკრანებიდან. ადრე ქართული გაზეთი არასოდეს დაწერდა რუსულ „სტოლ“-ს, იგი მხოლოდ საუბრის დროს თუ წამოგვცდებოდა; დღევანდელი ქართული გაზეთები კი აკანონებენ ისეთ უცხო სიტყვებს, როგორიცაა: „პრეზენტაცია“, „ექსკლუზივი“, „ბრიფინგი“, „სუპერი“ — და ა.შ. ვითომ ჩვენს მდიდარ ქართველურ ენებში შესატყვისი სიტყვები არ გაგვაჩნდეს. ამ ბოლო დროს კიდევ საჯანდაბე „კოაბიტაცია“ შემოგვჩხირეს. **მოვუწოდებთ გაზეთებს, ტელეარხებს, ყველას, ყველას: ბოიკოტი — უცხო სიტყვებს! გამოვიყენოთ მხოლოდ მათი შესატყვისი ქართული სიტყვები!**

5-6 წლის ბავშვებს ინგლისური კი არა, თავდაპირველად ქართველური ენები ვასწავლოთ, ხოლო უცხო ენები — 10-11 წლის ასაკიდან, როცა მშობლიური ენის ლექსიკას მნიშვნელოვნად იქნებიან დაუფლებულნი. **ვის უნდა დავუჯეროთ, თუ არა საქვეყნოდ გამოჩენილ პედაგოგს, მეცნიერ-აკადემიკოსს სულმნათ ბატონ ლევან ჩიქვანაიას, რომელმაც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში გადაჭრით უარყო და დამღუპველად მიიჩნია 5-6 წლის ბავშვებისთვის ინგლისური ენის სავალდებულო სწავლება.**

ახლახან პრესის მეშვეობით შევიტყვეთ: აფხაზეთში აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ აფხაზურად გამოუქვეყნებიათ, რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე მეგრულ და სვანურ ენებზე?

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ შეირცხვინა თავი ცნობილმა პოეტმა მურმან ლებანიძემ, წინდაუხედავი, უხეში განცხადებით, მეგრულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის მისამართით. მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს.

ჩვენი სურვილია, ტელეარხებიდან ხშირად ვისმენდეთ ვაჟკაცური შემართების ომახიან სვანურ სიმღერებს.

აბა, რა სჯობს დიდებული მელოდიურობითა და ორიგინალური მუსიკალობით გამორჩეული მეგრული სიმღერების მოსმენას? რა სჯობდა კოლხური ტრიოსა და გამორჩენილი მომღერლის — ბატონ ზურაბ სოტკილავას მიერ შესრულებული მეგრული სიმღერების მოსმენას.

ქართველურ ენათა დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბების შესახებ თხოვნას, რომელსაც ბატონი ზურაბ კვარაცხელია და მისი კოლეგები სამართლიანად ითხოვენ, ჩვენც, ამ წერილის ხელმომწერებიც, ვუერთდებით და სრულ მხარდაჭერას გამოვხატავთ.

გვწამს, საქართველოს პარლამენტი თხოვნას გულისხმიერებით მოეკიდება.

**ნუგზარ ავალიანი,**
**გივი გურეშიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები,
პოლიტოლოგები;

**ზურაბ კაჭკაჭიშვილი,**
**ნოდარ კუჭავა,**
**გივი მუკბანიანი,**
**მამანტი ბჟალავა,**
**გივი კარანაძე,**
**ზურაბ ხარატიშვილი,**
**ზაურ კვაჩიძე,**
**კობა ხომერიკი.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.**

# უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პროცესი მალე კატასტროფულ ხასიათს მიიღებს

**ბუნებრივია, რომ დღევანდელ საქართველოს მდგომარეობაში მყოფი მცირე ქვეყნის იდეოლოგია, ანუ პასუხი კითხვაზე „რით სჯობია ამ ქვეყნის და მისი სახელმწიფოებრიობა მათ არ არსებობას?" — უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს:**



**1. საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის;**

**2. საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა. შ. თანასწორია.**

მოქალაქეთა თანასწორობა მდგომარეობს:

თანასწორობაში კანონის წინაშე;

უფლებაში, რომ იგი და მისი შთამომავალნი, აწ და მარადის, საქართველოს მიწა-წყალს და ბუნებრივ რესურსებს განიხილავდნენ, როგორც თავის სარჩენ (საარსებო) ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად;

**3. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.**

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ — **საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისგან), კონკრეტულად — მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს.** ამის ერთადერთი რეალური გზაა, მის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა საკუთარ მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა. მცირემიწიანი საქართველოს მიწის გასხვისება იმგვარ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და იურიდიულ სივრცეში, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო დაკარგავს კონტროლს მის ფუნქციონირებაზე თავისი ამ დანიშნულების — საქართველოს მოქალაქეთა რჩენის — მიმართულებით, ყველა შემთხვევაში არის სახელმწიფო ღალატი ან ნებაყოფლობითი და მიზანმიმართული, ან არაკომპეტენტურობით გამოწვეული და უნებური;

— საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს;

— უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

***

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა 2012 წლის 26 ივნისს გაატარა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვე- ტილება №3/1/5/512", რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილი, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომვლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.** პაპუაშვილის ეს შეუნიღბავად ანტისახელმწიფოებრივი მანევრი თავისი განხორციელების ფორმით (სახელდობრ, არგუმენტაციის სიმულაციით, რომელიც ცდილობს იურისპრუდენციისა და ზოგადად ჰუმანიტარული

## დანაშაულებრივი დეფექტის გასწორება საქართველოს კონსტიტუციაში სათანადო ჩანაწერით უნდა მოხდეს

ცოდნის სფეროში მიღებული მეცნიერული ტერმინოლოგიით ოპერირებას) ემყარება, ერთის მხრივ, სრულ არაინფორმირებულობას ამ სფეროებში, მეორე მხრივ კი ასევე სრულ უცოდინარობას ან: უცოდინრობის სიმულაციას იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა თაობაზე, რომლებიც აქვს სახელმწიფოს ადმინისტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და არჩეულ ხელისუფლებას – ამომრჩეველთა წინაშე. ამ უმეცრების დასამტკიცებლად ქვემოთ წარმოგიდგენთ არგუმენტაციას, რომელიც საკმარისია, რათა მხილებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი, პროფესიულად (დარგობრივად) არაკომპეტენტური, დანაშაულებრივად დესტრუქციული ხასიათი;

**საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 19 ივნისს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, რომელთა ძალითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება მიეცათ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხოელ და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს საკუთრების უფლება მიეცათ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს – აგრეთვე, იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე** (მუხლი 4, პუნქტი 1). ამასთანავე, უცხოელები და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაესხვისებინათ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან (და) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე (მუხლი 4, პუნქტი 11). ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმეოდათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მუხლი 5, პუნქტი 12). სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისას გამოიყენებოდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები (მუხლი 5, პუნქტი 13).

**2011 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა დანიის მოქალაქემ ჰეიკე ქრონქვისტმა, რომელიც, ფაქტობრივად, ითხოვდა ამ ცვლილებებისა და დამატებების კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ქრონქვისტის სარჩელი, რითაც, ფაქტობრივად, გააუქმა კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რაც ჩვენ არა მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესთა თვალსაზრისით ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია, არამედ იურიდიულად დაუსაბუთებლადაც.

**ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ მოყვანილი დებულებები საქართველოს კანონისა სავსებით შეესაბამება კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.**

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. მაგრამ ამავე მუხლის მეორე პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებად თვლის კონკრეტული სახის შემთხვევებში კონკრეტული სახის ნივთის მიმართ ამ უფლებათა შეზღუდვას. უფრო მეტიც, მესამე პუნქტი დასაშვებად თვლის ამ უფლებების არა მარტო შეზღუდვას, არამედ საკუთრების ჩამორთმევასაც, სახელდობრ, მის კომპენსირებას კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამიტომ **საკონსტიტუციო სასამართლოს აუცილებლად უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, იყო და არის თუ არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით გამოწვეული ის შეზღუდვები, რომლებიც შეტანილი ცვლილებებით დაუწესდათ უცხოელებს.**

ჩვენ შევეცდებით, დავასაბუთოთ, რომ ის შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია უცხოელებისთვის, კერძოდ, ის, რომ **უცხოელი ვალდებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მასზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისოს, გამოწვეულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით.**

ჯერ ერთი, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების" მკაცრ დეფინიციას. ამ ცნების შინაარსის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოში **კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს**. სახელდობრ, მისი შინაარსი ცვალებადია აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის" შეიძლება იყოს მიმართული საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის" შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისთვის ან მისი ნაწილისთვის დადებითი შედეგების მოტანის მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის" იყენებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების" არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამასთანავე, **კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ შეზღუდვის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული საკუთრების უფლების არსი.**

ამასთანავე, საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებისთვის მოპასუხე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ სახეზეა საზოგადოებრივი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება სადავო ნორმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური: შესაძლებელია მისი შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და არა სხვა კატეგორიის მიწებზე, თუმცა სახელმწიფომ ერთნაირად უნდა დაიცვას ხელყოფისგან ნებისმიერი კატეგორიის მიწები. **ჩვენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ამ დანიშნულების მიწის ნაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო.** „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" **კანონი მიზნად ისახავს**, რომ ა) **სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა, ბ) თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება**. ამასთანავე, მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების აკრძალვის მთავარი დანიშნულებაა უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილება, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე. საკუთრების უფლების ასეთი შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრატეგიული ▶

ფოსტა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებლად უნდა იყოს კერძო საკუთრებაში ან გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის სტატუსში, მაგრამ საკუთრებისა არა უცხოელების ხელში, არამედ იგი მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს.

◀ მნიშვნელობაც ქვეყნის უშიშროების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებლად უნდა იყოს კერძო საკუთრებაში ან გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის სტატუსში, მაგრამ საკუთრებისა არა უცხოელების ხელში, არამედ იგი მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს.** ამასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძისა და სხვათა გაფორმების პრიორიტეტი და სრულად უნდა გამორიცხოს მიწით სპეკულაციის, აგრეთვე, უცხოელთა მიერ მიწის ხელში ჩაგდების ყოველგვარი სხვა სახის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე, ძალიან ცოტა ან საერთოდ არ გვეყოლება, რადგან ქართველი გლეხკაცი დღეს ფინანსურად არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში, **უცხოელებმა კი შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენონ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა ხრიოკმიწიან ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული.**

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფოებისა, თურქეთი, ირანი, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობითა და მცირემიწიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა იმისა, რომ ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ (სოფლის მეურნეობა არაა ინვესტიცია-ნ ტევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს), თანაც ქართველი თანამდებობის პირები გვამოძღვრავენ და გვამშვიდებენ, „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენო“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. **უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთშეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგადკულტურული ფონისა და აქსიოლოგიური ფონის მხრივ, მითუმეტეს — ენის მხრივ. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას,**

**ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.**

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ მკაცრ დეფინიციას. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ შეიძლება იყოს ის, რაც განკუთვნილი საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. სწორედ საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის აუცილებელია. ასეთია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე უცხოელთა საკუთრების უფლების გარკვეული შეზღუდვაც. ასე რომ, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. არსებული შეზღუდვები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“. მაგრამ ის, რომ საქართველოს მოსახლეობის შევსება უცხოელთა ახალი მასით, რომელიც ადგილობრივს აღემატება, არის კატასტროფა, რომლის აცილებაც „საზოგადოებრივი საჭიროებაა“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუგებარ ჭეშმარიტებად დარჩა!

**მეორე,** არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოპასუხის განმარტებას, რომელიც არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს არ ეკრძალებათ, განახორციელონ ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროში და იჯარით აიღონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუნდაც მისი 100% წილის მფლობელი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, მას შეუძლია შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ვინაიდან იგი სრულად ექცევა საქართველოს იურისდიქციაში, მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში და სამართლებრივი ვალდებულებები აქვს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს ასეთი ტიპის საკუთრების მემკვიდრეობით მიღებას. შესაბამისად, არ ზღუდავს ამ უფლებას, თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ავალდებულებს უცხოელს, გაასხვისოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს მოქალაქეზე და მატერიალური სიკეთე მიიღოს ალტერნატიული სახით ან შეუცვალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს კატეგორია, როგორც ეს გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ათვისების, ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში, და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გამოიყენოს სხვა მიზნით. როგორც ვხედავთ, მიუხედავად სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, კანონმდებელი უცხოელს მაინც აძლევს შესაძლებლობას, დაარეგისტრიროს საქართველოში იურიდიული პირი, რომელიც შესაძლოა გახდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე. შესაბამისად, **კანონმდებელი აწესებს ალტერნატივას. ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში ნორმა არაკონსტიტუციურად არ უნდა იქნეს მიჩნეული.** ასე, რომ გასაჩივრებული ნორმები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან.



**სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდება, გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით**

**მესამე** — რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ მემკვიდრეობის უფლებას, იგი, როგორც სასამართლო აღიარებს, არ ირღვევა. სადავო ნორმით დადგენილი მემკვიდრეობით მიღებული მიწის გაყიდვის ვალდებულება არ ზღუდავს მემკვიდრეობის უფლებას, რადგან სადავო ნორმა უცხოელს აძლევს შესაძლებლობას, მემკვიდრეობით მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გახდეს მესაკუთრე და ამით სრულფასოვნად მოახდინოს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაცია. ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების წარმოშობის შემდეგ მასთან დაკავშირებული ნორმატიული რეგულირების შეფასება სცდება ადამიანის მემკვიდრეობის მიღების უფლებით დაცულ სფეროს.

**სასამართლო გადაწყვეტილების 42-ე პუნქტში მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებებს ეხება, უფლებათა სუბიექტების განსაზღვრისას სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებს. კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებებს: „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, „საქართველოს მოქალაქეები“, „საქართველოს ყოველი მოქალაქე“. ამით კონსტიტუცია მიჯნავს უფლებებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, უფლებებისგან, რომლებიც უნივერსალური ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება უნივერსალურია და იგი ეკუთვნის ყველას.**

ეს მსჯელობა მცდარია. ჯერ ერთი, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები იხმარება თითქმის ყველა მუხლში, რომლებიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებას, მაგრამ არა ყველაში. არის გამონაკლისი: 34 მუხლიდან სამი მუხლია, რომლებშიც არც ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენებული. ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება სწორედ 21-ე მუხლიც. უნდა დავეთანხმოთ სასამართლოს იმაში, რომ ის მუხლები, რომლებშიც ნახმარია ტერმინები „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, ეს უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის — მოქალაქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტერმინები არ იხმარება 21-ე მუხლის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ **ეს უფლება ვრცელდება, პირველ რიგში, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო გავრცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, კანონმდებელმა კონსტიტუციური ნორმით არ გადაწყვიტა, რომელიც ამაზე დუმს.** კანონმდებელმა უფლება დაიტოვა, სახელმწიფოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლების „ყველაზე“ გავრცელების საკითხი გადაწყვიტოს არა კონსტიტუციური ნორმით, არამედ ორგანული ან მიმდინარე კანონმდებლობით. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო (ვიმეორებთ კონსტიტუცია ამაზე დუმს) გადაწყვეტილების 68-ე პუნქტით იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის საკუთრების უფლების შინაარსს და ფარგლებს, თვითონ განსაზღვრავს.

მეორე, თუნდაც დავუშვათ, რომ ეს უფლება უნივერსალური ბუნებისაა და იგი „ყველაზე“ ვრცელდება, სადავო ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, რადგან ეს გამონაკლისი დაშვებულია, სახელდობრ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო.

**საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 97-ე მუხლში, იშველიებს რა კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია...“ ასკვნის, რომ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისთვის ერთნაირია. თანაც ამ დებულებას ამაგრებს კონსტიტუციის 47-ე მუხლით (ეს დასკვნა იურიდიული ნონსენსია. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე იურიდიულ სიტუაციაში კანონი პეტრესა და პავლეს ერთნაირად ეპყრობა, და არა იმას, რომ მათ ერთნაირად ეპყრობა სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, პეტრეს უფლებები უანდერძოდ გარდაცვლილი მამის სახლის მიმართ ვერ იქნება იგივე, რაც პავლესი ამავე სახლის მიმართ, და პირიქით. მოქალაქეობაც სიტუაციის ელემენტია და არა პიროვნებათა პრინციპული თანასწორობა-უთანასწორობისა. ეს დასკვნა ისეთივე აბსურდულია, როგორიც მოთხოვნა: რატომ მიგყავარ ჯარში და არ მიგყავს ჩემი მეზობელი უცხო მოქალაქე? სადაა ჩვენი თანასწორობა?).**

უნდა ითქვას, რომ კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. **კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისთვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ, თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა.** აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში. ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

**რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას ავრცელებს და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოსამართლეებს რატომღაც „ავიწყდებათ“, რომ ამ გამონაკლისის გათვალისწინება შეიძლება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ კანონითაც. ჩვენ შემთხვევაში სწორედ კანონით შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი არ ადგენს ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლებრივად უთანაბრებს საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ იტოვებს უფლებას დაადგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. ამასთანავე, ამ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა შესაძლებელია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონითაც. ეს კარგად იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა და ამიტომ დაასკვნეს, რომ სადავო ნორმები არ არის შეთავსებადი კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან და საქმის განხილვა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა სადავო ნორმებით კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საკითხს, შეწყვიტეს.**

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონში 2007 წლის 19 ივნისს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გაუქმება, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამობის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ჩვენ მიერ დასაბუთებული იქნა, რომ სადავო ცვლილებები და დამატებები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.

ეჭვი არ გვეპარება საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაში, მაგრამ მათ მიერ მიღებულია სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც ბადებს ეჭვს, რომ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდება, გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით.

საქართველოს საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდაუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია, ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისთვის საჭირო ბაზები, რომელიც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასათვის ხილულიც გახდება.

**ამოცანაა: დაუყოვნებლივ მოხდეს ამ დანაშაულებრივი დეფექტის გასწორება სათანადო ჩანაწერით საქართველოს კონსტიტუციაში.**

პროფესორები
**ზაურ ჯინჯოლავა, პაატა კოღუაშვილი, ნოდარ ნათაძე**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ინდონეზიური გველების ბიზნესი

**ინდონეზიის პროვინცია იავაში გველების ფერმა გაიხსნა. ფერმა ინდონეზიელს, გვარად უაკირას, ეკუთვნის. ქარხანაში ათასობით გველის ტყავი და ხორცი ინახება, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ყიდიან.** ინდონეზიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს გველის ტყავის ჩანთები, ფეხსაცმელი და ქამრები. ქარხანაში მხოლოდ 10 მუშაა დასაქმებული, რომლებიც თვეში დაახლოებით 1 500 დოლარს გამოიმუშავებენ. ადგილობრივებისთვის გველის ტყავის სამოსი იაფად იყიდება, მაგრამ უცხოელებისთვის ღირებულება იზრდება. მაგალითად, ინდონეზიელი საშუალო ზომის ჩანთას 15 დოლარად იყიდის, დასავლური მოდის სახლის წარმომადგენელი კი — 4 000 დოლარად. გველებს ადგილობრივები იჭერენ და შემდეგ მათ ფერმის ხელმძღვანელი ყიდულობს. ფასი გველის ზომის მიხედვით იზრდება, შესაბამისად, ქვეწარმავალზე მონადირენი სიცოცხლეს საფრთხეშიც კი იგდებენ. მოგვიანებით ფერმის მუშები გველებს ატყავებენ, ტყავს აშრობენ, სამოსს კერავენ და ყიდიან.



# ყვავილების ხალიჩა



**ბრიუსელში, ცენტრალურ მოედანზე, უზარმაზარი ადგილი კვლავ ნათელი ფერების ყვავილოვანმა ხალიჩამ დაიკავა. ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ბელგიის მთავარი მოედანი ყვავილებიანი ხალიჩით ირთვება. წელს ფართობი ასეულობით ფლორისტმა აითვისა — ორი ათასი კვადრატული მეტრი გამოცდილი მეყვავილეებით იყო სავსე.**

ხალიჩაც შეიქმნა, რა თქმა უნდა, სილამაზესთან ერთად მისი პარამეტრებიც უნდა აღინიშნოს: სიგრძე — 77 მეტრი, სიგანე — 24, ყვავილები ეთიოპიიდან, კონგოდან, ნიგერიიდან, ბოტსვანადან და კამერუნიდან ჩამოიტანეს. 800 ათასი ულამაზესი ბეგონია და სხვა ყვავილი ერთობლიობაში წარმოადგენდნენ ერთ მდიდარ ნიმუშს, რომელსაც ფლორისტებმა შთაბერეს სული.

სასწაულზე დაკვირვება ოთხი საათი გრძელდებოდა. საქმე ისაა, რომ ბეგონია იყო ერთდაერთი ყვავილი, რომელიც გაუძლებდა კლიმატს და ხალიჩას ფორმის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. დასასრულს ხალიჩაზე საზეიმო მიღება გაიმართა — შეიკრიბნენ ჟურნალისტები, სახელმწიფოს წარმომადგენლები, გაიმართა კონცერტი.













# Dog Show 2013





**ნიუ იორკში ჩატარდა რიგით 137-ე ძაღლების კონკურსი Westminster Kennel Club Dog Show 2013. ნომინაცია „საუკეთესო ძაღლი“ ერგო აფენპინჩერს, რომელსაც ჰქვია ბანანა ჯო.** კონკურსში მონაწილეობას იღებდა 2700-ზე მეტი ძაღლი, რომლებიც 187 განსხვავებულ ჯიშს წარმოადგენდნენ. შარშანდელი კონკურსისგან განსხვავებით, წელს ძაღლები ჯერ სახეობების მიხედვით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგომ კი — კატეგორიების მიხედვით, რომელთა რაოდენობა 7-ს არ აღემატებოდა.





















## საბურავების მხეთქავი

**ნიუ იორკის შტატის პოლიციამ დააკავა 60 წლის მამაკაცი, რომელიც 2 წლის განმავლობაში ადამიანებს, რომლებიც არ მოსწონდა, მანქანის საბურავებს უხეთქავდა.** მაიკლ დელიზიო სადარბაზოებთან, სადაც მეზობლები მანქანებს აჩერებდნენ, ლურსმნებს ყრიდა. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ლურსმნით გახეთქილი საბურავების შესახებ, მათთან 50-მდე საჩივარი შევიდა. დამნაშავე პოლიციამ შემთხვევით დააკავა. პოლიციის თანამშროელი ერთ-ერთი დაზარალებულის სახლს ათვალიერებდა, როდესაც დაინახა, როგორ ყრიდა დელიზიო ლურსმნებს ქუჩაში. ამერიკელს ბრალი კანონის 100-მდე მუხლით წაუყენეს. პოლიციის თანამშრომლის თქმით, დელიზიო ლურსმნებს შავად ღებავდა, რათა მსხვერპლს ის ვერ შეემჩნია. „ასეთი სახის დანაშაულთან ადრეც მქონია საქმე, მაგრამ არასდროს მინახავს, რომ ვინმეს ასეთი მონდომება გამოეჩინოს“, — აცხადებს პოლიციელი.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავისუფლების გემი



**დიზაინერულ-არქიტექტორულმა კომპანია „Freedom Ship International“-მა მსოფლიოში უდიდესი გემის აგება მოინდომა.**

პროექტის თანახმად, ყველაზე დიდი გემი „freedom ship“, ანუ „თავისუფლების გემი“ სიგრძეში 1371 მეტრია, სიმაღლეში — 106 მეტრი, სართულის რაოდენობა — 25, მასა — 3 მილიონი ტონა.

ეს მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი გემი იქნება, ის გათვლილია ორმოცდაათი ათასი ადამიანისთვის, მასზე იქნება 2400 მაღაზია, 10 000 სასტუმრო, 3000 კომერციული ფართი.

გემის მოცულობის გამო ტალღები მას ოდნავაც ვერ შეარხევს, ამიტომ მასზე მცხოვრებთ კომფორტს ესეც კი ვერ დაურღვევს.

ცხადია, გემზე იქნება საცურაო აუზები, მაღაზიები, კაზინოები, უბაჟო ვაჭრობა და მთელი მსოფლიოს მასშტაბის სატრანზიტო კომპლექსი. რაც მთავარია, გემის სახურავი მთლიანად აეროდრომს დაეთმობა. მას ექნება ერთი ასაფრენი და ერთი დასაფრენი ბილიკი, შეეძლება ნებისმიერი სახის თვითმფრინავის მიღება ნებისმიერ დროს და მისი უზრუნველყოფა საწვავით, დაზიანებების აღმოფხვრა ძალიან სწრაფად და ეფექტურად.

**ამ გემის აშენების პირველი იდეა 1990 წელს გაჩნდა, მაგრამ ბევრი წინაღობა იყო. 1999 წელს ამაზე უფრო სერიოზულად დაფიქრდნენ და დაითვალეს, რომ პროექტი 6 აშშ დოლარი დაჯდებოდა. 2002 წელს პროექტის ღირებულება 11 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, 2008 წელს კი სპონსორების ძებნა დაიწყეს და იპოვეს კიდეც, თუმცა მათი სახელები საიდუმლოდ რჩება.**

ბოლო პრობლემა ცუნამი იყო — შეძლებდა ის ამხელა კონსტრუქციის ერთი ტალღით დანგრევას? მეცნიერებმა ამაზე არაერთი ცდა ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ 3 მილიონი ტონა მასის მქონე გემს ცუნამი ვერაფერს დააკლებდა.











# კოფეინის უსაფრთხო დოზა








**კოფეინის სასიკვდილო დოზა არის დაახლოვებით 10 გრამი, რაც შეადგენს ორი ფანქრის მასას. 10 გრამ კოფეინს შეიცავს 15 ლიტრი ყავა ან 120 ქილა „რედბული“.**

კოფეინის ორგანიზმიდან გამოსვლის სიჩქარე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – გენეტიკურ თვისებებზე, სქესსა და მწეველობის სტაჟზეც კი. ამგვარი ფაქტორების გათვალისწინებით, ძნელია გამოთვლა, თუ რა პერიოდში გაიწმინდება ადამიანის ორგანიზმი.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ კოფეინი არის მწვავე დისკუსიის საგანი მეცნიერებს შორის. კოფეინი შეიძლება გახდეს ქრონიკული თავის ტკივილის წამალი ან დააჩქაროს წამლის მოქმედება ადამიანის ორგანიზმში. მეორე მხრივ კი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორსული ქალისთვის ყავის დიდი დოზით გამოყენება მავნეა ბავშვისთვის.

ცხარე დისკუსიებს წერტილი დაესვა 2003 წლის გამოკვლევის შემდეგ. ყოველი ადამიანი არეგულირებს თავისთვის უსაფრთხო კოფეინის დოზას, რაც არც თუ ისე ადვილია. გამოკვლევის შედეგად მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კოფეინის უსაფრთხო დოზა შეადგენს დღეში 500 მილიგრამ ყავას – ეს არის უსაფრთხო დოზა მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანისთვის. თუკი ადამიანის კოფეინის დოზა ნორმას აჭარბებს, ეს სარისკოა მისი გულისთვის. ორსული ქალისთვის კოფეინის დოზა 200 მილიგრამამდე უნდა შემცირდეს დღეში. ასევე კოფეინის დოზის შემცირება მოუწევთ მწეველებსაც — მათი ორგანიზმის გაწმენდის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს.

## ექსჰიბიციონისტების მარათონი



**ავსტრალიაში შიშველმა ადამიანებმა 900 მეტრი გაცურეს. ღონისძიებაში მონაწილეობა სხვადასხვა ასაკის ასობით ადამიანმა მიიღო. აქციას Sydney Skinny-ი ერქვა.** აქციის ორგანიზატორ ნაიჯელ მარშის თქმით, შიშველ მოცურავეებს შორის ყველაზე ხანშიშესული 89 წლის იყო. მისივე განცხადებით, „შიშვლად ცურვაში“ მონაწილეობა მხოლოდ ნუდისტებს არ მიუღიათ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს აქცია ახალ ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცა. შეგახსენებთ, რომ „შიშველი რაგბის მატჩები“ ავსტრალიაში რეგულარულად ტარდება, ხოლო „შიშველი ცურვა“ წელს პირველად მოეწყო.

## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ცივი ქვიშები

**კოდარას ყინულებიდან დაახლოებით 40 კილომეტრის მოშორებით, თოვლით დაფარული მთების მიღმა, ტაიგაში, განთავსებულია პატარა უდაბნო, რომლის სიგრძეა 10 კმ და სიგანე — 5 კილომეტრი.** აქ ყველაფერი ისეა, როგორც ახასიათებს ჩვეულებრივ უდაბნოს, მხოლოდ არსებობს ერთი და ყველაზე მთავარი განსხვავება — ცხელ ოქროსფერ ქვიშასთან ერთად იხილავთ ყინულებს. ყველა სიკეთესთან ერთად, ამ უდაბნოში ირმები ბინადრობენ.



# ჩინეთში უძველესი პორნო აღმოაჩინეს



**არქეოლოგებმა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით უნიკალური, „+18“ პეტროგლიფი (კედლის მხატვრობა) აღმოაჩინეს, რომელიც, შესაძლოა, მსოფლიოს უძველეს პორნოდ აღიარონ. კლდეზე შესრულებული ნახატი, რომელზეც ორგიაა ასახული, სავარაუდოდ, 4000 წლისაა.**

ალმოჩენა დეტალურად აღწერს განაყოფიერების რიტუალს. ამასთან, თითოეული ფიგურა კონკრეტულ ეროტიკულ პოზაშია დახატული.

**„გარდა ადამიანებისა, ნახატზე კარგად ჩანს ცხოველებიც. აქ ნამდვილად უძველესი რიტუალია წარმოდგენილი“,** — აცხადებს მკვლევარი დოქტორი დევის კიმბოლი.

სპეციალისტთა აზრით, ქვიშის საათის ფორმის ადამიანის გამოსახულებები მდედრობითი სქესის არიან. მამაკაცები განიერი მხრებით არიან დახატულნი. მათ ვიწრო წელი აქვთ. ზოგიერთი ფიგურა ორივე სქესს აერთიანებს. სავარაუდოდ, ისინი ტრანსექსუალები ან შამანები არიან.

# ბუშტებით შექმნილი კაბები

**35 წლის იაპონელი მხატვარ-დიზაინერი რიე ჰოსოკაი ახალი კოლექციების შესაქმნელად ლატექსის ბუშტებს იყენებს. მისი სამოსი ყოველთვის ექსტრავაგანტულია, თუმცა ერთი ნაკლი მაინც აქვს — ადრე თუ გვიან ყველა იფუშება.**





ეს ფაქტი დიზაინერს სულაც არ უშლის ხელს. უკვე 10 წელია, რაც ლატექსის ბუშტებს, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ტექსტილის მასალას, ის თავად ბერავს და მისგან კაბებს ქმნის. ამ კაბებს კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს: ბუშტების გაბერვით თუ ჩაფუშვით კაბისთვის ნებისმიერი ზომის მიცემაა შესაძლებელი.

გარდა ამისა, ბიზნესი ძალიან მომგებიანია. თითოეული ბუშტი მხოლოდ 0.09 ცენტი ღირს, ხოლო მზა კაბებში დიზაინერს ათასობით დოლარს უხდიან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კაბები დიდხანს არ ძლებს, რიეს კაბების ფასი 2000 დოლარიდან 4000 დოლარამდე მერყეობს და საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

ერთხელ დიზაინერს საქორწინო კაბაც შეუკვეთეს. საქორწინო ატრიბუტიკაში, რომელშიც ბუშტებისგან შექმნილი კაბა, ფატა და თაიგული შევიდა, კლიენტმა 13 000 დოლარი გადაიხადა.

# ქალაქი პირამიდაში

**იაპონიაში, ქ. ტოკიოში არქიტექტორები — დანტე ბინი და დევიდ დიმიტრისი უზარმაზარი პირამიდის აგებას აპირებენ.**




მისი სიმაღლე 730 მეტრი იქნება, ფართობი — 8 კვადრატული კილომეტრი. ის გათვლილია ერთ მილიონ ადამიანზე, რომლებიც უზრუნველად იცხოვრებენ „ქალაქ პირამიდაში“, ექნებათ ტრანსპორტი, ოფისები, მაღაზიები, კაზინოები, სავარჯიშო დარბაზები, ყველაფერი, რაც ადამიანს შეიძლება დასჭირდეს.

ტრანსპორტი იქნება ელექტრონერგიაზე, პატარა ოთხკაციანი მატარებლის მსგავსი მანქანები რამდენიმე ღილაკის საშუალებით იმართება, მაგრამ ამდენი ელექტროენერგია დასჭირდება მას?

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ელექტროენერგიის მიღება ისე, რომ არ დაზიანდეს ბუნება, გამოიგონეს „ტალღის ვატი“, რომელიც ტალღის რხევებზე გამოიმუშავებს ელექტროენერგიას და არ აბინძურებს გარემოს. ამავე დროს ელექტროენერგიის გამომუშავება ნაკლები დანახარჯებით იქნება შესაძლებელი.



ვინაიდან პირამიდა ძალიან მასიურია, ამიტომ მისი წონა ძალიან დიდი იქნება. ამიტომ ის ბეტონის უდიდეს საძირკველზე, ეს ბეტონი გამძლე სეისმური აქტიურობების, ცუნამის, მიწისძვრის თუ ქარიშხლის მიმართ ზემდგრადი იქნება.

ამ საძირკველზე დაიდგმება რკინის კონტრუქცია, რომლის აგებაზე უკვე იზრუნეს — იაპონელები აპირებენ, გამოიგონონ ხოჭო რობოტი, რომელიც ამ რკინის კონსტრუქციას თვითონ ააგებს, მას დაეხმარებიან პატარა რობოტები.

ძნელი რეალობაა, მაგრამ იაპონელებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.



# კალამი სამგანზომილებიანი ხატვისთვის

**ამერიკულმა კომპანია WobbleWorks-მა შექმნა კალამი, რომელიც სამ განზომილებაში ხატავს. 3Doodler — ასე ჰქვია უნიკალურ კალამს, რომელიც სინამდვილეში სამი მინიპრინტერია.**

**მელანის ნაცვლად 3D კალამში სტანდარტული აკრილონატრილბუტადიენსტროლი გამოიყენება.** მისი მეშვეობით 3Doodler-ს ფიგურების გამოყვანა ჰაერში და ზედაპირზე ერთნაირი წარმატებით შეიძლება.

მოწყობილობა კომპაქტურია, ადვილია გამოსაყენებლად და არ ითხოვს პროგრამულ უზრუნველყოფას. იმისათვის, რომ 3D კალმით დახატოთ, ის სპეციალური კაბელის საშუალებით როზეტში უნდა შეაერთოთ.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ხელოვნური ორსულობა კაცებისთვის

**მწერალი ბენჟამინ პერსი თვლის, რომ ყველა კაცი ვალდებულია, საკუთარ თავზე გამოსცადოს ფეხმძიმობა და გააცნობიეროს, რას განიცდის ქალი, რათა შემდეგ სუსტი სქესი კიდევ უფრო დააფასონ. ამ მიზნით, ბენჟამინმა სპეციალური ბუსტჰალტერი და ფეხმძიმობის იმიტაციის შესაქმნელი ქამარი შეიძინა და 9 თვე „ქალის ტყავი" მოირგო. ეს სამოსი მწერალს ყოველდღიური საქმიანობისას ეცვა. ამ ფორმით ვარჯიშობდა, სამსახურში მიდიოდა და პროდუქტებს ყიდულობდა. „ფეხმძიმობის" პერიოდი სრულყოფილად რომ შეეგრძნო, ყოველ თვე ქამრის მოცულობას ჰაერით ტუმბავდა და მუცელს ზრდიდა.** „ამ ექსპერიმენტის დასასრულს მივხვდი, რომ მამაკაცები ქალებს სათანადოდ არ ვაფასებთ. ცოლებს, მეგობარ გოგონებსა და ზოგადად ყველა ქალს პატივი უნდა ვცეთ. ამის შემდეგ უკეთესი მამა ვიქნები", — ამბობს იგი.

# სამეცნიერო მითები

**ყველა ადამიანს გააჩნია გარკვეული წარმოდგენები ამა თუ იმ საგნების მიმართ, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩვენი გამოცდილების, საზოგადოებრივი აზრისა თუ სხვა მიზეზთა შედეგად. არსებობს ფაქტები, რომელთაც მეცნიერები ამტკიცებდნენ გარკვეულ ეტაპებზე, მაგრამ დღეს უკვე მითია.**



## 1. ჩინეთის დიდი კედელი კოსმოსიდან ჩანს

მართალია, ჩინეთის დიდი კედელი ძალიან დიდია, თუმცა მისი დანახვა კოსმოსიდან მაინც შეუძლებელია. თვით პირველმა ჩინელმა კოსმონავტმა იან ლიმ დაადასტურა, რომ მან ვერ შეძლო დაენახა ჩინეთის დიდი კედელი შეუიარაღებელი თვალით. კოსმოსური სადგურიდან მხოლოდ ეგვიპტის პირამიდების გარჩევაა შესაძლებელი.



## 4. ბენზინის ავზში სროლა იწვევს მანქანის აფეთქებას

ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ კინოში ან ვიდეოთამაშებში მოხდეს. ავზში სროლის შემთხვევაში, ტყვიამ შეიძლება გაიაროს ავზში ან გაიჭედოს მასში. ტელეგადაცემაში „ლეგენდების გამანადგურებლები" ცდაც კი ჩაატარეს ამის შესახებ, მაგრამ სროლამ არა თუ მანქანის აფეთქება, არამედ ცეცხლის გაჩენაც კი ვერ გამოიწვია.



## 7. მინა მყარია

მინა ეს ამორფული (კრისტალური აგებულების არ მქონე, უფორმო) მყარი სხეულია, ანუ მაღალი სიბლანტის მქონე სითხე. ამის გამო ის ძალიან ნელა „იღვენთება", რის გამოც მინის ვიტრაჟები დროთა განმავლობაში ქვევით უფრო სქელი ხდება, ვიდრე ზევით.



## 2. პოლარული ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშაა

როგორც ბევრს ჰგონია, პოლარული ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშაა, თუმცა ეს ნამდვილად არ არის ასე. ის სიკაშკაშის მხრივ დაახლოებით 50-ე ადგილზეა. პოლარული ვარსკვლავის დანახვა ყველაზე ადვილია იმიტომ, რომ დედამიწის ღერძი პრაქტიკულად მისკენაა მიმართული. პოლარული ვარსკვლავი წლის ნებისმიერ დროს ერთსა და იმავე ადგილზეა და მიუთითებს ჩრდილოეთის მიმართულებაზე, ხოლო მზის შემდეგ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად სირიუსი ითვლება.



## 5. წითელი ფერი აბრაზებთ ხარებს

ესპანელმა ტორეადორებმა წითელი ფერის მაუდის ან ტყავის გამოყენება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როდესაც ამ მითის შესახებ არაფერი იყო ცნობილი (1700-იან წლებში). სინამდვილეში ხარებს აბრაზებთ არა ესა თუ ის ფერი, არამედ ყველაზე მოძრავი საგნები მათ ირგვლივ.



## 8. კოსმოსში არ არის გრავიტაცია

სინამდვილეში კოსმოსში გრავიტაცია არის და სწორედ მისი საშუალებით ვარსკვლავები ბრუნავენ გალაქტიკის ცენტრის გარშემო, დედამიწა — მზის გარშემო და თანამგზავრები — დედამიწის გარშემო. მიზეზი, რატომაც კოსმონავტები უწონად მდგომარეობაში არიან, არის ის, რომ ისინიც დედამიწის გარშემო ბრუნავენ. ორბიტის სიმაღლეზე, დაახლობით 400კმ-ის დაშორებით დედამიწიდან, გრავიტაცია სინამდვილეში მხოლოდ 10%-ით მცირდება.



## 3. ნიანგის თავდასხმისას უნდა გავიქცეთ ზიგზაგებით

ერთ-ერთი უძველესი რჩევა თავის გადარჩენასთან დაკავშირებით ნიანგის თავდასხმის შემთხვევაში არის ის, რომ გავიქცეთ ზიგზაგებით, ვინაიდან იგი ვერ ახერხებს სწრაფად შებრუნებას. სინამდვილეში ნიანგი თითქმის არ ნადირობს ხმელეთზე, თანაც მისი მაქსიმალური სიჩქარეა ხმელეთზე 16 კმ/საათში, რაც საშუალებას გვაძლევს, პირდაპირ სირბილის შემთხვევაშიც თავისუფლად გავასწროთ მას.



## 6. მეხი არ ეცემა ერთსა და იმავე ადგილას ორჯერ

ეს მცდარი აზრია, როგორ წესი, პირიქით ხდება. მაგალითად, ცნობილ ცათამბჯენს „Empire State Building" (ნიუ იორკში) წლის განმავლობაში დაახლოებით 100-ჯერ ეცემა მეხი.



## 9. არსებობს მთვარის ბნელი მხარე

მზე რაღაც მომენტში მთვარის ნებისმიერ ადგილას ანათებს. მაგრამ, ვინაიდან მთვარე ისევე ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, როგორც დედამიწის გარშემო, ამიტომ დედამიწიდან მთვარის ერთი მხარე არასდროს ჩანს. სინამდვილეში კი, როდესაც ნახევარმთვარეა, მზე უფრო იმეტად იმ ადგილს ანათებს, რომელიც დედამიწიდან არ ჩანს.



## 10. შესაძლებელია ნერვული კვანძების აღდგენა

დიდი ხნის განმავლობასი მეცნიერები თვლიდნენ, რომ ტვინის მუშაობის რთულ პროცესს დაარღვევდა ახალი ნერვული კვანძების ზრდა. მაგრამ 1998 წელს შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ და ახალი კვანძების შექმნა. ამასთან ერთად, ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ემბრიონული მაგისტრალური კვანძებისგან ნერვული კვანძების შექმნის პროცესი.

# აშშ — კაცობრიობის უკანასკნელი იმედი თუ მსოფლიოს ბოროტი ზედამხედველი

**სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ განაგრძობს საინტერესო წიგნების გამოცემას. ამჯერად მან ამერიკის შეერთებული შტატებით დაინტერესებულ მკითხველებს წარუდგინა ახალი კრებული „ღმერთო, შეუნდე ამერიკას“, რომელშიც თავმოყრილია კომპეტენტური ამერიკელი და ევროპელი ანალიტიკოსების სტატიების ქართულ ქურაში გამომწვარი თარგმანები. უმეტესობა მათგანი იბეჭდებოდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“. აღნიშნულ გამოცემაში ერთობლივად წარმოდგენილი ეს პუბლიცისტიკა სრულ სურათს წარმოგვიდგენს იმ რეალობისა, რომელსაც ჩვენი „დემოკრატიული პრესა“ მორცხვად არიდებს თვალს. სააკაშვილის პროპაგანდის მანქანა და მისეული ცენზურის დაუწერელი ცირკულარი ასეთ თავისუფლებას დაუშვებლად მიიჩნევდა: თეთრ სახლს ჩვენთვის მხოლოდ საოცნებო მიზნად უნდა ებრწყინა ვაშინგტონის ულრუბლო ცის ფონზე.**




კრებული „ღმერთო, შეუნდე ამერიკას“ ნათლად გვიჩვენებს, რომ მსოფლიო პრესას — ბეჭდურს და ელექტრონულს, რეალობის გრძნობა არ დაუკარგავს: **The New Yorker, The New York Times, Reuters, The Washington Post, Associated Press, Foreign Policy, The Guardian, The National Interest, World News, The American Conservative, Global Research, Herald Tribune, Le Figaro, El Pais, bbc.co.uk, Business Insider, Times** — ასეთია არასრული სია იმ გამოცემების, რომლებიც საქვეყნო პრობლემებისადმი კრიტიკული მიდგომის მაგალითს იძლევა.

წიგნის კრიტიკულმა პათოსმა არ უნდა აფიქრებინოს მკითხველს, თითქოს ეს ნაბეჭდი პროდუქცია ისეთი ჩასაფრებული ადამიანების მიერ არის შედგენილი, რომლებიც დაპროგრამებულნი არიან დასავლეთის მხოლოდ უარყოფით ჭრილში წარმოსაჩენად.

**„უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წინამდებარე მასალებისთვის კრებულში ამერიკელი ხალხის მიმართ ნიშნის მოგების მიზნით არ მოგვიყრია თავი, პირიქით, სიმპათიით ვართ განწყობილი ამერიკელი ხალხის, ამერიკული კულტურის მიმართ, ვაღიარებთ მის მნიშვნელობას, ადეკვატურად აღვიქვამთ ამერიკული კულტურის საუკეთესო ნიმუშებს, მაგრამ პარალელურად გააზრებული გვაქვს ნეგატიური პროცესები, რომელთაც ამ ქვეყანაში აქვს ადგილი და გვაშფოთებს ამ ქვეყნის ისტებლიშმენტის ჯიუტი სურვილი — მომავალშიც ძველი მეთოდებით უზრუნველყოს აშშ-ის მსოფლიო ლიდერობა, რაც უდიდეს ზიანს აყენებს მსოფლიოში მშვიდობას“,** — ასეთია გამომცემელთა პოზიცია, რომელიც წიგნის „ღმერთო, შეუნდე ამერიკას“ წინათქმაშია დაფიქსირებული. მაგრამ მხოლოდ იმ საერთო, გლობალურ პრობლემას არ შეუწუხებია ისინი, კერძო სატკივარიც ამოძრავებთ, ძირითადი ამოსავალი წერტილიც ესაა: **„ჩვენი წუხილის საგანია, პირველ რიგში, ისიც, რომ ამერიკელი ემისრების მხრიდან საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევის, მათი მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის (რომელიც მხოლოდ ამერიკული ინტერესების მომსახურებაზე იყო ორიენტირებული) უპირობო მხარდაჭერის შედეგად მკვეთრად გაუარესდა არა მარტო ამერიკის რეიტინგი, არამედ შეილახა ქართველი ხალხის რწმენა დასავლური ფასეულობებისადმი და ნეგატიური გახდა ზოგადი დამოკიდებულება ამერიკის მიმართ“.**

მგონი, ნათელი პოზიციაა, ყოველ შემთხვევაში, — გასაგები.

„საქართველო და მსოფლიოს“ მეცხრე ნომერში დავით მხეიძე წერდა („ქალბატონო ფინთიკოზა“...): **„ახლადგამომცხვარმა „მოინტელიგენტო პუბლიცისტმა — ნათია მეგრელიშვილმა ისეთი სისულელე იბოდიალა, მკვდარსაც კი გაეცინებოდა — ამერიკა სადაც შევიდა, ყველგან ყველაფერი ააშენა და ააყვავა, რუსეთისგან განსხვავებით, არავისთვის ტერიტორიები არ წაურთმევია...“** დავით მხეიძე ღირსეულ პასუხს სცემს „ქალბატონ ფინთიკოზას“, და უფრო დამაჯერებელი რომ იყოს ამ გაზაფხულზე ენძელასავით მიწიდან ამოწვერილი ადრე არნახული „პუბლისტის“ პოზიციის აბსურდულობა, **ნუ დაიზარებთ, გადაშალეთ „ღმერთო, შეუნდე ამერიკას“ 389 გვერდი და თვალი გადაავლეთ 440 გვერდამდე გაგრძელებულ ჩამონათვალს იმ ინტერვენციების, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა განახორციელა 1622 წლიდან მოყოლებული, როცა ინდიელებზე თავდასხმით დაიწყო და 1900 წლამდე გააგრძელა ამერიკის ომები. იმ პერიოდში იანკებმა 100 მილიონამდე ინდიელი დახოცეს.**

„ბოლო პუნქტი“ ამ ჩამონათვალის 2011 წელია, როცა ამერიკამ ლიბიის დაბომბვა განახორციელა, ღმერთმა ქნას, უკანასკნელი.

ქალბატონი ფინთიკოზები, რომლებიც ვენახის კალიებივით თემიდან თემაზე გადახტომით ფაქტობრივი საფუძვლის სიმწირის დამალვას ცდილობენ ან სახელდახელოდ დაქირავებულ სხვის ბინაში ტახტზე წამოგორებით დასახიჩრებას გადარჩენილ მადამ ბატერფლაის სცენას გაითამაშებენ, ასეთ წიგნებს არ კითხულობენ.

წაიკითხავს განათლებული საზოგადოება, მათ შორის, ახალგაზრდები, რომლებიც ბენდუქიძის „ლიბერტარიანული ვაქცინით“ აცრას არიან გადარჩენილი.

წიგნში განხილული ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ერთ დროს ორად გაყოფილ მსოფლიო საზოგადოებას აწუხებს, მოკლე შეკითხვითაა გადმოცემული: **დამთავრდა კი ცივი ომი?**

წერილში „აშშ და ფერადი რევოლუციების ანატომია“, გაანალიზებულია კონკრეტული ვითარება და ასეთი დასკვნაა გაკეთებული: **„დღეს შეიძლება მოვახდინოთ კონსტატირება, რომ ცივი ომი არ დასრულებულა, არამედ მისი საფუძვლიანი ესკალაცია მოხდა. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი წელიწადში ტრილიონ დოლარს აჭარბებს, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მისი ახალ-ახალი სამხედრო ბაზები ჩნდება. ევროპაში კვლავაც დგას ბირთვული რაკეტები, მსოფლიოში გრძელდება ომები, ოკუპაციები და გენოციდები... ახლა მსოფლიოში სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რას გულისხმობდა უფროსი ბუში, როცა „ახალ მსოფლიო წესრიგზე“ საუბრობდა. აშშ არც პირველი იმპერიაა და არც უკანასკნელი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფვის“.**

ფერადი, ხან ვარდისფერი, ხან ტიტების ფერი, ხან ნარინჯისფერი რევოლუციები ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელების დასაჩქარებლად მიმართული ტაქტიური სვლა იყო, რომელიც დემოკრატიზაციის სახელით მონათლეს. გავიხსენოთ „ფერადი რევოლუციების“ სეზონი: **„2003 წელს — საქართველო, 2004 წელს — უკრაინა, 2005 წელს ყირგიზეთი და ლიბანი, 2006 წელს — ბელარუსში გადატრიალების მცდელობა, 2008 წელს — წარუმატებელი მცდელობა სომხეთში, 2009 წელს — მოლდოვას მოვლენები, 2010 წელს კვლავ ყირგიზეთი, 2010-2011 წლებში — კვლავ ტუნისი, 2011 წელს — ეგვიპტე“...**

დაიღალა მსოფლიო, მაგრამ არა ამერიკა: ცივი ომის ქორმა ჰენრი კისინჯერმა განაცხადა, რომ აშშ-მა უნდა დაიპყროს ახლო აღმოსავლეთის შვიდი ქვეყანა მათი რესურსების ხელში ჩასაგდებად და მან ეს თითქმის გააკეთა, დარჩა მხოლოდ ირანი.

**„ამერიკას ისტორია ვერაფერს ასწავლის!“**

აბსოლუტურად შეუთავსებელია ერთმანეთთან მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული აშშ-ის საგარეო პოლიტიკა „აშშ ნამდვილი ბოროტების იმპერია“, და ის ეპითეტები, რომლებითაც ამკობენ ამ პოლიტიკის ადეპტები ჩრდილოამერიკულ სახელმწიფოს — „თავისუფლების იმპერია“, „კაცობრიობის უკანასკნელი იმედი“, „თავისუფალი მსოფლიოს ლიდერი“, „შეუცვლელი ქვეყანა“ და ა. შ.

ამ შეუთავსებლობის მითებით გადაფარვას ცდილობენ. ამერიკის განსაკუთრებულობის შესახებ ყველაზე მეტად ხუთი მითია გავრცელებული.

**„პირველი მითი:**

ამერიკის განსაკუთრებულობაში არის რაღაც განსაკუთრებული (!).

**მეორე მითი:**

აშშ სხვა ქვეყნებზე ღირსეულად იქცევა.

**მესამე მითი:**

ამერიკის წარმატებები განსაკუთრებული „ამერიკული გენიითაა“ განპირობებული.

**მეოთხე მითი:**

მსოფლიო უკეთესობისკენ იცვლება ძირითადად აშშ-ის წყალობით.

**მეხუთე მითი:**

ღმერთი ჩვენთანაა“.

ეს მითები დეტალურად არის განხილული სტივენ უოლტის წერილში „მითები ამერიკის განსაკუთრებულობაზე“ და მათი უსაფუძვლობა სრულად არის ნაჩვენები.

წერილის ავტორი სტივენ უოლტი ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის პროფესორია.

**„საერთაშორისო ურთიერთობები,** — წერს იგი, — **კონტაქტური სპორტის სახეობაა და თვით უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი ხანდახან საკუთარი პრინციპების დათმობა უწევთ თავიანთი უსაფრთხოებისა და აყვავების სანაცვლოდ. და, თუ ამერიკელებს სურთ, ნამდვილ გამონაკლისად იქცნენ, პირველ რიგში, თავად ამერიკის განსაკუთრებულობისადმი ბევრად უფრო სკეპტიკური მიდგომით უნდა დაიწყონ“.**

ინტელიგენტური რჩევაა, თუმცა — პრინციპული.

გაცილებით მკვეთრი დასკვნებია გაკეთებული ისეთ პუბლიკაციებში, როგორიცაა **„აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის საგარეოპოლიტიკური შიზოფრენია“, „თავისუფალი ადამიანების სამშობლო, ანუ ამერიკის შეერთებული ციხეები“, „დამსმენებისა და ჩამშვებების ნაცია“, „ვაშინგტონს მსოფლიო უკანონობისკენ მიჰყავს“** და ა. შ.

იქნებ, ეკონომიკურმა სიმყარემ გადაარჩინოს ამერიკა?

ამ თემაზე მსჯელობს პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი, აშშ ფინანსთა მინისტრი პოლ კრეიგ რობერტსი. მის დასკვნებს ოპტიმისტურს ვერ უწოდებ: **„როცა დოლარი დაიმსხვრევა, ქვეყნის მოსახლეობა ტოტალურ სიღატაკეში გაიღვიძებს,** — წერს იგი და განაგრძობს, — **ახლა აშშ და მისი მოქალაქეები ყურებამდე ვალებში არიან ჩაფლულნი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იქ ოჯახებს შემოსავლის არანაირი ზრდა არ აღენიშნებათ... ამერიკის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას — მომხმარებლის მოთხოვნას — ზრდის საშუალება აღარ აქვს“** („აშშ, როგორც არშემდგარი სახელმწიფო“).

მოკლედ, სიტუაცია ისეთია, რომ „ღმერთო, დაიცავი ამერიკა!“

**არმაზ სანებლიძე**

სიმაღლეში მომატება!
გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?
დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

**იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი**

გთავაზობთ მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი, საშვილოსნოს კისტა და კისტომა, შარდის ბუშტის ანთება, ღვიძლის დაავადებები, ჰეპატიტები (მათ შორის C-ჰეპატიტი), ალერგიები, ჰაიმორიტი, ფრონტიტი, მენსტრუალური ციკლის რეგულირება, პროსტატა, ადენომა, ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმა, ნაწლავის პოლიპი, ათეროსკლეროზი და სხვ.

მისამართი: ახვლედიანის ქ. №11
(ყოფილი პეროვსკაია), შესასვლელი ეზოდან.
ჩაწერა წინასწარ: ტელ.: 599-10-59-74
იური ბურდილაძის კონსულტაცია უფასოა!

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009